საქართველოს რესპუბლიკა

სამშაბათი, 10 აგვისტო, 2004 წელი. №184 (4913) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეზიდენტი

როცა საერთაშორისო ნორმები ირღვევა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რუსეთს საერთაშორისო ნორმების უხეშ დარღვევაში ადანაშაულებს.

„საქართველოს საპაერო სივრცეში რუსული სამხედრო თვითმფრინავების უნებართვო გამოჩენა, ისევე, როგორც საქართველოს საზღვაო აკვატორიაში სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების კატარღების უნებართვო შემოსვლა, არანაირ საერთაშორისო ნორმებში არ ჯდება“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ უცხოელი და ქართველი ჟურნალისტებისთვის გამართულ საგანგებო ბრიფინგზე.

პრეზიდენტის თქმით, საქართველოს ხელისუფლებას არანაირი სურვილი არ აქვს, რუსეთთან ხელოვნურად დაძაბოს ურთიერთობა. – ამას, ალბათ, არც ქართველი ხალხი გვაპატიებდა. თუმცა მსგავსი სურვილი საქართველოსთან ურთიერთობაში რუსეთმაც უნდა გამოიჩინოს, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მან დიდი იმედი გამოთქვა, რომ ცხინვალის რეგიონში შექმნილი სიტუაციის განმუხტვაში საერთაშორისო თანამეგობრობა უფრო აქტიურ როლს შეასრულებს.

შეხვედრა რუსეთის ელჩთან

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სახელმწიფო კანცელარიაში რუსეთის საგანგებო და სრუ ღუფლებიან ელჩს საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა რუსეთ-საქართველოს ორმხრივ ურთიერთობათა შემდგომი პერსპექტივები და ცხინვალის რეგიონში შექმნილი სიტუაცია განიხილეს.

რუსეთის ელჩის განცხადებით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ცხინვალის რეგიონში დაძაბული სიტუაცია მშვიდობიან და კონსტრუქციულ ვითარებაში მოწესრიგდეს.

იხ. მე-2 გვ.

ჟურნალისტი მივლინებიდან დაბრუნდა

ვ. „ღმერთთან და მიწასთან მართალ კაცს გაუმარჯოს!“

ფურტიოელი ისრაფილ ძამადაძე პირუტყვისთვის ზამთრის საკვებს იმარაგებს.

რამ ააცრემლა ბატონი კენტ ბრაუნი?

ბათუმიდან შუახევამდე სამოც კილომეტრზე მეტია. გზა, დღევანდელი პირობებისათვის, არ დაიწუნება, მხოლოდ აღგილ-აღგილ გეხვეება ორმოები და იმათ ამოვსებაზეც მუშაობენ. მძღოლი გურამ აბაშიძე სიგრძეზე ბრაზობს, ამბობს, ეს ორმოები ადრე არ იყო, ახლა გაჩნდაო. ალბათ, ამიტომ ვაძაუნწი კაცი ჩანს. მე მგონი, უფრო მორიდებულია, ემანდ სტუმარი არ შეეწუხოს. ჯიბითა და საჭით არის დაკავებული. მკვეთრ მოსახვევებში ისე თავისუფლად გადის, ეტყობა, თავისი საქმე „ხუთიანზე“ იცის. შუახევში ორღობიანი ვიზიტის მანძილზე გურამი ერთგულად და დაუზარებლად მემსახურებოდა.

შეღარებით ხალისიანია გურამის კოლეგა ნუგზარ შუგკარაძე. რომელიც მეგობარს თანაგრძნობის გამო უფრო დამგზავრებია – გრძელი გზაა და არ მოიწყინოსო. ცხაურობით მთისა და ბარისაზე, აქეთურსა და იქეთურზე. რაც მაინტერესებს ყველაფერზე შეძლებისდაგვარად მპასუხობენ, აქეთ კი იმაზე მეკითხებიან, თბილისში როგორ მიღის საქმეები, ეშველება თუ არა სამაჩაბლოს კრიზისს, რას აპირებს ხელისუფლება ჩვენნაირი ადამიანების ყოფის გაუმჯობესებისათვისო. ერთი სიტყვით, ამათაც იგივე საფიქრალი აწუხებთ, რაც თითოეულ ჩვენგანს, ისინიც საერთო ინტერესებით ცხოვრობენ და მოთმინებით ელოდებიან სასიკეთო ძვრებს.

იხ. მე-2 გვ.

ნომერში წაიკითხავთ:

შეუძლია თუ არა ღორს გაფრენა?

ამ კითხვაზე ზოგი ტიკივით გაბერილი, ღრმად ჩაფიქრებული ტიპი თავს მოიქექავს და მოჰყვება: ჰმ... ღორის აგებულება გვიმტკიცებს, რომ იმას არ უნდა შეეძლოს გაფრენა, მაგრამ თუ სალაფავს ავაცლით, შეიძლება გაფრინდეს კიდეც...

მე-3-4 გვ.

აირჩიეთ, სად გსურთ დასვენება

გთავაზობთ საქართველოს კურორტებზე საგზურების ღირებულებას და ინტერვიუს პროფკავშირულ ხელმძღვანელთან.

მე-4 გვ.

ჟირინოვსკიმ პისტოლეტი დააძრო!

ვითომ ქართველებს დაუმიზნა, მაგრამ პლაჟზე ფეხი დაუსხლტა და თავადვე მოირტყა...

მე-8 გვ.

ინფორმაცია

სჭირდება რუსეთს საქართველოსთან დაძაბულობა?

საქართველოს ხელმძღვანელობა „მშვიდ არის, კავკასიაში რუსეთის ყველა კანონიერი ინტერესი განიხილოს“, – უთხრა გუშინ ჟურნალისტებს მოსკოვში ვიზიტად მყოფმა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ. ამასთან, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთის ინტერესები საქართველოს ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის ხარჯზე ვერ დაკმაყოფილდება.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან კონფლიქტის მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავასთან ერთად მოსკოვში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან, კერძოდ სერგეი ივანოვთან, საგარეო საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო სათათბიროს წარმომადგენლებთან მოლაპარაკებას მართავენ. საუბარია სამხრეთ ოსეთში არსებულ ვითარებასა და საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის პერსპექტივებზე.

– ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რუსეთისთვის აზრი არა აქვს, ცხინვალის რეგიონის გამო გამუდმებით დაძაბული ურთიერთობა ჰქონდეს საქართველოსთან, – აღნიშნა გიორგი ბარამიძემ.

კოკოითს თანამოაზრენი ტოვებენ

თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის თანამოაზრეთა გუნდი სულ უფრო მცირდება. როგორც გუშინ საღამოს გახდა ცნობილი, პოსტი მზაურის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დატოვა. რუსგამ ჯიოევი ოჯახის წევრებთან და ნათესავებთან ერთად სამხრეთ ოსეთიდან ისე გაემგზავრა, თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლებს არც შეხვედრია.

ჯიოევის ამ გადაწყვეტილების მოგივად საქართველოს ხელისუფლების მიმართ კოკოითის პოლიგიკა სახელდება.

ვრცელდება ინფორმაცია კოკოითის ხელისუფლებასა და ეკონომიკის მინისტრ ფლიევს შორის ურთიერთობების უკიდურესად გამწვავების თაობაზეც.

გაიმართება „ცოტნეობა“

12 აგვისტოს ხობის რაიონში „ცოტნეობის“ დღესასწაული აღინიშნება. „ცოტნეობის“ გარდა, საქართველოში ამ დღეს „დიდგორობის“ დღესასწაულსაც ზეიმობენ.

ღონისძიება დილით ხობის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის გაძარში საზეიმო წირვა-ლოცვით დაიწყება, საღამოს კი კულტურის სახლში „ცოტნეობის“ სასცენო დაღგმა იქნება წარმოდგენილი.

კონფლიქტის ზონას სპორტსმენები „შეესივნენ“

გუშინ დილიდან პაგარა ლიახვის ხეობის სოფელ ერედვში ხუთდღიანი სპორტული ღონისძიებები დაიწყო. ღონისძიებებს უეფა აფინანსებს. სპორტულ ასპარეზობაში ფრონვსა და დიდი და პაგარა ლიახვის ხეობებში მცხოვრები ქართველი და ოსი ბავშვები მიიღებენ მონაწილეობას.

მოზარდებს გუშინ საჩუქრად სპეციალური სპორტული მაისურები და ფეხბურთის ბურთები გადაეცათ.

ასპარეზობა გარდება იმ მოედანზე, რომლის მომართულებით თითქმის ყოველ ღამეს ოსური მხარის კონტროლირებადი ტერიტორიიდან ცეცხლს ხსნიან. შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის მხეილ ქარელის განცხადებით, აღნიშნული ადგილი სწორედ ამის გამო შეირჩა.

ინტერ-პრესი.

პარლამენტი

რაზე იმსჯელებს რიგგარეშე სესია?

ბაიმართა პარლამენტის ბიუროს სხდომა, რომელზეც საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიის სავარაუდო დღის წესრიგზე იმსჯელეს.

პირველ საკითხად პარლამენტარები გიორგი კენჭაძისთვის მისივე განცხადების საფუძველზე პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას უყრიან კენჭს, ასევე კენჭს უყრიან საქართველოს რეგლამენტში ცვლილებებს. ძირითადი საკითხი, რომელზეც დეპუტატები იმსჯელებენ, არის კანონპროექტი „საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეგანის თაობაზე“. მას ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი წარადგენს. აღნიშნულ პროექტს განსახილველად მოჰყვება მისგან გამომდინარე ექვსი პროექტი. დღის წესრიგის მიხედვით, დეპუტატები მიიღებენ, ასევე, პარლამენტის დადგენილების პროექტს „საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეგანის თაობაზე“ კანონპროექტის განხილვის ვადების განსაზღვრის თაობაზე“.

ბიუროს სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა პროექტის ძირითად პარამეტრებსა და პრიორიტეტებზე ისაუბრა. ნინო ბურჯანაძის განცხადებით, პარლამენტი ცვლილებებსა და დამატებებს მთლიანობაში მხარს დაუჭერს, თუმცა, დეპუტატთა უმრავლესობის აზრით, ეს პროექტი ოპტიმალურ ვარიანტად ვერ ჩაითვლება, რადგან კონკრეტულ საკითხებზე დამატებითი შეკითხვები არსებობს. ამიგომ ბიუროს წევრთა აზრით, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრებმა, ფრაქციის „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების“ სხდომაზე ამავე დღეს კონკრეტულ შეკითხვებს პასუხი უნდა გასცენ.

ბიუროს წევრებმა იმსჯელეს ახალ საკანონმდებლო ინიციატივებსა და საორგანიზაციო საკითხებზე, ასევე საქართველოს პარლამენტის საქმიანობის ეფექტურობისა და ტრანსფარენტობის გაუმჯობესების პროექტთან დაკავშირებული თანხების გამჭვირვალობის შესახებ. ნინო ბურჯანაძის თქმით, პარლამენტი აქტიურად არის ჩართული გადაწყვეტილებების მიღებაში, თუ რა ტიპის ტექნიკა სჭირდება მუშაობისათვის, ხოლო თანხის გამჭვირვალობას, უპირველესად, საერთაშორისო ღონორები აკონტროლებენ პარლამენტთან ერთად.

რიგგარეშე სესიაზე, ასევე, მნიშვნელოვანი საკითხებია – საქართველოს სრულუფლებიანი ელჩების დანიშვნაზე პარლამენტის მიერ თანხმობის მიცემა; იუსტიციის საბჭოს წევრების არჩევა; პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის არჩევა და პარლამენტის წევრის ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობა. ასევე, რამდენიმე კანონპროექტი და დადგენილება, რომელთა შორისაა დადგენილების პროექტი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის შემადგენლობაზე, რომელიც, სავარაუდოდ, 23 დეპუტატით განისაზღვრება.

სხდომა იმსჯელებს დედაქალაქში საგრანსპორტო სისტემის მოწესრიგების შესახებ და სს „თბილკრედიგბანკისა“ და „თბილკომბანკის“ მიერ აღებული სახელმწიფო ვალის დაფარვის შეუსრულებლობის თაობაზეც.

საქართველოს პარლამენტის პრესსამსახური.

არ ეთმობათ

როცა მეღას თავისი ქედი მოწმედ მოჰყავს

ПИРАТ

СААКАШВИЛИ – ГРОЗА МОРЕЙ И ПАРОХОДОВ

Грузия встала на путь государственного терроризма

Антон АНТОШКИН
Антон АНТОШКИН

ვინც დღევანდელ რუსულ პრესას თვალყურს ადევნებს, თმა ალბათ ყალყზე უდგება (რასაკვირველია, ქოჩრიანთ ვგულისხმობთ), იმდენ მოულოდნელ სისულელეს აწყდება რომელიც გნებავთ იმ გაზეთისა თუ ჟურნალის ფურცლებზე. ეს მეტადრე ძველ კომკავშირულ გაზეთებზე ითქმის, განსაკუთრებით „მოსკოვსკი კომსომოლეცსა“ და „კომსომოლსკაია პრავდაზე“.

ქებისა არ იყოს, ძაგებასაც ნახვა სჯობს. გადაშალეთ, ბატონებო, ამ დღეების „მოსკოვსკი კომსომოლეცი“ და თავად დაინახავთ, რა ტყუილების კორიანტელსაც აყენებს ეს გუშინდელი კომკავშირული გაზეთი თავის ჭრელა-ჭრელა ფურცლებზე.

ვინმე ანტონ ანტოშკინისა და ალინა კეშკოვას შორს გამიზნული ჟურნალისტური სისულელე იმდენად ადვილი გასაშიფრია, რომ თავად შენთვის მოგვინდია, ძვირფასო მკითხველო, დასკვნების გამოტანა. ერთი კი აშკარაა: რუს ჯარისკაცებს რუსიველ ჟურნალისტები უსწრებენ წინ და რუსულენოვანი მკითხველის მოსატყუებლად დენთის ნაცვლად სიცრუით და სიძულვილით ტენიან თავიანთ ფუჭ სიტყვებს.

რაღა ბევრი გავაჭიაყელაოთ, თავად წაიკითხე:

იხ. მე-2 გვ.

კანონმდებლები

რამ აღაშფოთა დეპუტატები?

საქართველოს მთავრობამ 2004 წლის პროფიციტული სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში პარლამენტის შენიშვნების გათვალისწინება ვერ მოასწრო და პარლამენტის ბიუროს ბიუჯეტის შეჯერებული ვარიანტი ვერ წარუდგინა. მთავრობის ამგვარმა მოქმედებამ დეპუტატების აღშფოთება გამოიწვია.

როგორც ბიუროს გუშინდელ სხდომაზე აღინიშნა, დაუშვებელია, პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე დაგეგმილ ბიუჯეტის პროექტის განხილვამდე რამდენიმე საათით ადრე დეპუტატები არ ფლობდნენ ინფორმაციას იმის შესახებ, გაითვალისწინა თუ არა მთავრობამ ბიუჯეტის პროექტში პარლამენტის შენიშვნები.

როგორც ბიუროს სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, პარლამენტს აუცილებლად უნდა სცოდნოდა ის ცვლილებები, რომლებიც ბიუჯეტის პროექტში მთავრობამ შეიტანა. „თუ პარლამენტში ბიუჯეტის შეჯერებული პროექტი ორ საათში არ შემოვა, რიგგარეშე სესიაზე პარლამენტი პირველ საკითხად ბიუჯეტის პროექტს ვერ განიხილავს“, – აღნიშნა მან.

თუმცა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის აზრით, საპარლამენტო კომიტეტებსა და ფრაქციებს ბიუჯეტთან დაკავშირებით რაიმე სერიოზული შენიშვნები არ გამოუთქვამთ, ამიგომ „ბიუჯეტის განხილვის პრობლემა პარლამენტს არ უნდა ჰქონდეს“.

ინფორმაცია

ოლიმპიადა ნეჯეშსა და დივანიაში კვლავ გაჩაღებულა

ნეჯეშსა და დივანიაში კვლავ გაჩაღებული ბრძოლებია. დივანიაში „მაჰდის არმიის“ მებრძოლებმა ალყა შემოარტყეს ქალაქის მერიას და პოლიციის უბანს. დაღუპულთაგან უმეტესობა პოლიციელია. ბრძოლებია ნეჯეშშიც. ქალაქის გუბერნატორის თქმით, დაჭრილთა და დაღუპულთა ევაკუირებისთვის მხარეებმა დროებით შეწყვიტეს ცეცხლი.

„ალ-ყაიდა“ თურმე მსოფლიო ბანკსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდზეც აპირებდა თავდასხმას. ეს ცნობილი გახდა „ალ-ყაიდას“ კუთვნილი კომპიუტერების ხელში ჩაგდების შემდეგ. ტერორისტები ასაფეთქებელი ნივთიერებებით გატენილი ლიმუზინებისა და ჩქაროსნული კატერების გამოყენებას გეგმავდნენ.

ორმოცდათექვსმეტი წლის ფინელმა ლეო პუსამ, რომელიც მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია, ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა, როდესაც 12 წუთი დაჰყო საუნაში, სადაც 110 გრადუსი სიცხე იყო. მასთან ერთად იმავე საუნაში იგივე დროით იმყოფებოდა ბელორუსი ნატალია გრიფონოვა, რომელიც ქალთა შორის იყო მსოფლიო ჩემპიონი.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

– შარ რეპრესირებულის შვილი, II ჯგუფის ინვალიდი 1982 წლიდან. 2003 წლის 3 ივლისიდან ვიღებ პენსიას თვეში 45 ლარის ოდენობით. ვმუშაობ ხარაგაულის მონადირეთა კავშირში.

გთხოვთ, განმიმარგოთ, მეკუთვნის თუ არა რაიმე დანამატი პენსიაზე როგორც II ჯგუფის ინვალიდსა და შრომის ვეტერანს?

ზურაბ მიქაბერიძე.

– მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რეპრესირებულთა ოჯახის შრომისუუნარო წევრებს (მეუღლეს, შვილებს) პენსია განესაზღვრებათ თვეში 45 ლარის ოდენობით და მასზე რაიმე დანამატის დარიცხვა გათვალისწინებული არ არის.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 184, სამშაბათი, 10 აგვისტო, 2004 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ პრეზიდენტი

(პირველი გვერდიდან)

კიდევ ორი კანდიდატურა

საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტს კიდევ ორი ახალი ელჩის კანდიდატურა შესთავაზა.

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა გუშინ ბულგარეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩობის კანდიდატს თეიმურაზ შარაშენიძეს და ისრაელის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩობის კანდიდატს ლაშა ყუანიას მოუსმინა. კომიტეტმა ორივე კანდიდატურას დადებითი შეფასება მისცა. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო შათ 10 აგვისტოსთვის დანიშნულ რიგგარეშე სხდომაზე დაამტკიცებს.

ერთდღიანი არაოფიციალური ვიზიტით...

დღეს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ერთდღიანი არაოფიციალური ვიზიტით უკრაინის ქალაქ იალტაში გაემგზავრება.

დაგეგმილია შეხვედრა უკრაინის პრეზიდენტთან ლეონიდ კუჩმასთან. სავარაუდოდ, შეხვედრის ძირითადი თემა უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობების გაღრმავება იქნება.

◎ ინფორმაცია

პრივატიზაცია

გამართლებული თადარიგი

საქართველოს პარლამენტი მთავრობას „თბილავიამშენის“ პრივატიზაციის გეგმას უწუნებს და რიგგარეშე სესიაზე „პრივატიზაციის შესახებ“ კანონში ცვლილებების წარმოდგენილი პროექტის მხარდაჭერას არ აპირებს.

პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე დეპუტატებმა მოითხოვეს მთავრობისგან, რომ „თბილავიამშენი“ 67 მილიონ ლარად კი არა, 84 მილიონ ლარად გაყიდოს.

როგორც სხდომაზე პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ განაცხადა, საქართველოს მთავრობამ ან ეს მოთხოვნა უნდა გაითვალისწინოს, ან საწარმოს აქციების მხოლოდ 75 პროცენტი მიჰყიდოს ინვესტორს, ხოლო 25 პროცენტი სახელმწიფოს დაუტოვოს საკუთრებაში. გოცირიძის განმარტებით, სახელმწიფოს ხელში დარჩენილ აქციათა 25 პროცენტი იქნება „გარანტია იმისა, რომ „თბილავიამშენი“ შემდგომში „თელასის“ მაგალითის მსგავსად, სახელმწიფოს დაუკითხავად არ გაიყიდოს“.

ინციდენტი

ვინ ესროლა ჟირინოვსკის?

ავტომანქანების კოლონას, რომელშიც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერი ვლადიმერ ჟირინოვსკი იმყოფებოდა, ანაპიდან აფხაზეთში მიმავალ გზაზე ბღვის

მხრიდან ცეცხლი გაუხსნეს. ამის შესახებ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს „ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის“ პრესსამსახური იუწყება.

ვლადიმერ ჟირინოვსკის აზრით, საქართველოს ხელისუფლება ამგვარად ცდილობს, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების აფხაზეთში, მათ საყვარელ დასასვენებელ ადგილებში ჩასვლა არ დაუშვას, – ნათქვამია „ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის“ ფრაქციის ოფიციალურ პრესრელიზში.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ღღევანდელი ინციდენტის მიუხედავად, ჟირინოვსკი და „ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის“ ფრაქციის დეპუტატები უახლოეს დღეებში აფხაზეთში მაინც ჩავლენ.

ინტერ-პრესი.

◎ მეკობრეები

(პირველი გვერდიდან)

საკაშვილი – ზღვებისა და გემების რისხვა

საქართველო დაადგა სახელმწიფო ტერორიზმის გზას

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გასცა სოხუმის ნავსადგურისკენ მიმავალი ყველა ხომალდის ჩაძირვის ბრძანება. როგორც თვითონ განაცხადა პრესკონფერენციაზე, „ყველა იმ გემს, რომლებიც შევლენ სოხუმის ნავსადგურში საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად, გაუხსნიან ცეცხლს და ჩაძირავენ“.

როგორც ჩანს, „ვარდების რევოლუცია“ შედის ყველა რევოლუციათვის გარდუვალ ტერორის ფაზაში. ქართველ ბოლშევიკებს თავი ზღვის მეკობრეები ჰგონიათ. მათი მსხვერპლი შეიძლება გახდნენ მშვიდობიანი რუსი დამსვენებლები. „თუ გსურთ კაგარლებით ჩახვიდეთ სოხუმში დასასვენებლად – ნუ დაივიწყებთ იმას, რაც მოხდა იქ რამდენიმე დღის წინ, როცა ჩვენმა საბრძოლო ხომალდმა გაუხსნა ცეცხლი საბჭოს დარღვევე გემს“, – ურჩია სააკაშვილმა დამსვენებლებს. იგი გულისხმობდა იმ ინციდენტს, როცა ქართულმა კატარღამ ცეცხლი დაუშინა აფხაზეთისაკენ მიმავალ თურქულ მშრალტვირთიან გემს. ამის პასუხად აფხაზეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ჩაძიროს ყველა ქართული საბრძოლო ხომალდი და გემი, რომლებიც დაარღვევენ აკვატორიის საზღვრებს და დასძინა, რომ საჭიროების შემთხვევაში ავიაციასაც გამოიყენებს. აფხაზეთმა შეაჩერა მონაწილეობა თბილისთან მიმდინარე მოლაპარაკებებში.

სიტუაციის განმარტება ვთხოვეთ აფხაზეთის თავდაცვის მინისტრს ვიაჩესლავ ეშბას:

– მე ჯერჯერობით არ ვამიკითხავს სააკაშვილის გამოსვლის სრული ტექსტი. მაგრამ იქ თუ არის ნახსენები სიტყვა „ჩავძირავთ“, ჩემი პასუხი ასეთი იქნება: ჩაძიროს, თუ ამის უფლებას მისცემს სინდისი და თუ ეყოფა საამისოდ გამბედაობა. იგი მიიღებს ადეკვატურ პასუხს – მოქმედება უკუქმედების ტოლფასი იქნება. თუმცა, ჩვენი უწყება არ აპირებს აჰყვეს ამ იაფფასიან პროვოკაციას და დაიწყოს ომი საქართველოსთან. ჩვენ დაველოდებით მათ კონკრეტულ მოქმედებას და პასუხიც იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ ნაბიჯებს გადადგამენ. თუ ისინი, უბრალოდ, დაკავებენ გემებს, ამაზე ჩვენი რეაქცია ასეთივე იქნება, თუ ცეცხლს გახსნიან – ჩვენ სულ სხვაგვარად მოვიქცევით. საქმარისად ყუმბარებ ძალები და ყუმბარის საშუალებები საიმისოდ, რომ უზრუნველვყოთ ნაოსნობის უშიშროება ჩვენს ტერიტორიულ წყლებში. აფხაზეთს ჰყავს როგორც სამხელრო-საზღვაო ფლოტი, ისე სამხელრო ავიაცია. მთელი პასუხისმგებლობით ვეცხადებ: გაეცემთ პასუხს ყველა ჩვენს ხელთ არსებული საშუალებით: პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხელროთი.

მანამდე კი, **აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობის პირველმა ვიცე-პრემიერმა ასტამურ თარბამ** სააკაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას უწოდა „სახელმწიფო ტერორიზმის გამოვლინება“. მან აღნიშნა, რომ „შესაბამის სტრუქტურებს, რომლებიც იცავენ აფხაზეთის საზღვრის საზღვაო მონაკვეთს, უბრძანეს გაღადგან ადეკვატური ნაბიჯები საქართველოს სამხელრო გემების მიმართ“. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კი განაცხადა, რომ ასეთი ქმედება შეუსაბუელი იქნება, როგორც მგრული აქტი ყველა აქედან გამომდინარე შედეგით. იმედია, კრემლში შეიგნებენ: „აგრესორის დაშომინების“ პოლიტიკა, რომელიც აქამდე ხორციელდება ქართველი რევოლუციონერების მიმართ, კარგს არაფერს მოიტანს... და იმასაც მიხვდებიან, რომ ახალგაზრდა ქართველი პრეზიდენტი თავისი გემპერამენტიანი გამოსვლების დროს სულ უფრო მეტად მოგვაგონებს ტრიბუნაზე მდგომ ჰიტლერს.

* * *

დამსვენებლებს, რომლებიც ბედის უკუღმართობის გამო 1992 წლის მაფხულში სოხუმის პლაჟზე აღმოჩნდნენ, ახლაც შიშის გრძნობა ეუფლებათ, როცა იხსენებენ, თუ როგორ დაარღვია ის მშვიდობიანი ღილა ჭურვების აფეთქების ხმამ, როგორ ჩაიმსხვრა მინები პანსიონატების შენობაში, როგორ შეიღება სანაპირო მოლი სისხლით... ალბათ, ქართველ პოლიტიკოსებს სურთ გაიმეორონ 12 წლის წინანდელი კოშმარი. საიღუმლო არ არის, რომ ამ ბოლო წლებში აფხაზეთი ხდება რუსი ტურისტების საყვარელი დასასვენებელი ადგილი. ომის შედეგად გაპარგახებული სანაგორიუმები იქ თანდათანობით აღადგინეს. პირობები, რა თქმა უნდა, საუკეთესო არ არის, მაგრამ რუს დამსვენებლებს აფხაზეთი იმიდავს სიიაფის გამო – შარშან ყოფილ სგანლინს აყარაკზე გაგარებული ერთი დღე 25 დოლარი ჯდებოდა. ყველაზე მეტი დამსვენებელი კი მაინც კურძო სექტორს ამჯობინებს: მრავალი აფხაზისთვის ეს ხომ შემოსავლის თითქმის ერთადერთი წყაროა. სულ კი, როგორც მოსკოვის ტურისტულ ფირმებში გვითხრეს, აფხაზეთში წელიწადში დაახლოებით 150 ათასი რუსეთელი ისვენებს.

თუმცა, განგაში ჯერჯერობით არც ქართველ და არც მოსკოველ ტუროპერატორებს არ აუტეხავთ. ისინი ამტკიცებენ, რომ დამსვენებლები აფხაზეთში, როგორც წესი, კატარღებით არ ჩადიან: „ტურისტები ჩამოდიან ვაგზლებსა ან აეროპორტებში, საიდანაც ისინი ავტობუსებით გადაგეყავს. მათი გადაადგილება მხოლოდ ხმელეთით ხდება და საზღვარზეც არანაირი პრობლემა არ წარმოიქმნება“. აფხაზეთის სანაგორიუმებში კი სააკაშვილის მიერ გაკეთებული განცხადების შესახებ მხოლოდ მოსკოველი ჟურნალისტებისგან შეიგყვეს – სანაპიროზე რამდენიმე დღის განმავლობაში ქარიშხალი ბობოქრობდა და როგორც იტყვიან, „არავის სცხელოდა“ დიდი პოლიტიკისთვის. მაგრამ, მღვაზე თუ ატყდა ომი ავიაციის გამოყენებით, კარგი დღე არც ხმელეთზე მყოფთ დაადგებათ.

ანტონ ანტოშკინი,
ალინა კეშეკოვა.

მწერალი: როგორც ნახეთ, მავან რუს ვაიავგორებს, რომელთაც უცილოდ იმპერიული სისხლი უჩქეფთ ძარღვებში და „მშიანი საქართველოს“ მიწა-წყალი არა და არ ეთმობათ, როგორც იტყვიან, ნემსის ყუნწში ძვრებიან, რომ დაამტკიცონ, უფრო სწორად, სხვასაც თავს მოახვიონ თავიანთი აკვიატებული უაზრობა: „ვარდების რევოლუციისთვის გარდაუვალ ტერორის ფაზაში შედისო. ქართველ ბოლშევიკებს თავი შავი ზღვის მეკობრეებად წარმოუდგენიათ, რომელთა მსხვერპლი შეიძლება მშვიდობიანი რუსი დამსვენებლები გახდნენო. თავიანთი ამ უაზრობის დასაღასტურებლად კი აფხაზეთის ეგრეთ წოდებულ თავდაცვის მინისტრს ვიაჩესლავ ეშბასა და ვითომ პრემიერ-მინისტრს ასტამურ თარბას იშველიებენ. სწორედ ამიტომ მეც მოგვამოვჩრილი, მეღამ თვითონ კუდი მოწმედ მოიყვანაო, ეს კი იმ მელაზეა ნათქვამი, რაც ესიმრებოდა, ის რომ ელანდებოდა.

ისე, თუ ჩვენი ხმა მისწვდათ, ამ ვაიკურნალისტებს უნდა გავაგონოთ, რომ ჩვენი პრეზიდენტი არა მარტო ბღვებისა და გემების რისხვაა, არამედ ყველას რისხვა და შავთია, ვინც ბაგონყმობის გადავარდნას ვერ შეჰგუებია და საქართველო კვლავ თავისი საბაგონყმო ჰგონია.

მოამზადეს
გურამ გოგიაშვილმა და თამაზ ებანოიძემ.

◎ ვიზიტის შემდეგ

„ჩვენ თქვენი დახმარებით ახალი საქართველო უნდა ავაშენოთ“

როგორც უკვე ვიუწყებოდით, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისი არაოფიციალური ვიზიტის ბოლო დღეს შეხვდა აგლანტაში მცხოვრები მრავალრიცხოვანი ქართული დიასპორის წარმომადგენლებს. ამ მეგად ამაღელვებელ შეხვედრაზე შეკრებილთ სიტყვით მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა, და, კერძოდ, აღნიშნა:

– თქვენ ხართ ქართველი ერის საუკეთესო ნაწილი, რომელიც თავის დროზე ჩამოვიდა სასწავლებლად, სამუშაოდ, ზოგი გაჭირვებას გამოექცა, ზოგიც კი იმიტომ, რომ აქ თავისი ნიჭის გაშლის მეტი საშუალება ჰქონდა. ჩვენ თქვენი დახმარებით ახალი საქართველო უნდა ავაშენოთ.

მაღლობელი ვარ ჩვენი მასპინძლებისა, რომლებიც გულთბილად დაგვხვდნენ. აქ არის ბევრი იდეალისტი, რომლისთვისაც ეს არის პრინციპის საკითხი – ჩვენ დაგვეხმაროს. ახლა ჩვენ ყველანი, მას შემდეგ, რაც ეს გამოცდილება მივიღეთ, რა თქმა უნდა, გაათმაგებული ენერგიით (ბევრი თქვენგანი ასეც აკეთებს) ვცდილობთ, დავეხმაროთ ჩვენს ქვეყანას, რომ დადგეს ფეხზე.

ჩემი მთავარი ამოცანაა, ეს ხალხი ნელ-ნელა დავაბრუნოთ უკან სხვადასხვა ფორმით, მივცეთ საშუალება, რომ საქართველოში იმუშაოს და თავის ქვეყანას ემსახუროს. მათ, ვინც სხვა ქვეყნის მოქალაქეები გახდნენ, დავუბრუნოთ საქართველოს მოქალაქეობა იმისთვის, რომ მათს შვილებსა და შვილიშვილებს ჰქონდეთ პასპორტი, რომლებიც სამართლებრივ კავშირს დაუბრუნებს თავის ქვეყანასთან. ასევე, რაც მთავარია, დავუბრუნოთ მათ სიამაყის განცდა იმით, რომ საქართველო არის წარმატებული, მნიშვნელოვანი ქვეყანა, რომლითაც შეიძლება იამაყო.

კვლავ მინდა გავიმეორო: ჩვენ ისრაელიდან ჩამოვიგანეთ რამდენიმე ასეული განსახლება, იქ გაღმომცეს 140-ზე მეტი და კიდევ ჩამოვიდა 200 განსახლება საქართველოს მოქალაქეობის მიღების თხოვნით. ჩვენთვის ათასობით ადამიანს აქვს ამის სურვილი. დარწმუნებული ვარ, აქაც გამოჩნდება ხალხი, ვინც ვაშინგტონში საქართველოს საკონსულოს მიმართავს და მიიღებს საქართველოს მოქალაქეობას.

„თქვენ ჩემთვის შთაგონება ხართ“

– ასე მიმართა ამერიკის იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა დენის არჩერმა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს მისთვის ასოციაციის საპატიო ჯილდოს გადაცემის ცერემონიაზე შაბათ საღამოს.

– ჩემთვის, – თქვა ამერიკელმა მასპინძელმა, – დიდი პატივია, წარმოგიდგენოთ 2004 წლის პრემიის მფლობელი მიხეილ სააკაშვილი. საქართველოს პრეზიდენტი ის ადამიანია, რომლის მსოფლმხედველობამ, ლიბერალობამ და ხედვამ შესაძლებელი გახადა მშვიდობიანი, გასაოცარი რევოლუცია. მსოფლიო აღტაცებით იხსენებს იმდროინდელ საოცარ მოვლენებს და კვლავ განიხილავს ამ ქვეყნის პრეზიდენტს, როგორც გარდამტეხი რეფორმების მოდის კანონმდებელს, რომელიც მთელი ევრაზიის რეგიონს ცვლის. მთავარი სწორედ ის შედეგია, რომელიც ვარდების რევოლუციას მოჰყვა. საქართველოს პრეზიდენტსა და მის გუნდს ყველაზე გადამწყვეტი პერიოდი წინ აქვთ, რათა ჩამოყალიბდეს მშვიდობიანი და განვითარებული საქართველო. საღაც კანონის ძალა უზენაესი იქნება.

ჯილდოს მიღების შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა:

– რა თქმა უნდა, ჩემთვის დიდი პატივია ამ ჯილდოს მიღება. ეს პირადი ჯილდოა, მაგრამ იგი მთელ ქართველ ხალხს ეკუთვნის, ვინც უკეთესი მომავლისათვის იბრძვის. ღღეს მადლობას მოგახსენებთ ამ საპატიო ჯილდოსთვის.

სიმბოლურია, რომ ეს ღონისძიება ჯორჯიის შტატში იმართება. სანიმუშოდ იმის შეგნება, რომ ჩვენ მსოფლიოში მარტონი არა ვართ.

რაც შეეხება საქართველოში სამართლიანობის დამკვიდრებას, ჩემი და ჩემი ქვეყნის მთავრობის უმთავრესი ამოცანაა საქართველოში კორუფციის აღმოფხვრა, დემოკრატიის განვითარება და სამართლიანობის აღდგენა. ჩვენ მოკლე დროში საკმაოდ ბევრს მივაღწიეთ, თუმცა ჯერ კიდევ მრავალი რამ გვაქვს გასაკეთებელი.

ჩემი ქვეყანა, ისევე როგორც სხვა ყოფილი საბჭოთა ქვეყნები, სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა დამოუკიდებლობის შემდეგ არსებობისთვის. ჩვენ გვინდოდა თავისუფლება და დამოუკიდებლობა, მაგრამ არ ვიცოდით, როგორ მოვქცეულიყავით. ჩვენ რომანტიკული წარმოდგენა გვქონდა დამოუკიდებელ მმართველობაზე. შემდეგ რაც მოხდა, ეს იყო ის, რომ ქვეყანაში ახალი ადამიანების თაობა მოვიდა, რომელსაც უკეთესობისკენ ცვლილებების სურვილი აქვს. ჩვენ ამ გამოწვევას მივიღებთ და აუცილებლად გავიმარჯვებთ.

საქართველოს პრეზიდენტმა ვრცლად ისაუბრა საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ, დასაბუთა შევარდნაძის მმართველობის შეცვლის აუცილებლობა.

აღსანიშნავია, რომ ჯილდოს გადაცემის ცერემონიაზე შეკრებილი იყო ამერიკის შეერთებული შტატების ელიტარული საზოგადოება, რომლის აზრსაც მსოფლიოში დიდი გავლენა აქვს.

◎ ჟურნალისტი მივლინებიდან დაბრუნდა

3. „დმერთთან და მიწასთან მართალ კაცს გაუმარჯოს!“

(პირველი გვერდიდან)

ამასობაში გურამ აბაშიძემაც „ამოიდგა ენა“, მე უკვე ვიცი, რომ შუახევში ბევრი დაინტერესდა ვენახით, რომ თვითონ გურამმა ერთი წლის წინათ ნერგები იყიდა და კარგი ზვარიც გააშენა. ოჯახში პირუტყვიც ჰყავს, ახლა ჯანჯღნარის მთაში არეკა, მეულლე და შვილიშვილები უვლიან. შვილიშვილების სიცილს კი არ უჩივის – რვა გოგო-ბიჭი ებრღებათ!

ცალი ყურით რომ გურამსა და ნუგზარს ვუსმენ, ცალი თვალით აქოჩრილ მთებს და ფერდობებზე შეფენილ სოფლებს ვითვალიერებ. „ღმერთთანაც ახლოს ხართ და მიწასთანაც“, – ვეუბნები ორივეს.

– ამიტომაც გვაქვს სადღეგრძელო, ღმერთთან და მიწასთან მართალ კაცს გაუმარჯოსო, – არ ვიცი, გურამი მეუბნება თუ ნუგზარი, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია სადღეგრძელოა დიდებული! ვაი იმას, ვინც მშობლიურ მიწას მოსწყდება, თორემ, თავის გაჩენილს ღმერთი ყოველთვის დაარჩენს.

– ოღონდ შენც ხელი უნდა გაატოკო, – ამბობს ნუგზარი. – როცა გამჩენი მონდომებას შეგატყობს, უეჭველად დაგეხმარება. თორემ, რა გამოვა, ზოგი მარტო ხელისუფლებას შეჰყურებს, თვითონ კი ჩრდილში ჯდომას ამჯობინებს. მთაში ასეთებს ძალიან უჭირთ, ვინაიდან გაცილებით მძიმე საცხოვრებელი პირობებია, ვიდრე ბარში... ცხრა პირი ტყავი უნდა გაიძრო, ოჯახი რომ გამოკვებო...

– მართალი ხართ, იმ ერთი მოხევისა არ იყოს, ცარიელა პაერით „სტვამაქს ვერ ამოივსებ“. აი, დღეს გამგებელს შევხვდები და უფრო დაწვრილებით შევიტყობ, რას აპირებთ, როგორი პერსპექტივა აქვთ შუახეველებს...

– ქედლებსა და ხულოელებს ჩვენზე უკეთესი პირობები აქვთ, თუმცა არც იმათ ულხინთ, იმათაც უამრავი პრობლემა აწუხებთ. ქედლები ბათუმთან ახლოს არიან, ჭარში პრონდუქტის გაყიდვა არ უჭირთ, ხულოელებს კარტოფილის დიდი მოსავალი მოჰყავთ. ჩვენი რაიონი უფრო მცირე და მწირმიწიანია. ამას მეწყერები და მვავეებიც ემატება...

არა, ეს არ არის თავის მართლებისათვის წამოწყებული წუწუნი, ეს არის რეალობა, რომელზეც თვალის მოხუჭვა არ შეიძლება. სადაც ვიყავი, ყველგან მიხსენეს სასუქი, რომელიც ხელისუფლებამ ყველაზე შორეულ სოფლებშიც კი უსასყიდლოდ დაარიგა. პენსიონერებს, მარგხულებს, სოციალურად დაუცველებს პურის ფქვილითაც დაეხმარნენ. იცით, მთელი კაცი ბუნებით როგორი უპრეტენზიოა – მას გულისხმიერი, გულთბილი დამოკიდებულებაც აკმაყოფილებს, ქვეყნის გაჭირშიც ჩახედულია, ამიგომ თავისი პრობლემებით არავის აწუხებს.

აი, ამაზე მესაუბრებოდნენ ჩემი მეგზურები – გურამი და ნუგზარი. მერე ისიც მიამბეს, რიკიხიგი რომ ნახა, როგორ აცრემლდა ამერიკის ელჩი კენგ ბრაუნი.

ისე, ღმერთმანი, ამ სილამაზის შემყურეს როგორ შეიძლება, გული არ აგიჩქროლდეს? ამიგომ მიეუტევოთ ბაგონ კენგ ბრაუნს წუთიერი სისუსტე. იქნებ უცხოელი იმანაც აატრემლა, ამ სამოთხის მკვიდრნი ასეთ სიდუხჭირეში რომ ცხოვრობენ?

მაგრამ არა უშავს, „ჩვენს ქუჩაგეც ამოვა მზე!“

ამ საუბარ-საუბარში მივაღწიეთ კიდეც ყალაიბონისა და მარეთის ხეობების კარიბჭეს – შუახევს. „ნივამ“ პაგარა შეღმართი აათავა და გამგეობის შენობის წინ გაჩერდა.

მძიმე ნაბიჯები

გამგებელ ნოდარ ქარცივაძესთან დიდი საუბარი მელის. სწორედ იმან უნდა გადამიშალოს ამ რაიონის ავიც და კარგიც. ნოდარი აქაურია, ამ კუთხის შვილი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მთავარ აგრონომადაც უმუშავია, კოლმეურნეობის თავმჯდომარედაც, მინისტრთა საბჭოს რწმუნებულის მოადგილედაც, დეპუტატიც ყოფილა და... უმუშევარიც, ვინაიდან „სხვანაირი აზრები აწუხებდა“. ეს ის ნოდარ ქარცივაძე გახლავთ, აჭარის ცნობილი მოვლენების დროს ქედის ტეკთან აბაშიძის შეიარაღებულმა მხარდამჭერებმა სხვებთან ერთად რომ დაარბიეს, მაგრამ წარბი ვერ შეახრევინეს. ხუთ მაისს ასლან აბაშიძემ აჭარა დატოვა – ბოლო მოეღო ათწლიან ერთპიროვნულ მმართველობას, ცენტრსა და რეგიონს შორის დაპირისპირებას.

ეს წუთი ნოდარ ქარცივაძეშაც მოაახლოვა, ამიგომ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შუახევის გამგეებლად მის დანიშვნას უსიტყვოდ მოაწერა ხელი.

... მისაღებში უამრავი ხალხია. ორმაბაათობით გამგეებელს საკრებულოების თავმჯდომარეები თავთავიანთი სოფლების პრობლემებზე ანგარიშს აბარებენ. ეს შეხვედრებიც ერთობ მძიმეა, რადგან ყველაფერს ფინანსები სჭირდება. ფინანსები, რომელიც გამგეობას ქრონიკულად არ ჰყოფნის...

როგორც კი თათბირი დამთავრდა, გამგებელთან მიმიწვიეს. გაცნობა, მიკითხე-მოკითხეა... და რადგან სამუშაო დღე უკვე იწურებოდა, პირდაპირ საქმეზე გადავედით.

– როგორი მემკვიდრეობა დაგხვდათ? – ვეკითხები მასპინძელს.

– ნუღარ მკითხავთ! ბიუჯეტი ნოლზე იყო დასული. უბედურება ის არის, რომ მთელი წლის ფულს 3-4 თვეში ხარჯავდნენ და ისიც – არამიზნობრივად. ამჟამად რაიონში მუშაობს კონგროლის პალატა, საქმეში ჩართულია პროკურატურა. ზოგმა ორგანიზაციამ გაფლანგული თანხის ნაწილი უკან დააბრუნა. შემოწმების მასალები თვენახევარში ხელთ გვექნება. გამორიცხული არ არის, რომ ზოგიერთი პასუხისმგებელი პირი დავაკავოთ, ახალგაზრდა პროკურორმა ფრიდონ ქარცივაძემ საქმეს ენერგიულად მოჰკიდა ხელი.

– კადრების გადახალისება დაამთავრეთ?

– რა არის, იცით? ჩვენი მიზანი სულაც არ არის ძველი მუშაკების დათხოვნა. დაპირისპირება უნდა დამთავრდეს! მნიშვნელობა არა აქვს, ვინ რომელ პარტიაშია. მთავარია, ვინ როგორ ემსახურება ქვეყნის გარდაქმნას. წარმოების მხოლოდ ორი ხელმძღვანელი დავითხოვეთ, ვინაიდან საქმეს უეხი ვერ აუწყეს და მოსახლეობაში სახელი გაიტეხეს. ასეთებს არც შემდგომში მოვეუფერებით. ცვლილებებია საკრებულოებშიც.

– რაზეა აგებული რაიონის ეკონომიკა?

– მართებული იქნება, თუ მკითხავთ, რაზე იყო აგებული... მთავარი შემოსავლის წყარო თამბაქო იყო. 12 კოლმეურნეობიდან 9 მილიონერი იყო, ყოველწლიურად საშუალოდ 1500 ტონა მშრალი ნედლეული მშადდებოდა, მოსახლეობის 25-30 პროცენტს 10 ათასი მანეთის გამომუშავება შეეძლო! ახლა კილოგრამ თამბაქოში დამამშადებლები 2 ლარს გვთავაზობენ. ეს ისეთი მცირეა, გინდ ყოფილა, გინდ არა, ამიგომ ფართობები 17 ჰექტრამდე შემცირდა. ჩვენს მინისტრთან ედუარდ შუკარაძესთან ამის თაობაზეც გვქონდა საუბარი. თუ ფასი 4-5 ლარს გაუტოლდება, შუახეველები ამ კულტურას ისევ ააღორძინებენ. ახლა ისინი ძველ სავარგულებზე სიმინდსა და ბოსტნეულს თესავენ, რომ თავი როგორმე გაიტანონ.

– მთას ბევრ რაიონში მოქმედებს „იფადი“ და ჩინებული შედეგებიც აქვთ...

– მეორე წელია, „იფადი“ ჩვენთანაც შემოვიდა. კარტოფილის ნერგი შემოგვიტანეს და სოფელში დათესეს. დიდ იმედებს გვაძლევს მევენახეობის მომავალი. 3,5 ჰექტარზე უკვე გავაშენეთ „ჩხავერი“ და „ოჯალეში“. დიდებული ღვინო დგება! ფასებიც მაღალია – კილოგრამზე 6-7 ლარი. თუ ყველაფერი თავისი რიგით წავიდა, 2-3 წელიწადში ვენახების ფართობი 30 ჰექტარს მიაღწევს...

ეს ღღევანდელ პირობებშია 30 ჰექტარი ბევრი, თორემ, თავის დროზე შუახევში ვენახები 100 ჰექტარზე ჰქონდათ გაშენებული!

– თქვენს ტყეებში გარეული ხილიც ბლომად იქნება. ამ რეზერვს თუ იყენებთ?

– ეეჰ, ჩემო ბაგონო... ხილი კი გვაქვს, მაგრამ... 300 ტონამდე მარგო მოცვის დამზადება შეიძლება. მსოფლიო ბაზარზე ამ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა, მაგრამ თუ ინვესტორი არ დავაინტერესეთ, ჯერჯერობით არაფერი გამოდის. ისევ „იფადის“ იმედი გვაქვს, იქნებ წვენების ქარხანა ავაშენოთ.

– ხელისუფლებისგან მხარდაჭერას თუ გრძნობს ხალხი? ამას წინათ სასუქი გამოგიგზავნეს.

– დიახ, 5300-მა ოჯახმა თითო ტომარა მიიღო. ხალხი კმაყოფილია. დავარგეთ თითო თვის „ზეგეგმითი“ პენსია, ნაკლებ უზრუნველყოფილმა ოჯახებმა კი 25-25 კილოგრამი პურის ფქვილი მიიღეს. აჭარის სამინისტრომ მხამქიმიკატებიც მოგვცა უფასოდ. ეს დიდი მხარდაჭერაა. ოთხასამდე ოჯახს საწვავით დავეხმარეთ. ამას დაუმატეთ საექიმო თუ სხვა სახის ერთჯერადი დახმარებები. 60 ოჯახს საცხოვრებელი სახლი დაეწვა. ზოგს ხეტყე გამოვუყავით უფასოდ, ნაწილს კომპენსაცია მივეცით. ივლისის დასაწყისში აქ ბრძანდებოდა ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ღევან ვარშალომაძე, რომელმაც ექვს სკოლას კომპიუტერები აჩუქა. სექტემბრისათვის გავხსნით ჭალის საშუალო სკოლას. საქართველოსა და აჭარის განათლების სამინისტროები კიდევ სამი შენობის დაფინანსებაში დახმარებას გვპირდებიან...

– ვხედავ, რომ პრობლემები თავზე საყრელია. რამდენი გჭირდებათ, ყველაფერს თავი რომ გაართვათ?

– 3,5 მილიონი ლარი მაინც. ჩვენი შემოსავლები 500 ათასია. 3 მილიონზე მეტს ტრანსფერის სახით ბიუჯეტიდან ვიღებთ. ძალიან ცუდ მდგომარეობაშია სასოფლო გზები. 80 კილომეტრამდე უკვე შევაკეთეთ. ღღესაც ვაშენებთ საძოვრებზე მისასვლელ გზებს, ვინაიდან ზაფხულობით პირუტყვი იქ გადაგეყავს. კატრიანის მთაში ავიგანეთ ტრანსფორმატორი, ჩირუხის მომთაბარეებისათვის კი 3 კილომეტრი მავთული შევიძინეთ.

– ღმერთმანი, ბევრი რამ მოგისწრიათ, თუმცა, ალბათ ყველაფერი მაინც ბღვაში წვეთია. ვიცი, მიწის სიმწორეს უჩივით.

– აქ ხომ ღღესაც ყველაფერი ხელით კეთდება. აქაურ კაცს ხარისა და თავისი მარჯვენის იმედი აქვს. 40-45 გრადუსით დახრილ ფერდობებზე რა ტექნიკა უნდა გამოიყენო? წლეულს 1000 ჰექტარზე მაინც დავითესა სიმინდი, 200 ჰექტარზე – კარტოფილი, 50 ჰექტარზე – ღობიო და სხვა ბოსტნეული. ჯერ კიდევ ბევრი გვყავს დაუსაქმებელი მუშახელი. ზოგიერთ მოსახლეს იმდენად მცირე საკარმიდამო ნაკვეთი აქვს, რომ ოჯახები ვერ გაყოფილა. პრეზიდენტის აპარატიდან მიეღიეთ მოთხოვნა, რომ საბუთები მოვამზადოთ და 1000 კომლი მარნეულში, თეთრ წყაროში ან წალკაში ჩავასახლოთ. ეს, რა თქმა უნდა, ნებაყოფლობით მოხდება, ძალას არავის დავატანთ. მაგიდაზე უკვე მიდევს 500 განცხადება, სხვათა შორის, აღრეულ წლებში აღიგენში, წითელწყაროსა და სხვა რაიონებშიც ჩაასახლეს აქაურები, მაგრამ სამოქალაქო ომისა და სხვა გაჭირვების გამო ხელისუფლებამ ისინი ბინებით ვერ დააკმაყოფილა და უკან დაბრუნდნენ. ამანაც დამატებითი სიძნელეები შეგვიქმნა...

შემდეგ გამგებელმა აღგილობრივი ჰიდრორესურსების გამოყენებაზე, მინიჰესების მშენებლობაზე გაამახვილა ყურადღება. მარგო ჭანისწყალზე 3-4 მეგავატიანი რამდენიმე მიკროჰესის აგება შეიძლება, მაგრამ მარგოლენ სურვილი არ კმარა – აქაც ინვესტორის ხელია საჭირო, ხელი და – ჯიბე.

მერე ცოგა ღელიკაგურ თემასაც შევეხეთ – გამგეობის წინ დაგეგმილია მართლმადიდებლური ეკლესიის აგება, ხოლო მარეთის ხეობაში უკვე დასასრულს უახლოვდება გუმბათიანი ეკლესიის მშენებლობა.

თავისთავად ეს ინფორმაციაც მრავლისმთქმელია: ახალგაზრდობა მასობრივად დაუბრუნდა მამა-პაპის სარწმუნოებას. კეცში ჩაკრული მჭადზე გამოსახული ჯვარი დიდი ხანია, აქ აღარავის უკვირს...

ელგუჯა ლეგანიძე,
„სრ“ სპეც. კორ.
თბილისი-შუახევი-თბილისი.

გ. ქავდაძის და
შ. დავითაძის ფოტოები.

სასუქის მორიგი პარტია მოიტანეს.

სოფელ პაპოშვილების მჭედელი ნევზეთ შუტკარაძე.

დოკუმენტი

ზვიად გამსახურდიას მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე და სისხლისსამართლებრივი დევნა

ამასთან, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით, დაგმობილი იქნა 2 სექტემბერს ქ. თბილისში რუსთაველის მოედანზე მიტინგის დროს ძალის გამოყენების ფაქტი, აღნიშნული ფაქტის ირგელივ გარემოებებთა ყოველმხრივი შესწავლისათვის შეიქმნა უზენაესი საბჭოს კომისია, ყველა რეგისტრირებული პარტიის, აგრეთვე საზოგადოებრიობის წარმომადგენლობათა მონაწილეობით. ამასთან, ცნობად იქნა მიღებული, რომ ამ ფაქტის გამო ქ. თბილისის პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობდა გამოძიება.

გ. 109, ს.ფ. 62

გამოძიებით დადასტურებულია, რომ უზენაესი საბჭოს 38 წევრზე საელეპუტატო უფლებამოსილების შეჩერების დადგენილება მიღებული იქნა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ. აღნიშნულ დადგენილებას ხელს აწერს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ბურჭულაძე. უფლებამოსილების შეჩერების საფუძველი გახდა ელეპუტატთა ნაწილის მიერ უზენაესი საბჭოსა და მისი ორგანოების მუშაობაში თავის არიდება. გემოთ აღნიშნული საფუძველი, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, აკაკი ასათიანს მიეცა უზენაესი საბჭოს შეხვედრაზე 1992 წლის 4 იანვრამდე გამოცხადებისა და თავისი უფლებამოსილების განხორციელების წინააღმდეგ ზომების მიღების შესახებ. ამრიგად, გადაწყვეტილება საელეპუტატო უფლებამოსილებათა შეჩერების შესახებ მიღებული იქნა აღნიშნულზე უფლებამოსილი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ. გამოძიებით მოპოვებული არ ყოფილა რაიმე პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა საელეპუტატო უფლებამოსილების უკანონოდ შეჩერების ფაქტს.

ამასთან, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 121[8] მუხლის თანახმად, თუ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 121[8] მუხლის თანახმად, თუ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა გვიან ვამსახურდიამ მიიღო გადაწყვეტილება ხელისუფლების თვითონვე აქეთ რუსთაველის გამზირის ორიეე მხარეს აღმართული ბარიკადები და მომდევნო დღეს იგი გამართავდა გაერთიანებულ მტკინეს, ორიეე მხარეს – ხელისუფლებას და ოპოზიციას შესთავაზებდა ერის გამთლიანების თავის გეგმას.

(გაგრძელება იქნება).

იხ. „სრ“ № 161-166, 168-176, 178-183.

იუბილე ახლოვდება

პრემიერს რუსთავი არ დავიწყებია

გვესაუბრება ქალაქ რუსთავის მერი მერაბ ტყემალაშვილი

– ამ სპილენძის ტაიჭები რომ წამოგვიწკიპეს, ცხენები რომ ეყიდათ, ის ჯობდა, – მითხრა „მარშრუტკიდან“ ჩამოსულმა გურულმა მძკაცმა და ცერად ახედა რუსთავის კარიბჭესთან დამხდურ წვიმაში გალუმპულ მერნებს.

ვერ მივუხვედი და აბდალიეით მივაშტერდი.

– რეიზა მიყურებ, გეტყობა ლეონიძეზე არ გაგიგელია. რა მიეა ახლა სახლში, – გამარკვია ვითარებაში, – ჩემს ქუჩაზე ცხენიც ვერ გააღწევს.

მარგო ლეონიძის ქუჩა რომ იყოს ამ ყოფაში, რა უჭირდა. ფართოდ გაშლილი ქუჩები და მოედნები თანდათან განადგურდა, გაუბედურდა, თვით ცენტრალურ ქუჩაზეც ჭირს გაელა.

– ცხენით კი შეიძლებოდა გაელა, ფეხით მოსიარულის რა მოუახსენო, – მდასტურებს ქალაქის მერი მერაბ ტყემალაშვილი, – ხალხი გაიტანჯა, ქუჩებში ტრანსპორტის გაელა პრობლემა იყო, მაგრამ სახსრები არ გაგვაჩნდა. ახლა ცოტა სული მოვითქვით. ჯერ თოდრიას ქუჩას მივხედეთ, ახლახან კი ლეონიძის ქუჩა დავასრულეთ.

– ნამდვილად კარგი საქმე გაკეთდა, ამგვარად დაგებული ასფალტი ევროპის ქალაქებში თუ მინახავს.

– ხარისხი შეაცრად მოწმდება... ახლა ჯერი კლდიაშვილის ქუჩაზე მიდგა, იქ საკმაოდ დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი. რაც მთავარია, ტროლეიბუსები ავამოქმედეთ, შეჯირვებულ მოსახლეობას იაფფასიანი ტრანსპორტი მიეაშველეთ. ქუჩების შეკეთება ინტენსიურად გაგრძელდება.

– ამ რამდენიმე დღის წინათ, ჩემი სადარბაზოს მერვე სართულზე ერთი ალიაქოთი ატყდა. დაფეთებული გამოვარდი, თურმე, ნუ იტყვით და, სასმელი წყალი მოსულა. არადა, ათი წელია, რაც წყალს მეხუთე სართულამდე არ მიუღწევია.

– ამ მხრივაც ინტენსიურად ვმუშაობთ. მოეხსენებათ, რუსთავისათვის წყლის მიწოდება ელექტროენერგიის უწყვეტობაზეა დამოკიდებული, ხარჯის დიდი ნაწილი ელექტროენერგიაზე მიდის... და ეს ძვირადღირებული წყალი ქალაქში იკარგება. დიდი ხნის წინათ ჩალაგებული მილები ეანგმა შეჭამა. რუსთავის მიწა აგრესიულია, ამიგომ პლასგმასის მილებით ეცელით წყალგაყვანილობის სისგემას, დანაკარგებიც შესაბამისად მცირდება ქალაქში. წყლის მრიცხველების დაყენებასაც ვაპირებთ, უნდა ვისწაელოთ ყაირათიანობა.

– ეტყობა, ბიუჯეტიც გამოჯანმრთელდა...

– ჩამდენიმე ასეა, თუმცა წინა თვეში დაგეგკლდა 180 ათასი, მსხვილვადამხდელთა ინსპექციამ დაგვაღალატა. ახლა მდგომარეობა სწორდება. მაინც მოვახერხეთ, საშვებულებო ხელფასები მიგვეცა პედაგოგებისთვის, კულგურისა და სხვა საბიუჯეგო ორგანიზაციებისათვის.

– რუსთავი ხომ არ დაავიწყდა ბაგონ ზურაბ ჟვანიას? ქალაქის მოსახლეობა, ვარდების რევოლუციის ერთი მხარდამჭერი, პირველმა ზურაბ ჟვანიამ მოინახულა. ეს ვიზიგი კომუნისგების დროინდელ ჩამოსვლას არ ჩამოგავდა. ბაგონმა ზურაბმა მოინახულა მეგალურგია, ქიმია... ქალაქის მოსახლეობა დააიმედა, მერე მერიის სხდომაზე დარბაზში იყო დიდი თავყრილობა. მაშინ გადაწყდა, შექმნილიყო რუსთავის რეაბილიგაციისა და აღორძინების პროგრამა, რომელსაც საფუძვლად დაედო მერიის მიერ დამუშავებული, მეცნიერულად გათვლილი, ორიგინალური პროექგი. იგი მაქსიმალურად მოკლე დროში უნდა განხორციელებულიყო. მას შემდეგ თვეები გავიდა, ხალხს დაეჭვების საფუძველი გაუჩნდა.

– არა, არ დავიწყებია, უბრალოდ, პროგრამას ხელი შეუშალა ჯერ აჭარის, შემდეგ – ცხინვალის მოვლენებმა. ამ დღეებში პირადად შევხვდი ბაგონ ზურაბს. კიდევ ერთხელ ვიმსჯელეთ რუსთავში შექმნილ ვითარებაზე, კერძოდ, მეგალურგიაზე. ჩემთვის გაუგებარია, რაგომ აჭიანურებს უზენაესი სასამართლო მეგალურგიული კომბინაგის საქმის განხილვას. არადა, უკვე შერამდენედ გადაიდო... ამ დღეებში პრემიერს ერთი მეგად მნიშვნელოვანი ეიზიგი ელოდება საჩივარგარეთ, იქიდან დაბრუნებისთანავე რუსთავისთვის მოიცლის, უახლოეს ათ დღეში ჩვენ ჩავგარებით ქალაქის რეაბილიგაციისა და აღორძინების საგანგებო კომისიის პირველ სხდომას. მეგალურგიის გარდა მისახედია ქიმიის ობიექგები და სხვა პროგრამაც დროულ გადაწყვეგას ითხოვს. ყოველივე ამის შესახებ საინგერესო საუბარი მოგვიწევს.

კაცი იმედით ცხოვრობს, რუსთავს, მის მრეწველობას ძალიან უჭირს, მეგალურგები პრეზიდენგის ყურადღებასაც ითხოვენ, თუმცა კარგად ესმით, თუ რა ექსგრემალურ სიგუაციაში უწევს მუშაობა ბაგონ მიხეილ სააკაშვილს.

მიმდინარე წელი რუსთავისათვის საიუბილეოა.

60 წელი სრულდება, რაც უდაბნოდ ქცეულ ნაქალაქარზე პირველი მშენებლები მოვიდნენ, პირველი ბარი დაპკრეს, პირველი ნაგებობები გაჩნდა. იმავე წელს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი მთავარსარდლის ხოსებ სგალინის ბრძანებულების თანახმად, ომში გასაგზავნი 5 ათასი ქართველი ვაქკაცი პირით მეგალურგიისკენ შეაბრუნეს და ათასობით ახალგაზრდა ისედაც სისხლისგან დაცლილ საქართველოს გადაუნარჩუნეს. თვით რუსთავის აღორძინებაც სგალინის ინიციაგივით მოხდა, თორემ რუსები სამაგისოდ თავს რომ არ აიგკივებდნენ, ისიც ომის მძინვარების წლებში, ამას დიდი გარკვევა არ სჭირდება.

– დიახ, წელი საიუბილეოა, – ამბობს მერაბ ტყემალაშვილი, – ჩვენც შესაფერისად აღვნიშნავთ შემოდგომით, რუსთაველობის გრადიციულ დღეებში. საბედნიეროდ, ჩვენს რიგებში ჯერ კიდევ არიან პირველი მშენებლები, პირველი მეგალურგები, ქიმიკოსები; ის ადამიანები, რომლებიც რუსთავის მესაძირკველედ შემოგვრჩნენ, ბევრი მათგანი აქგიური ცხოვრებით ცხოვრობდა კიდევაც – ნიკოლოზ ჭიაბერიელი, ვაჟა გაგაბერია, ვალერიან ვადაჭკორია... ყველას ვერ ჩამოთველი. ჩვენ გვინდა ამ ამაგდარ ადამიანებს ერთხელ კიდევ მოვეფერეთ. ამასთან ახალგაზრდობას გავაცნოთ ჩვენი სახელოვანი წინამორბედების საგმირო საქმეები. დიდი გეგმა გვაქვს და ამას მთელი საქართველო შეიგყობს, ისე როგორც რუსთაველთა პირველი გამარჯვებები იყო ერისთვის სიხარულის მომგანი, წლეულნელი რუსთაველქალაქობაც ასევე მასშგაბური იქნება.

გივი ჯაბუა.

ფიქრები

შეუძლია თუ არა ღორს გაფრენა?

ბევრი კარგი მეგობარი მყავდა. ჩემდა სამწუხაროდ, ნელ-ნელა ვკარგავ (საბედნიეროდ, სიკვდილის გამო არა). ეს გულწრფელად მაწუხებს. ვწუხვარ და ვცდილობ ავხსნა, რა ხდება, რით არის ნაშენი ის ბარიერი, მე რომ ვერასგზით გადამილახავს, ისინი კი შეგნებულად ამოფარებიან და კმაყოფილნიც კი არიან, ძნელად მოსახელთებელნი რომ გახდნენ? არც გაემგყუნებათ – მათთვის ეს ხომ საკუთარი სიდიადის წინა პლანზე წამოწევის ერთ-ერთი მეთოდია.

რას იზამ, შენ ერთი ჩვეულებრივი მოკვდავი ხარ, ისინი კი, შემთხვევით თუ დამსახურებულად, თანამდებობრივად შენზე რამდენიმე საფეხურით მაღლა მდგომნი. სიმაღლეზე ასულმა კაცმა ძირს რომ თავი დახაროს, მძიმე თავთავი უნდა იყოს. სამწუხაროდ, მაღლა მომზირალნი უფრო ჭარბობენ. ის კი ავიწყდებათ, რომ გზა ყოველთვის სწორი და ხელისგულივით გლუვი არ არის. ზოგან ქვა გდია, ზოგან ორმოს დაუფჩენია პირი. ეს კი იმის გარანგიაა, ორივე შემთხვევაში ფეხიც მოიგგეხო და კისერიც. ღმერთმა დამიფაროს ავი ვინმეს ვუსურვო, მაგრამ ჩემი ჟურნალისგად მუშაობის პერიოდში უმაღლეს თუ მაღალ თანამდებობებზე მდგარი იმდენი ჩინოსანის ეპოლეგების აყრას შევსწრებივარ, რომ მივხვდი: არც ერთი თანამდებობა ადამიანურობის დაკარგვად არ ღირს...



ბრძენი კაცი იყო სირაკუზას ხელმწიფე აგათოკლე, სასახლეში ოქროს ჭურჭლის გვერდით თიხის ქოთანი რომ ედგა, ღმერთი არ გამიწყრეს და ჩემი მეჭურჭლიშვილობა არ დამავიწყდესო... მართალია, სიბრძნეს ყველას ვერ მოსთხოვ, მაგრამ როცა კაცს ამის პრეტენზია აქვს და თანამდებობის დაკავებისთანავე ინდაურივით გაიბუხორება, ხმის ტემბრს შეიცვლის და ტონსაც გაიმკაცრებს, უჩინო მეგობრებსა თუ ახლობლებს ზურგს უჩვენებს, კარი თუ ტელეფონი კი მხოლოდ თავის მსგავსებისთვის ექნება ღია, გაიხსენოს, რა უთხრა ერთმა ბრძენმა ერთ ხელმწიფეს: შენ რომ სასახლე გგონია, მხოლოდ ფუნდუკია, სადაც ადამიანები მოდიან, ცოგა ხნით რჩებიან და მიდიან. ბევრჯერ ვყოფილვარ აქ, როცა მაგ სავარძელში სხვები მსხდარან. კელავ მოვალ, მაგრამ აქ შენ კი არა, უკვე სხვა იჯდება, ის სხვაც შენსავით ბრიყვი იქნება და აქაურობა მუდმივი სამფლობელო ეგონება, მაგრამ აღრე თუ გვიან, როცა ეს ყველაფერი უკან დარჩება, ყოველგვარი ადამიანურობისგან გაძარცული მარგო აღმოჩნდება.

ასეა, აღმართს ყოველთვის დაღმართი მოსდევს და გვიან ვხვდებით, რომ წუთისოფელი მეგისმეგად მოკლეა იმისათვის, ჩვენი ნამცეცა მიღწევებით, ბედის გაღიმებით რომ გვერგო, მეორე ადამიანს თავი გაღავამეგოთ, მით უფრო, თუ ეს ადამიანი, როგორც უკვე ვთქვი, ერთ დროს შენი მეგობარი იყო...

ისე არავინ გამიგოს, არ ვიცოდე, გარკვეული როლი რომ შესაბამისი ქცევის სგერეოგიპებს მოითხოვს, არც ვინმე მეგულება ამის გამო არ გაუგოს მაღალჩინოსან მეგობარს და მისი ოფიციალურობა აუცილებელ ქმედობად არ მიიჩნიოს, მაგრამ დღეღამის რაღაც მონაკვეთში ხომ არის დროის რაღაც შუალედი, როცა თანამდებობრივი ჩარჩოებიდან თავისუფლდები და შეგიძლია იყო ის, რაც სინამდვილეში მანამდე იყავი?

სამწუხაროდ, უმეგესობას თანამდებობა და, აქედან გამომდინარე, მოვალეობები რადიკალურად ცვლის. ხდება განსვლა პიროვნებასა და თავის როლს შორის, ანუ ადამიანი ვერ იქცევა ისე, რისი მოლოდინიც მის მეგობრებსა თუ ახლობლებს ჰქონდათ.

რა თქმა უნდა, თუ თანამდებობა მოითხოვს სიმკაცრეს, შეიძლება იყო მკაცრი, ძალიან ობიექგურიც, თუმცა ბუნებრივი ამ სიმკაცრეში, მაგრამ როდესაც ეს სიმკაცრე ახლობლებისთვის უკვე თვალშისაცემი ხდება, ანუ არაბუნებრივი, ჩნდება კითხვა: რა ხდება? რამ შეცვალა გუშინდელი უახლოესი მზრდილი და კეთილშობილი ადამიანი ასე ძალიან?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ფსიქოლოგების დახმარებით ვცადე. აი, რა მითხრა ფსიქოანალიგიკური ცენგრის ფსიქოლოგმა **ია ახელედიანმა:**

– ბოლო პერიოდში ისეთი ადამიანები იკავებენ თანამდებობებს, რომ დაკისრებული როლი მათ ბუნებრივ შესაძლებლობებსა და რესურსებს ვერარ შეესაბამება, ანუ ადვილი შესაძლებელია, ამისთვის მათ არ გააჩნდეთ ინგელექგუალური ცოდნა, ის უნარ-ჩვევები, რომლებსაც ეს თანამდებობა მოითხოვს და კიდევ ბევრი სხვა რამ. მოხდებიან თუ არა თანამდებობაზე, არასრულფასოვნების კომპლექსი უმძაფრდებათ და ფიქრობენ, არ გამოჩნდნენ სუსგები, არ დაიბაგრონ, ეს კი მათი არაბუნებრივი ქცევის საფუძველი ხდება. შეუფერებელი ქცევაა უწინარეს ყოველისა, მათთან ურთიერთობის გართულებისა და თანდათან გაუცხოების, შესაბამისად დაშორების მიზეგი, რომელიც ასე აღელვებს თუ აღაშფოთებს მის ახლობლებს, თუმცა თვითონაც რომ დაფიქრდნენ, არა მგონია, მათთვისაც სასიამოვნო იყოს ძველი მეგობრების დაკარგვა.

და მაინც, საბედნიეროდ, ყველა როდი ავადდება ამ სენით. თუ ფსიქოლოგებს დავუჯერებთ, მსგავსი რამ სჭირთ იმათ, ვისთვისაც ეს როლი მითიური, ანუ ილუზია იყო, დღეს კი სიცხადედ ექცათ, რადგან ყოველივე ეიფორიას იწვევს. ეიფორიულ მდგომარეობაში კი რაციონალურ ქმედობებზე წინ ემოციური ფონია წამოწეული. ამ დროს გარკვეული ღირებულებები გვერდზეა გადაწყობილი და ადამიანის ამჟამინდელი ქცევა უცხოა მეგობარ-ახლობლებისთვის, ანუ ეს უცხო მისი ის ნაწილია, რომელიც სხვ სთვის აქამდე უცნობი იყო. წინა პლანზე წამოწეული უცხო ყოველთვის არაბუნებრივია, ანუ ეს მაღალჩინოსნები არააღეკვატურად იქცევიან იმ სიგუაციაში, რომელიც ცხადი ხდება მათთვის.

სულ სხვაგვარადაა საქმე, როდესაც ადამიანი დამსახურებულად იღებს თანამდებობას, ჯილდოს და ა. შ. მისთვის ეს ყველაფერი უცხო არ არის, რადგან იცის, ეს მისი ნიჭიერების, პროფესიონალიზმის, შრომის შედეგია, რომელიც დაუფასეს, მაგრამ, როდესაც მიღწევები ფესვებია, ადამიანი უკვე არააღეკვაგური ხდება.

– უნდა გავუგოთ ამ ადამიანებს თუ უნდა გავუნაწყენდეთ?

– როდესაც ვიცით, რაგომ იქცევა ჩვენი მეგობარი ასე (რა თქმა უნდა, ეს თუ არ აბიჯებს, არ ანგრევს იმ ძირითად ფასეულობებს, რაც ჩვენშია, ანუ შეხედულებებს მეგობრობაზე, სიყვარულსა და ერთგულებაზე), თუ არ გვაგარალებს და შეგვიძლია ყურადღება არ მივაქციოთ, რადგან დროის რაღაც პერიოდში მისგან კომპენსაციად ვიღებთ ძველებურ ყურადღებას, უნდა გავუგოთ, მაგრამ თუ იგი საერთოდ ივიწყებს ჩვენს არსებობს და რამდენჯერმე მდინის პირით შემოთველილი მოუცლელობის მომიგეზებით აშკარა ხელისკვრას ვგრძნობთ, რაც მგკივნეულად მოქმედებს ჩვენს თავმოყვარეობაზე, უნდა შევეშვათ და წლებით ნაჭედი მეგობრობა დავიივიწყოთ.

ქალბაგონი იას აზრით, როცა ღეს ჩვენში საბაზრო ურთიერთობები ყალიბდება, მეგობრულ-ახლებური დამოკიდებულობებიც ძალაუნებურად იცვლება. ჩვენ კი გვინდა, რომ ეს ადამიანი ძველებურად უშუალო იყოს, მაგრამ საბაზრო ურთიერთობები თავისას მოითხოვს.

რაც ღეს საქართველოში ხდება, იმ სოციალურ-პოლიგიკური ეკონომიკური ცვლილებების შედეგია, რომელიც სწრაფი გემპით მიმდინარეობს, იგივე განაპირობებს შემთხვევითი ადამიანების შეუფერებელ თანამდებობებზე მოსვლა-წასვლას, მაგრამ უფრო დიდი ტრაგედია იქნება, თუ ეს შემთხვევითობა ღიდხანს გასგანს, რადგან სწორედ ეს არის ქვეყნის წინსვლის დამუხრუჭების ერთ-ერთი და უმთავრესი საფუძველი. ცდისა და შეცდომების გამეორებით წინსვლა გამორიცხულია. ერთხელ შეეგშალა, ორჯერ – კაღრების შერჩევაში, გამოცდილებამ მესამედ ხომ მაინც უნდა გვასწავლოს რაღაც?

ფსიქოლოგი ალფრედ ადლერი, რომელსაც შესწავლილი აქვს არასრულფასოვნების კომპლექსისა და განცდის ცნება, ძალაუფლებისკენ ლგოლვის შესახებ მსჯელობისას ამბობს: როდესაც ადამიანისთვის ძალაუფლებისკენ სწრაფვა არასრულფასოვნების კომპ-

იხ. მე-4 გვ.

ინფორმაცია

სასტუმრო „ივერია“

თანხმობა მნიშვნელოვანწილად მიღწეულია

სასტუმრო „ივერიაში“ მცხოვრებ დევნილთა მნიშვნელოვანი ნაწილი თანახმაა, დატოვოს სასტუმრო. ამის შესახებ „ინტერ-პრესს“ თბილისის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, სასტუმროს დატოვების შემდეგ დევნილები საცხოვრებელი ფართობის შესაძენად გერმანული ოპერატორი კომპანიებისგან „ჰეიეტისა“ და „კემპინსკისგან“ 7000-7000 დოლარს მიიღებენ. გარდა ამისა, საჭირო თანხის ნაწილს სასტუმროს აქციათა პაკეტის მფლობელი „სილქროუდ ჯგუფიც“ გასცემს.

ქალაქის ხელმძღვანელობამ შაბათს ქალაქის გარეუბნებში შერჩეული ის რამდენიმე ბინა დაათვალიერა, რომლის შეძენაც სასტუმროდან გასახლებულ დევნილებს ამ თანხით შეეძლებათ.

ეკონომიკა

ექსპერტები რეკომენდაციას იძლევიან

კონფლიქტის ზონებში კონვერსიის პრობლემებზე მომუშავე ექსპერგთა ჯგუფი აფხაზეთის სეპარაგისგური რეჟიმის მიმართ ეკონომიკური სანქციების უპირობო მოხსნის რეკომენდაციას იძლევა. ეს რეკომენდაცია მოცემულია პარლამენგარ რომან გოცირიძის, ექსპერგების ალექსანდრე კუხიანიძისა და ალექსანდრე კუპაგაძის ავგორობით გამოცემულ ნაშრომში „კონვერსიის პრობლემა საქართველოში: აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი“.

„აფხაზეთის სეპარაგისგური რეჟიმისთვის სანქციების უპირობო მოხსნის შემთხვევაში ქართული მხარე დაამგკიცებს, რომ შესაძლებელია კონფლიქგის მოგვარების პროცესში გარღაგეხის შეგანა და მხარეებს შორის ნდობის აღდგენა. ამ დგთობის სანაცვლოდ აფხაზეთის ღე-ფაქგო ხელისუფლებამ უნდა გადასინჯოს თავისი ანგიქვართული პოზიცია და გამოეხმაუროს ამა თუ იმ პრობლემის ერთობლივად გადაწყვეგის ინიციაგივას. კონვერსიული ბაზრების ძალისმიერი აღკვეთის ცდამ კი შესაძლოა, გამოიწვიოს კონფლიქგის განახლება და სოციალური აფეთქება“, – მიაჩნიათ წიგნის ავგორებს.

პროგნოზი

ლარის კურსი შეიძლება, კიდევ გამყარდეს

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების „აგრესიული“ პრივაგიზაციის შემთხვევაში ლარის კურსი შეიძლება, კიდევ გამყარდეს.

როგორც „ინტერ-პრესს“ პარლამენგის საფინანსო-საბიუჯეგო კომიგეგის თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ განუცხადა, პრივაგიზაციის დროს სახელმწიფო ქონებით უცხოელი ბიზნესმენები დაინგერესდებიან, ქვეყანაში დოლარის დიდი მასა შემოვა, რაც ლარის გამყარებას უწრუნველყოფს.

მისი თქმით, საჭიროა სერიოზული ეკონომიკური ანალიზი, რათა ქვეყანაში პრივაგიზაციის განხორციელების შედეგად დოლარის მასის ზრდამ ლარის კურსზე არ იმოქმედოს და ამით ქვეყნის ეკონომიკა არ დაამარალოს.

ჯანდაცვა

მედიკოსები ვაფრთხილებენ

ტემპერატურის მაგებასთან დაკავშირებით მედიკოსები გულის დავადებების მქონე პირთათვის რისკფაქგორის ზრდას ვარაუდობენ.

„გულ-სისხლძარღვთა სისგემა იძულებულია, უფრო დიდი დაგვირთვით იმუშაოს, რათა სხეული გრილად შეინარჩუნოს. იზრდება სიცხით გამოწვეგვის და რესპირაგორული პრობლემების წარმოშობის რისკიც“, – აცხადებენ სპეციალისგები.

შესაძლო საფრთხის თავიდან ასაცილებლად ექიმები ურჩევენ მოსახლეობას, მიიღოს დიდი რაოდენობით სითხე და ნუ დაელოდება მოწყურებას, გაზარდოს მარილების და მინერალების მიღება, გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა საცხოვრებელი და სამუშაო სათავსოების გასანიავებლად.

სპეციალისგთა შეფასებით, ზაფხულობით რისკჯგუფს ყველაზე მეგად ახალშობილები და 4 წლამდე ბავშვები, 65 წელზე მეგი ასაკის და ჭარბი წონის მქონე პირები მიეკუთვნებიან.

სამართალი

დამნაშავის ქონება დააყადაღეს

საქართველოს ფინანსური პოლიციის იმერეთის განყოფილებამ ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ ყოფილი ფინანსური დირექგორის ლევან ხვედელიძის პირად ქონებას ყადაღა დაადო. სისხლის სამართლის საქმე განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების განიავებისა და მითვისების მუხლებით აღიძვრება.

ლევან ხვედელიძეს, რომელიც „ჭიათურმანგანუმის“ ფინანსური დირექგორის პოსგს 2003 წელს იკავებდა, 238 ათასი ლარის მითვისება ედება ბრალად.

ინტერ-პრესი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 184, სამშაბათი, 10 აგვისტო, 2004 წელი.

⊙ შვებულების დრო

აირჩიეთ, სად გსურთ დასვენება,

თუ, ცხადია, ამის საშუალებას ჯიბე მოგცემთ

აღრეულ წლებში ბაფხულის სეზონის დადგომისთანავე იწყებოდა ნაცნობ-მეგობრების შეწუხება, თხოვნა საგზურის გამოყოფის თაობაზე.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის შეცვლამ ამ მხრივაც შეცვალა სიტუაცია. საგზურები არის, მაგრამ მათი მაღალი ფასის გამო რიგითი მოქალაქე ნაკლებად გაიკრავს ჯიბეზე ხელს. რას ვიზამთ, რეალობა ასეთია.

გთავაზობთ საქართველოს კურორტებზე საგზურების ღირებულებას და ინტერვიუს საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა და საზოგადოებრივი გაერთიანებების მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელთან ტარიელ მგელაძესთან.

– აღრე ორი სახის საგზური არსებობდა, – ამბობს ბაგონი გარიელი, – დასასვენებელი სახლის, რომლის მოქმედების ვადები მერყეობდა 12, 14, 18 დღეზე, და სანატორიული მკურნალობისა – 24 დღეზე გათვალისწინებით.

– ძირითადად ვინ აფინანსებდა საგზურებს?

– 1991 წლამდე საგზურებს უმრუნველყოფდა სოცდაზღვევის ფონდი, რომელიც პროფკავშირის დაქვემდებარებაში იყო, საგზურის მფლობელი იხდიდა ღირებულების 10, 20 პროცენტს, უმეტესობა კი საერთოდ უფასო იყო. ამ ფონდის ბაზაზე 1991 წელს შეიქმნა სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. ამ პერიოდიდან არსებული მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ამჟამად საგზურების ტეოგრაფია და ღირებულება იანგარიშება ერთ დღეზე და მისი ხანგრძლივობა დაკავშირებულია საგზურის შემძენი პიროვნების ფინანსებზე, რადგან საგზურის ფასი ძალიან გაიზარდა.

– თქვენი აზრით, ძირითადად რამ გამოიწვია ფასის ასეთი მატება?

– თუ წინა წლებში დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები მთელი წლის მანძილზე დატვირთული იყო, ახლა დასვენება და მკურნალობა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დაკავშირებულია მაფხულისა და მამთრის პერიოდთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ის მოგება, რაც ამ ინდუსტრიაში ჩართულმა დაწესებულებებმა და პიროვნებებმა უნდა მიიღონ მთელი წლის მანძილზე, ორსამ თვეზე ნაწილდება. ალბათ ესეცაა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი საგზურების სოლიდური ფასებისა, ბევრი პიროვნება დამოუკიდებლად ცდილობს აღგილზე ჩასელას და იქ მისთვის მისაღები პირობების შერჩევას.

ჩვენი აზრით, კარგი იქნება, თუ აღგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მეშვეობით ჩამოყალიბდება მომსახურების სერვის-ცენტრები, რომლებიც საგრძნობლად გაადვილებდა ამ პრობლემის მოგვარებას.

– უშუალოდ პროფესიული კავშირი ამ მხრივ რა მუშაობას ეწევა?

– საჯარო სამსახურის დაწესებულებებში მომუშავე მოსამსახურეების ხელფასების თანაფარდობისა და ოდენობის გათვალისწინებით, შევეცადეთ ჩვენს მიერ შეკრებილ მონაცემებში, მათთვის შეგვეთავაზებინა დასვენების პირობები, როგორც მაღალი და საშუალო, ასევე დაბალი ღირებულების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ჩვენს ინფორმაციას მოაყვა თანაღო უკუგება და დიდი გამოხმაურება, ამჟამად ჩვენი დახმარებით 300 მუშაკი ისვენებდა და ისვენებს სხვადასხვა კურორტებზე, შედარებით დაბალ ფასებში.

⊙ ფიქრები

შეუძლია თუ არა ღორს გაფრენა?

(მესამე გვერდიდან)

ლექსის დაძლევის ცდაა, ტრაგედიაა, მაგრამ თუ ძალაუფლებისკენ ლტოლვა სხვა არა არის რა, გარდა იმისა, რომ იცის, ამით ბევრ კარგს გაუკეთებს ხალხსა თუ ქვეყანას, ეს უკვე სხვაა. ანუ გააჩნია, რა გამოძრავებს: არასრულფასოვნების განცდა თუ კომპლექსი?

რამ შეიძლება გამოიწვიოს ეს კომპლექსი? ალფრედ აღლერი ამ შემთხვევაში სამი ტიპის ადამიანს გამოყოფდა, რომლებშიც არასრულფასოვნების კომპლექსი შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკურმა ნაკლმა, ძალიან გამანებიერებელმა სიგუაციებმა, როცა ბავშვსა თუ მოზარდს ყველაფერს უსრულებენ და ის სამყაროს ცენტრი ხდება და პირიქით, როცა ადამიანი არაფერს წარმოადგენს, მიგოვებულია ანუ უარყოფილია. ასეთი ადამიანები ცდილობენ სწორედ მიუღებელი გზებით დაიმკვიდრონ თავი.

ადამიანი, რომელიც ყველაფრის შესრულებას არის მიჩვეული და უცებ დინახავს, რომ რაც სწადია, ვერ მიიღებს, ცდილობს, რადაც უნდა დაუჯდეს, თავისი გაიგანოს. სწორედ ასეთი ტიპის ადამიანებისთვის ხდება ძალაუფლებისკენ ლტოლვა თვითმიზანი. და თუ მოიპოვებს, არასოდეს გამოიყენებს კონსტრუქციულად. სამწუხაროდ, დღეს ასეთი ტიპის ადამიანები ხშირად ხდებიან თანამდებობებზე, – ამბობს ქალბატონი ია, და შეკითხვაზე, – მიხვდებიან თუ არა ეს ადამიანები გარკვეულ ეტაპზე მაინც, რომ ისინი მოხვდნენ იქ, სადაც არ არის მათი აღგილი, – მიპასუხებს:

– შეიძლება ცნობიერ დონეზე ვერც ხვდებოდნენ და აბსოლუტურად სამართლიანად მიაჩნდეთ, რომ ეს სწორედ მათი საკეთებელი საქმეა, რომ ძალიან ბევრის გაკეთება შეუძლიათ დარგისთვის, ამ დროს კი საქმეს თავს აშკარად ვერ ართმევდნენ. ამ შემთხვევაში კი ხელი ხელს ბანს პრინციპის გამო არ უნდა დაბარალღეს დარგი. საჭირო კადრი საჭირო აღგილზე დროზე უნდა ამოვიცნოთ, რადგან დღევანდელობა შეცდომებს მძიმედ გვაზღვევინებს.

ერთხელ ლინკოლნმა თავის ძველ მეგობარს უთხრა უარი, – ამ თანამდებობაზე არ გამოდგებიო. როცა ჰკითხეს, ასე რატომ მოექცეიო? უპასუხა: – მხოლოდ ჩემი პირადი გრძნობებისათვის რომ გამეწია ანგარიში, სამსახურიდან გაღაღგომა და აქედან წასელა მომიწევდა. მე მოვალე ვიყავი, მისთვის უარი მეთქვა.

სხვისა არ ვიცი და ასეთი პრინციპულობისა თუ პირდაპირობის გამოჩენის აუცილებლობას დღეს ამკარად ვგრძნობ. სამწუხაროდ, „ვარდების რევოლუციაში“ ეპიზოდური როლის შემსრულებელსაც კი თანამღებობრივ სავარძელში ჯდომის პრეტენზია აქვს. შესაძლებლობებს კი ვინ დაგიდევთ. იქნებ ამიტომაც გაჩნდა აზრი, რომ ნიჭიერება და პროფესიონალიზმი გაუფასურდა?

– შეიძლება დღეს ვინც მართლაც მეტს იმსახურებს, არ აფასებენ, მაგრამ ეს რევოლუციის შემდგომი პერიოდისთვის დამახასიათებელი მომენტია, ძალიან მალე დადგება დრო, როცა ყველაფერი გადაფასდება, გადალაგდება და საჭირო ადგილს საჭირო შესაძლებლობის კაცი დაიჭერს, ასე ფიქრობენ ფსიქოლოგები, რომლებიც ბევრი ღირსეული და ნიჭიერი კაცის ჩრდილში უხმოდ დგომას ასეთი დროის მოლოდინში ყოფნად მიიჩნევენ.

მე კი თუ რაიმეს ვუმადლი „ვარდების რევოლუციას“, ის არის, რომ სწორედ იმ მეგობართა ღირსებები დამანახა, რომლებიც საჭირო ადგილზე საჭირო კანდიდატურად მივიჩნიე და მათი გადიდკაცება ამ ხელისუფლებას ერთობ დიდ მიღწევად ჩავუთვალე. თურმე... დიდ ილიას მოვიხმობ და ვიტყვი: ისინი უმალ ტიკებივით დაიბერნენ, ღრმად ჩაფიქრებულები გახდნენ და „...შინაგან ღირსებებს მოკლებულები, ცდილობენ გარეგნობით გამოიჩინონ თავი და ხალხის წინ პირბადით დაიარებიან! ძალიან გულითაც რომ ეცინებოდეთ რამეზე, მაინც ვერ ბედავენ გაცინებას იმ მოსაზრებით, რომ ქვეყანამ ამჩაგება არ შეგეწყობოს და, ვაი თუ აღარად ჩაგვაგდოსო. ამ ქარაფშუტულ თავმოყვარეობას სწირავენ თავის წუთისოფელს! ერთს, რომელსამე მათგანს რომ ჰკითხოთ მაგალითად, „ღორს შეუძლია გაფრენა თუ არა-თქო? – ნუ გგონიათ, რომ იმან მალე რამ გიპასუხოთ!... არა, ჯერ სახეს შეიჭმუხნის, მოემზადება თვითონ, და ბოლოს მოჰყვება: „ჰმ... ღორის აგებულების ასხმა გვიმტკიცებს, რომ იმას არ უნდა შეეძლოს გაფრენა! მართალია, ამ საგანზე თუმცა არას იხსენიებს ბოკლი და თვით დარვინიც არას ამბობს, მაგრამ ჩემი აზრით კი სწორედ ასე უნდა იყო, რომ ღორი ვერ უნდა გაფრინდესო!“.

დიახ, სწორედ რომ, ასე გიპასუხებენ, თუ ბედმა გაგიღიმათ და ერთხელ მაინც გახდით ღირსი ორი (მეტი თუ არა) მობილური ტელეფონიდან იმ ერთის მარს უპასუხონ, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის რომ აქვთ განკუთვნილი (მდივანთან დარეკვას ხომ აზრი არა აქვს – თუთიყუშივით გაბეპირებული სიტყვებით გისტუმრებს – დაკავებულია, შეხვედრაზეა, გასულიაო). ნახვით კი ტელეკრანზე თუ ნახავ, შეხვედრის სხვა შანსი გამორიცხულია (ეკრანი მაინც სულ სხვაა, პრესა დღეს აღარად უღირთ).



წერილის დასაწყისში ვთქვი, მეგობრების დაკარგვის გამო ვწუხვარ-მეთქი. დასასრულს მივხვდი: საწუხარი არა მქონია რა.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

⊙ წუთისოფელი

ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

ჩაწერილი ექიმ დავით კვიტაიშვილის მიერ თბილისის მეორე კოლონიაში, ორთაჭალაში, 1948 წელს

გვანჯი ჩიქოვანი მის რაგმელებთან ერთად.

სწორედ გენერალი ყარამან მარღანია ჩამოსულიყო ირკუტსკში და ჩემი დაპატიმრების ამბავი რომ გაეგო, დაუყოვნებლივ შესულიყო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსთან და დაპატიმრების საფუძველი მოეთხოვა. კატეგორიულად უთქვამს – თუ რაიმე კონკრეტული მიზეზი და საფუძველი არა გაქვთ, ტყუილ-უბრალოდ ნუ აწვალებთ ახალგაზრდა კაცს, თორემ სამი დღის შემდეგ ვაცნობებ შინაგან საქმეთა სამინისტროს და პასუხს მოგთხოვენო. მე ამის შესახებ თავისი სანდო მსახურის მეშვეობით გამაგებინა გარეთ მყოფმა ჩემმა კარგმა მეგობარმა, ერთმა რუსმა. მან წერილობით მაცნობა მარღანიას ჩარევა ჩემს საქმეში. მე ამ ამბავმა ძალიან გამამხნევა და ყველას გავაგებინე. ნესტორსაც დიდი იმედი მიეცა. ჩვენ ვერავითარ კონკრეტულ ბრალდებას ვერ გვიყენებდნენ. გვეკითხებოდნენ არალეგალური რევოლუციური წრის შესახებ, სალაროს შესახებ, მაგრამ არავინ არ გამოგხილა და, რაც მთავარია, ყარამან გუსკია, ვისაც სალარო ებარა, არ ჩავარდნილა. ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ვიღაცამ გაგვცა. ისიც ცხადი იყო – იმ გამცემმა ყველაფერი არ იცოდა, მათ შორის, სალაროს აღგილსამყოფელი და უფრო ამან გაგვაგარჩინა. მე და ნესტორმა ეჭვი მივიგანეთ ერთ ჩვენს თანამემამულეზე, გვარად კახიძეზე. ამ კაცს ერთ ბნელ ქუჩაზე ჰქონდა ლუქით სავაჭრო და სასაუმე. საეჭვო საქციელის პიროვნება იყო. მასთან თავს იყრიდნენ როსკიპი ქალები და სხვადასხვა ბინძურ გარიგებაში ერია. ამ კაცმა ყურმოკრულად იცოდა რაღაცეები ჩვენს საქმიანობაზე, მაგრამ ჩვენი წრის შეკრებებზე ერთხელაც არ დაგვისწრია. მან არც სალაროს აღგილსამყოფელი იცოდა. ცნობით კი გვიცნობდა უმრავლესობას, რაღაც სალაროს არსებობაზეც ჰქონდა გაგონილი, თუმცა დაბეჯითებით არაფრის თქმა არ შეეძლო. ჩვენ მაშინვე ვიფიქრეთ, რომ ამ საეჭვო კაცის ჩაღენილი იქნებოდა ეს ბინძური დასმენა და განთავისუფლების შემდეგ კიდევაც გამართლდა ჩვენი ვარაუდი.

გენერალ მარღანიას ჩარევამ უეჭველად დააჩქარა ჩვენი გათავისუფლება. ის რომ არა, ადვილი შესაძლებელი იყო, გაბოროტებულ ჟანდარმთა სამმართველოს ყველანი იაკუტიის ან ტურუხანის ცივ მხარეში გადაევკარგეთ. ამ ღვთისნიერი კაცის მოსელიდან სამი დღის შემდეგ ერთბაშად გაგვათავისუფლეს. მალევე გამორკეულ იქნა ჩვენი გაცემის ამბავიც. დამგკიცდა, რომ ეს ბინძური საქმე კახიძეს ჩაედინა. საპატიმროდან ჩვენი გამოსვლის მეორე დღესვე იმ გარეწარს საჩქაროდ გაეყიდა სავაჭრო და გაქცეულიყო, ვითომდა ჩინეთში (ასე დაებარებინა), მაგრამ ჩვენ დავადგინეთ, რომ ქალაქ ჩიტაში ჩასულიყო და რომელიღაც ბნელ გარეუბანში ისევ დაეწყო თავისი საძრახი საქმიანობა. ჩვენმა წრემ შეუძლებლად ჩასთვალა მისთვის ამ დანაშაულის პატიება. მე და ნესტორმა კახიძესთან ანგარიშის გასწორება ორ კაცს მივანდეთ; ისინი წავიდნენ, მონახეს გამცემი და თავისი მიუზღეს. არ შერჩა უმსგავსობა, ბინძური ღალატი.

მართალია, საპყრობილედან გაგვათავისუფლეს, მაგრამ ჟანდარმერია და პოლიცია უკვე გაძლიერებული ეჭვით გვყურებდნენ და ჩვენს ყოველგვარ მოძრაობას თვალს აღევნებდნენ. იმ პერიოდში ირკუტსკში მსახურობდა მესანგრე ბაგალეონის ოფიცერი გიორგი დიმიტრის ძე მიქელაძე, საუცხოო ვაჟკაცი, დიდად განათლებული პიროვნება, მოწინავე აზროვნების ახალგაზრდა. მე, ნესტორი, ყარამანი და სხვები დავუმეგობრდით ამ კაცს, ხშირად დავდიოდით მასთან. მეგად მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა, მრავალ საინტერესო საკითხზე იმართებოდა საუბრები. ერთ საღამოს ჟანდარმერიამ მოულოდნელად გაჩხრიკა მიქელაძის ბინა, წაიღეს ბევრი აკრძალული წიგნი და თვითონ გიორგი მიქელაძე, გენერალ-გუბერნატორ სელივანოვის წარდგინებით, სამსახურიდან გადააყენეს და წოდება ჩამოართვეს. ამან ყველანი შეგვაწუხა – ნესტორი, ყარამანი, მელიტონი და სხვებიც უკვე ძალიან ფრთხილობდნენ. მე განვაგრძობდი სამსახურს ხან ხასაევის კანტორაში და ახლო მეგობრობა მქონდა მის ოჯახთან. ჩემი პატიმრობის დროს დიდი ყურადღება გამოიჩინა, დაუწყარი დახმარება გამიწია მადამ ხასაევამ, ვისი წყალობითაც მე და ჩემმა მეგობრებმა ჯანმრთელობა შევინარჩუნეთ.

რევოლუციური არალეგალური წრე მაინც არ დაშლილა. მუშაობას განაგრძობდით ძლიერ ფრთხილად, ეეხმარებოდით ციხეში მყოფ და შორეულ გადასახლებაში მიმავალ რევოლუციონერებს. მე, ჩემი ხარჯით, თითქმის ყოველთვის ეინახავდი გაჭირვებაში ჩავარდნილ ხუთ-ექვს კაცს. რითაც შემეძლო, ყველას ხელს ვუმართაველი.

ერთ დღეს ვიგუგთ, რომ ირკუტსკის ციხეში ჩამოიყვანეს ცნობილი სამოგადო და პოლიტიკური მოღვაწე იოელ სახოკია. მე და ნესტორმა გადაწყვიტეთ, მისგვეწოლებინა მისთვის რაიმე დახმარება. ამ ბჭობაში რომ ვართ, მოდის ჩვენს ბინაზე ციხის ერთ-ერთი უმცროსი მოხელე. მაწვდის წერილს და პასუხს არ ელოდება, ისე მიდის. მე და ნესტორი ვკითხულობთ ამ წერილს. ბარათი ჩემს სახელზეა. თელო მწერს: ძეირფასო ეგანჯი, გავიგე, რომ აქ ხართ. ჩემი საქმე ცუდად არის. მასახლებენ იაკუტიის გუბერნიის შორეულ, ცივ მხარეში, სადაც ჩემი სუსტი ჯანმრთელობის გამო უეჭველად დავიღუპები. ჩემი შვილა შეუძლია ციხის მთავარ ექიმს, სერეგას, რომელთანაც შეიძლება ფულით გაკეთდეს საქმე, რათა, როგორც ავადმყოფი, სადმე უახლოეს რაიონში გამაგზავნოს...

ბევრი ფიქრის დრო არ იყო. სასწრაფოდ მოვიყარეთ თავი. მე, ნესტორმა, კოლია წულუკიძემ და ბევან ბერეჟიანმა გადავწყვიტეთ წერილით მიგვემართა ექიმ სერეგასათვის. საქმის აღსრულება მე დამავალეს. ნესტორმა დაწერა მეტად მგრძნობიარე წერილი. წინასწარ გექონდა გაგებული ექიმის მისამართი. ჩავდეთ ეს წერილი ორას მანეთთან ერთად კონვერტში და გავეშურე ექიმის ბინისაკენ. მას ავადმყოფთა მიღება ჰქონდა, შევედი მის კაბინეტში, მივესალმე, თავაზიანად გავუწოდე კონვერტი და ვუთხარი: პატივცემულო ექიმო! გთხოვთ, იმოქმედოთ თქვენი სინდისის მიხედვით! – სწრაფად გამოვტრიალდი, სწრაფადვე ჩავჯექი ეტლში და შინ დავბრუნდი.

ექიმთან ჩემი მისვლის მეხუთე დღეს გადავშალეთ ირკუტსკის გაზეთი „სიბირსკაია ზარია“ და ვხედავთ, შიგ დაბეჭდილია თვით ექიმ სერეგას განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ მას ეიღაც უცნობმა, ქრთამის სახით, გადასცა 200 მანეთი და ამ თანხას იგი სწირავს უპატრონო ბავშვთა სახლს. მე და ჩემს მეგობრებს ელდა გვეცა, სასტიკად შევწუხდით და იმედი გავეცრუვდა. მეუფრიგდით იმ ამბავს, რომ თელოს შევლა აღარ შეგვეძლო, მაგრამ ჩვენი სასწარკვეთა ხანმოკლე აღმოჩნდა. ამ ყოფაში რომ ვართ, თელო გეიგზავნის კაცს და მადლობას გვითვლის – სერეგამ საქმე გააკეთა და იაკუტიის ნაცვლად, რომელიც სამი ათასი კილომეტრით არის მოშორებული, იგი გაამწესეს მემობელ კირინსკის მაზრაში, ირკუტსკიდან ექვსას კილომეტრზე...

ეს იყო 1907 წლის მამთარში. 1908 წლის გაზაფხულის ერთ საღამოს, მოულოდნელად, გადასახლებიდან გამოქცეული თელო სახოკია კარზე მომადგა. ყველამ დიდი სიხარულით მივიღეთ ეს საუცხოო ადამიანი. მოვუარეთ, დავასვენეთ, ფერზე მოვიყვანეთ, მოვაჯანსაღეთ. მახსოვს, ერთხელ თელომ მთხოვა – ჩემო გეანჯი, საგუცაეი მიყიღეო.

(გაგრძელება იქნება).

საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა და საზოგადოებრივი გაერთიანებების მუშაკთა პროფესიული კავშირი

ტარიფები

საგზურებს შემდეგ კურორტებზე 2004 წლის გაფხულის სეზონზე. ერთი დღის ღირებულება ლარებში.

კურორტის დასახელება	სასტუმროს, სანატორიუმის დასახელება	ფასი აგვისტოში	კვება
ბათუმი	სასტუმრო ინგურისგი	30-40 ლარი	ერთჯერადი კვება
ბათუმი	კერძო სექტორი	10-15 ლარი	კვების გარეშე
კვარიათი	კერძო სასტუმრო	20 დოლარის ეკვ. ლარებში	სამჯერადი კვება
სარფი	კერძო სასტუმრო	20 დოლარის ეკვ. ლარებში	სამჯერადი კვება
ციხისძირი	პანსიონატი „ცისარტყელა“	18-20 ლარი	სამჯერადი კვება
მწვანე კონცხი	სანატორიუმი „აჭარა“	16-20 ლარი	სამჯერადი კვება
ქობულეთი	სასტუმრო „ინტურისტი“	17 ლარი	სამჯერადი კვება
ქობულეთი	სანატორიუმი „საქართველო“	32-35 ლარი	კვების გარეშე
ქობულეთი	სასტუმრო „ივერია“	53 ლარი	სამჯერადი კვება
ქობულეთი	დ-ს „შევარდენი“	13-17 ლარი	ოთხჯერადი კვება
ქობულეთი	საკურორტო პოლიკლინიკა	15 ლარი	სამჯერადი კვება
ქობულეთი	სასტუმრო „არმაზი“	13 ლარი	ორჯერადი კვება
ქობულეთი	კერძო სექტორი	11-14 ლარი	სამჯერადი კვება
ქობულეთი	კერძო სექტორი (ბავშვებისათვის)	12,5-16 ლარი	სამჯერადი კვება
ურეკი	სანატორიუმი „მეგობრობა“	25-30 დოლარის ეკვ. ლარებში	სამჯერადი კვება
ურეკი	პანსიონატი „თოლია“	17 ლარი	სამჯერადი კვება
ურეკი	დასასვენებელი ბაზა „კოტეჯები“	10-11 ლარი	სამჯერადი კვება
ურეკი	დასასვენებელი ბაზა „კოტეჯები“	5 ლარი	კვების გარეშე
ურეკი	სასტუმრო „ელიტა“	12 ლარი	სამჯერადი კვება
ურეკი	სასტუმრო „კოლხიდა“	25 დოლარის ეკვ. ლარებში	სამჯერადი კვება
ურეკი	სასტუმრო „თეთრი სახლი“	20 ლარი	სამჯერადი კვება
ბორჯომი	სანატ. „ფირუმა“	18-25 ლარი	სამჯერადი კვება
ბორჯომი	საბაზ. სანატ. „ლიკანი“	16-24 ლარი	სამჯერადი კვება
ბორჯომი	კურორტსერვისი	6 ლარი	კვების გარეშე
ბორჯომი	სანატ. „პლატო“	15 ლარი	სამჯერადი კვება
ცემი	პანსიონატი „მზიური“ ჯგუფ.	10-12 ლარი	სამჯერადი კვება
ცემი	პანსიონატი „მზიური“	5 ლარი	კვების გარეშე
ახალდაბა	კერძო სექტორი	10 ლარი	სამჯერადი კვება
წაღვერი	პანსიონატი „კეჩხობი“	16-25 ლარი	სამჯერადი კვება
სურამი	სანატორიუმი „ჩუმათელეთი“	16 ლარი	სამჯერადი კვება
შოვი	პანსიონატი „მამისონი“	16-19 ლარი	სამჯერადი კვება
უწერა	პანსიონატი „ფაზისი“	18-20 ლარი	სამჯერადი კვება
საირმე	სანატორიუმი „ბაღდათი“	17-20 ლარი	სამჯერადი კვება
საირმე	სანატორიუმი „საირმე“	18-20 ლარი	სამჯერადი კვება
წყალტუბო	„წყალტუბეროფკურორტი“	16 ლარი	სამჯერადი კვება
ახტალა	სანატორიუმი „ალაზანი“	18-20 ლარი	სამჯერადი კვება
ცხვარიჭამია	პანსიონატი „კოსმოსი“	13 ლარი	სამჯერადი კვება.

ცნობებისათვის დარეკეთ: ტელეფონი, ფაქსი: 38-71-62, მობილ: 893 248677, ტარიელ მგელაძე.

⊙ თბილისური ზაფხული

დედაქალაქში მხოლოდ პოლიტიკოსები რჩებიან

ივლისსა და აგვისტოში თბილისელებს ქალაქიდან გასვლა ეჩქარებათ. ზოგი ზღვას მიაშურებს, ზოგი მთას, ზოგიც თავის მამაპაპეულ სოფელს, ზოგმა კი, შესაძლოა, ერთი დღითაც ვერ დააღწიოს თავი სულის შემხუთველ სიცხეს. ამ დროს ყველაფერი ფულწია დამოკიდებული, თორემ გიყვარდეს, ქართველებს გართობასა და დასასვენებელი აღგილის შერჩევაში ვერავინ გვჯობებს.

საზოგადოებას, რაგომღაც ყოველთვის აინტერესებს, სად ისვენებენ ცნობილი ადამიანები. შევეცადეთ მათი ინტერესები ნაწილობრივ დაგვეკმაყოფილებინა. კითხვაზე: სად აპირებდნენ ბაფხულში დასვენებას? – პოლიგიკოსთა უმრავლესობამ პასუხის გაცემისგან რაგომღაც თავი შეიკავა, ნაწილმა კი ქალაქიდან გასვლაზე (მიზეზის დაუსახელებლად) უარი განაცხადა. ზოგმა თანამდებობის პირმა კი ეს კითხვა გაიკვირვა: – ჩვენი მუშაობის რეჟიმი ასეთ „ფუფუნებას“ გამორიცხავსო.

ვითომ უფულობის ბრალია?

წელს, თბილისში ძირითადად მინისტრები და პოლიგიკოსები რჩებიან (?) ასე რომ, უფულობა არაფერ შუაშია, თუ საქმიანი ადამიანი ხარ, დარჩი ქალაქში, თუ არადა, მიბრძანდი, ბაგონო!..

ასე რომ, ბედნიერ დასვენებას გისურვებთ, თბილისიდან გასულო „უსაქმურო“ თანამოქალაქენო!

ჩინოვნიკი

ზაფხულს შსს-ს პირველ სართულზე გავაბარებ

ტელეფონით ახლად დანიშნულ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს **გურამ დონაძეს** დავუკავშირდით:

– მე ბაფხულს სამინისტროს პირველ სართულზე გავატარებ, – გვპასუხობს იგი, – რაც „ვარდების“ რევოლუცია მოხდა, რას ნიშნავს დასვენება, უკეე დამავიწყდა...

– ალბათ, არც თქვენი მინისტრი დაისვენებს?

– რა თქმა უნდა, ეს გამორიცხულია.

ჟურნალისტი

ზაფხულის „არდადეგები“ – ათენის ოლიმპიადაზე

სპორტული კომენტატორი **თამარ ბალავაძე** წელს ბაფხულს ორიგინალურად გაატარებს, ის 12 აგვისტოდან საბერძნეთში ათენის ოლიმპიადაზე დასასწრებად ქართულ დელეგაციასთან ერთად წავა.

– ათენში თვის ბოლომდე დავრჩები, – ამბობს ქალბატონი თამრიკო, – რადგან ჩემს კოლეგასთან გიორგი ფრანგიშვილთან ერთად მომმზადებულ ფილმს „ათენიდან ათენამდე“, რომლის ცამეტი სერია უკვე გადაღებულია და ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გადის, დაემატება მეოთხმეტე სერია, რომელშიც წლევანდელი ათენის ოლიმპიადა იქნება გადაღებული. მე ამას დასვენებას ვერ დავარქმევდი, თუმცა ეს ჩემთვის გაცილებით მეტია.

ლელა მანავლიშვილი.

⊙ ინფორმაცია

აეროპორტი

ტრასაზე ახალი საფარი დაიგება

აეროპორტის გრასის მნიშვნელოვან მონაკვეთზე (საერთო ფართობით 150 ათასი კვადრატული მეგრი) უახლო-



ეს მომავალში გზის ახალი საფარი დაიგება. აღნიშნულ ტერიგორიაზე დაწყებული სამუშაოები თბილისის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა დაათვალიერა.

როგორც მერმა აღნიშნა, წელს გათვალისწინებულია გრასის მხოლოდ ერთი მიმართულების - აეროპორგიდან დედაქალაქისკენ მიმავალი გზის შეკეთება. ამასთან, პირველ 2-კილომეგრიან მონაკვეთზე შემასწორებელი ფენა, ხოლო მთლიანად გრასაზე 9-სანგიმეგრიანი ასფალგის საფარი დაიგება.

ამ საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაოებისთვის 8 მილიონ ლარზე მეგი დაიხარჯება.

იმერეთი

ჟურდების გააქტიურება ტენდერმა გამოიწვია

პრეზიდენგის სახელმწიფო რწმუნებულმა იმერეთის მხარეში დავით მუმლაძემ ბრიფინგი გამართა და აღგილობრივ სამართალდამცველებს იმ მოხელეთა საქმიანობის გამოძიება მოსთხოვა, ვინც გრანსპორგის სფეროში კრიმინალებთან თანამშრომლობს.

„საქალაქო გრანსპორგის სფეროში მომუშავე საწარმოს ხელმძღვანელობასა და ე. წ. კანონიერ ქურდებს შორის ბრძოლა მიმდინარეობს. ჩვენ აღარ დავუშვებთ, რომ მათ სახელმწიფო ფული ჩაიგდონ ხელში“, – განაცხადა ბრიფინგზე დავით მუმლაძემ. მისი მონაცემებით, ფირმა „ზორბენალი“, რომელიც ქუთაისის საგრანსპორგო საბებს ფლობდა, ე. წ. „კანონიერ ქურდებს“ გიორგი მუკბანიანს, მეგსახელად „გიშაშოს“ და გარიელ ფოცხვერიას ეკუთვნოდათ.

რწმუნებულის ვარაუდით, ე. წ. ქურდების გააქგიურება ამ სფეროში გენდერის დანიშვნამ გამოიწვია. მან იმედი გამოთქვა, რომ ამ ბრძოლაში სახელმწიფო გაიმარჯვებს.

ინგბერ-პრესი.

ტენდერების შესახებ

1. საქარმველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ქ. თბილისი 0160, გაგარინის ქ. 29 ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის № 115700598, კოდი 220101107 აცხადებს ღია ტენდერს შუახლი-წალენჯიხა-ჩხოროწყუსენაკის საავტომობილო გზის კმ.51-კმ-54 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების ვადა (ეტაპები) განისაზღვრება პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ სამუშაოთა შესრულების გრაფიკის მიხედვით.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **26.08.04-იდან 27.08.04-ის 18 სთ-მდე,** ორ ეგზემპლარად შემდეგ მისამართზე: საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას შს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

4.4. გარდა ამისა, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

– მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლის დართვით); რეგისტრაციის ადგილი; მოღვაწეობის ძირითადი ადგილი; წესდება; სატენდერო წინადადების ხელისმომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ).

– სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო მანქანა-მექანიზმები:

№	მანქანა-მექანიზმების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული)	საკუთარი, იჯარით აღებული (ვისგან)
1	2	3	4	5	6

მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან იჯარით აღებული შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

1	ავტოგრეიდერი საშუალო 79 კვტ სიმძლავრით	1 ცალი
2	ასფალტდამგები	1 ცალი
3	ამწე ტვირთამწეობით 10 ტ.	1 ცალი
4	ამწე ტვირთამწეობით 3 ტ.	1 ცალი
5	ბულდოზერი სიმძლავრით 79-96 კვტ	1 ცალი
6	კომპრესორი მოძრავი	1 ცალი
7	სამტვირთა ჩაქუჩები	2 ცალი
8	საგზაო ფრეზი	1 ცალი
9	სატკეპნი პნევმატური 25 ტ.	1 ცალი
10	სატკეპნი პნევმატური 16-20 ტ.	1 ცალი
11	სატკეპნი გლუვვალციანი 11-18 ტ.	1 ცალი
12	ღორღის გამანაწილებელი	1 ცალი
13	საფარის ბზარების ამოსავსები მანქანა	1 ცალი
14	ექსკავატორი ჩამჩის მოც. 0.4 მ³	1 ცალი
15	ელექტროგენერატორი	2 ცალი
16	ბიტუმის ქვაბი	1 ცალი
17	სარწყავ-სარეცხი მანქანა	1 ცალი
18	ავტოტვითმცლელები ტვირთამწეობით 7-10 თ	8 ცალი
19	ბორტიანი მანქანა ტვირთამწეობით 10 ტ	2 ცალი
20	ბორტიანი მანქანა ტვირთამწეობით 6 ტ	1 ცალი

– ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება:

თანამდებობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი)
1	2	3	4

ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავე პერსონალს უნდა გააჩნდეს ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის შესაბამისი გამოცდილება;

– სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდება:

შესასრულებელი სამუშაოს სახე	სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება
1	2	3

– მონაწილე იურიდიული პირის ხელმძღვანელი ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით აღასტურებს, რომ იგი შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

5. იურიდიული პირი ვერ გაიცლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს 500 ლარის ოღენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ **06.09.2004-დან 07.09.2004-ის საღამოს 18 საათამდე მისამართზე: საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.**

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, მე-13 სართული; საკონტაქტო ტელეფონი 37-63-95, გია დიასამიძე.

სატენდერო კომისია.

განცხადებები ჩატარების შესახებ

1. საქარმველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ქ. თბილისი 0160, გაგარინის ქ. 29 ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის № 115700598, კოდი 220101107 აცხადებს ღია ტენდერს მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის კმ.1-კმ-4 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების ვადა (ეტაპები) განისაზღვრება პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ სამუშაოთა შესრულების გრაფიკის მიხედვით.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **26.08.04-იდან 27.08.04-ის 18 სთ-მდე,** ორ ეგზემპლარად შემდეგ მისამართზე: საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას შს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

4.4. გარდა ამისა, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

– მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლის დართვით); რეგისტრაციის ადგილი; მოღვაწეობის ძირითადი ადგილი; წესდება; სატენდერო წინადადების ხელისმომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ).

– სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო მანქანა-მექანიზმები:

№	მანქანა-მექანიზმების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული)	საკუთარი, იჯარით აღებული (ვისგან)
1	2	3	4	5	6

მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან იჯარით აღებული შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

1	ავტოგრეიდერი საშუალო 79 კვტ სიმძლავრით	1 ცალი
2	ასფალტდამგები	1 ცალი
3	ამწე ტვირთამწეობით 10 ტ.	1 ცალი
4	ამწე ტვირთამწეობით 3 ტ.	1 ცალი
5	ბულდოზერი სიმძლავრით 79-96 კვტ	1 ცალი
6	კომპრესორი მოძრავი	1 ცალი
7	სამტვირთა ჩაქუჩები	2 ცალი
8	საგზაო ფრეზი	1 ცალი
9	სატკეპნი პნევმატური 25 ტ.	1 ცალი
10	სატკეპნი პნევმატური 16-20 ტ.	1 ცალი
11	სატკეპნი გლუვვალციანი 11-18 ტ.	1 ცალი
12	ღორღის და ქვის წვრილმანის გამანაწილებლები	1 ცალი
13	რეციკლირების მანქანა	1 ცალი
14	საფარის ბზარების ამოსავსები მანქანა	1 ცალი
15	ექსკავატორი ჩამჩის მოც. 0.4 მ³	1 ცალი
16	საძირკვა-შემგროვებელი	1 ცალი
17	ელექტროგენერატორი	2 ცალი
18	ბიტუმის ქვაბი	1 ცალი
19	ბუჩქსაჭრელი	1 ცალი
20	საბურღ-ამწე მანქანა	1 ცალი
21	ნიშანსადები მანქანა	1 ცალი
22	სარწყავ-სარეცხი მანქანა	1 ცალი
23	ავტოტვითმცლელები ტვირთამწეობით 7-10 თ	9 ცალი
24	ბორტიანი მანქანა ტვირთამწეობით 6 ტ	1 ცალი

– ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება:

თანამდებობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი)
1	2	3	4

ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავე პერსონალს უნდა გააჩნდეს ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის შესაბამისი გამოცდილება;

– სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდება:

შესასრულებელი სამუშაოს სახე	სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება
1	2	3

– მონაწილე იურიდიული პირის ხელმძღვანელი ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით აღასტურებს, რომ იგი შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

5. იურიდიული პირი ვერ გაიცლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს 500 ლარის ოღენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ **06.09.2004-დან 07.09.2004-ის საღამოს 18 საათამდე მისამართზე: საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.**

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, მე-13 სართული, საკონტაქტო ტელეფონი 37-63-95, გია დიასამიძე.

სატენდერო კომისია.

ნაგასაკიში ჰატივი მიაგეს ატომური დაბომბვის მსხვერპლთა ხსოვნას

9 აგვისტოს იაპონიის ქალაქ ნაგასაკიში გამოაცხადეს წუთიერი დუმილი. ზუსტად 59 წლის წინათ ამერიკელებმა ჩამოაგდეს ატომური ბომბი იაპონიის ამ ქალაქში. მაშინ აფეთქების შედეგად დაიღუპა დაახლოებით 135 ათასი კაცი.

ტრადიციისამებრ, სამგლოვიარო ცერემონია გაიმართა მშვიდობის პარკში აღმართულ მემორიალთან. ხალხი იქ ჯერ კიდევ გამთენიისას შეიკრიბა. დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად პარკში მივიდა იაპონიის პრემიერ-მინისტრი ძიუნიჩიროკოიძუმი. ნაგასაკის მერმა მიტინგზე გამოსვლისას გააკეთა სპეციალური განცხადება.

მან მსოფლიოს ქვეყნებს მოუწოდა აიღონ ხელი ახალი სახეობის მასობრივი განადგურების იარაღის შემუშავებაზე და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შექმნან უბირთვო ზონა.

ინფორმაციის გაჟონვამ ბენ-ლადენის დაკავებას ხელი შეუშალა

ამერიკის ხელისუფლების მცდელობას გაემართლებინა ქვეყანაში ტერორისტული საფრთხის დონის ამაღლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მოჰყვა ის, რომ დიდი ბრიგანეთის, შეერთებული შტატების და პაკისტანის სპეცსამსახურებმა დაკარგეს ინფორმაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო.

მას შემდეგ, რაც პრესამ შეიტყო, რომ პაკისტანში დააკავეს „ალ-ყაიდას“ ხელმძღვანელობის ერთ-ერთი წევრი – მოჰამედ ნაიმ ნურ-ჯანი, სპეცსამსახურებისათვის ყოველგვარი აზრი დაკარგა ტერორისტის ინფორმატორად შემდგომმა გამოყენებამ.

ამ პირის დაპატიმრების შესახებ განცხადება გააკეთა თეთრი სახლის ერთ-ერთმა ანონიმურმა წყარომ, რათა გაემართლებინა ქვეყანაში ტერორისტული საფრთხის დონის ამაღლების შესახებ გადაწყვეტილება.

დაბვერვის მონაცემებით, ჯანი – მაღალტექნოლოგიათა დარგის სპეციალისტი – დაკავშირებული იყო უსამა ბენ-ლადენთან.

ინფორმაციის გახმაურების გამო ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების მისამართით პროგნოზი უკვე გამოთქვეს პაკისტანის და დიდი ბრიგანეთის შინაგან საქმეთა მინისტრებმა ფეისალ ჰაიათმა და დევიდ ბლანკეტმა.

სპეცსამსახურების წარმომადგენელთა თქმით, ჰანს შეეძლო მათთვის მიეწოდებინა ინფორმაცია დასავლეთში ბენ-ლადენის მნიშვნელოვანი კონტაქტების შესახებ, მაგრამ ეს ახლა უკვე შეუძლებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ ჰანის მიერ მიწოდებული ინფორმაციის წყალობით, დიდ ბრიტანეთში დააკავეს 13 კაცი, რომლებიც ამმაღებდნენ ტერორისტულ აქტს ჰიგროუს აეროპორტში.

ერაყში კამიკაძემ გუბერნატორის მოადგილის ავტოკოლონა აიფეთქა

ერაყში კვლავ გააქტიურდნენ მოთარეშეები. უკვე დილიდანვე ისმოღა აფეთქებების ხმა ქვეყნის დიდ



ქალაქებში, ბაღდადში კი მიიტებმა შეძლეს დაეკავებინათ პოლიციის უბნის შენობა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ინციდენტი მოხდა ქალაქ ბაქუბას მახლობლად, სადაც კამიკაძემ აიფეთქა დანალმული ავტომობილი. ამ ტერორისტული აქტის შედეგად დაიღუპა შეიდი ერაყელი პოლიციელი და სულ ცოტა 16 კაცი დაიჭრა. მანქანა აიფეთქეს მაშინ, როცა გზაზე ჩაიარა ავტოკოლონამ, რომელშიც იმყოფებოდა დიალას პროვინციის გუბერნატორის მოადგილე აქილ ჰამედი. იგი უახლოეს ჰოსპიტალში მოათავსეს.

ამავე დროს, ერაყის ცენტრალური ქალაქის სამხრეთ გარეუბანში ერთბაშად ორი აფეთქება მოხდა. ჯერჯერობით არ არის ცნობილი ამ ინციდენტის მიზეზები და არც რაიმე ინფორმაცია გავრცელებულა დაღუპულთა და დაშავებულთა შესახებ.

კვირას კი ერაყის ალ-ანბარის პროვინციაში დაიღუპა ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე. იგი შეიღიოდა ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის პირველი საექსპედიციო კორპუსის შემადგენლობაში. ამერიკელი ჯარისკაცი მოკლეს ერაყში უშიშროებისა და სტაბილურობის შენარჩუნებისათვის გამიზნული ოპერაციის განხორციელების დროს.

„აღ-ყაიდა“ არ ცხრება

„ალ-ყაიდას“ ტერორისტებს დაგეგმილი აქვთ ნიუ-იორკში ტერაქტების განსახორციელებლად გამოიყენონ ტურისტული ვერტმფრენები, აღნიშნულია გაზეთ „ნიუ-იორკ გაიმსის“ საიგზე. ერთენული უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელთა თქმით, შეერთებულ შტატებს ასეთი ინფორმაცია მიაწოდეს პაკისტანის სპეცსამსახურებმა.

ამასთან დაკავშირებით ვერტმფრენების მარშრუტებზე, რომლებიც ემსახურებიან ტურისტებს, განხორციელდება უშიშროების გაძლიერებული ღონისძიებები. ნიუ-იორკში ტურისტული ვერტმფრენები სამ ძირითად ასაფრენ მოედანზეა თავმოყრილი. ყოველ ვერტმფრენს ჰაერში აჰყავს 7 ტურისტი, რომლებსაც სურთ ზემოდან დაათვალიერონ ქალაქის ღირსშესანიშნაობები. ფრენა სამუალოდ 5-7 წუთს გრძელდება. ყოველდღიურად ასეთი 600-700 რეისი სრულდება.

ეროვნული უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ამჟამად ვერტმფრენების გამოყენებით ტერორისტული აქტების განხორციელების საფრთხე მხოლოდ ნიუ-იორკზე ვრცელდება.

ინფორმაცია ახალი ტერორისტული საფრთხის შესახებ მიიღეს პაკისტანში ნაპოვნი კომპიუტერებიდან, საიდანაც სპეცსამსახურებმა შეიტყვეს, რომ „ალ-ყაიდას“ დაგეგმილი აქვს განახორციელოს თაედასხმები შეერთებულ შტატებში მსოფლიო ფინანსურ ცენტრებზე.

იქვე აღნიშნული იყო, რომ ამ მიზნის მისაღწევად „ალ-ყაიდა“ ქირაობს სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს, კერძოდ, სამხრეთ აფრიკის მოქალაქეებს, რადგან ისინი არაბებთან შედარებით ნაკლებ ყურადღებას იპყრობენ. კომპიუტერის დისკეტებზე აგრეთვე აღწერილი იყო კონკრეტული სამიზნეების, ასე ვთქვათ, „სუსტი წერტილები“, მითითებული იყო, თუ როგორ შეიძლება დაკავშირება მსოფლიოში ყველაზე მეტად ძებნილ ტერორისტებთან.

როგორც ვარაუდობენ, ამ მასალების უმრავლესობის ავტორია ეისამ ალ-ჰინდი, ერთ-ერთი იმ 13 კაცთაგან, რომლებიც ბრიგანეთში დაკავეს გასულ კვირას. კომპიუტერები ჩამოართვეს იესლისში პაკისტანის ქალაქ ლაჰორში დაკავებულ მუჰამად ნაიმ ნურ-ჯანს.

* * *

ბამოძიების ფედერალურმა ბიურომ გააფრთხილა შეერთებული შტატების კონგრესის ლიდერი იმის თაობაზე, რომ „ალ-ყაიდას“ მორიგი სამიზნე, შესაძლოა, გახდეს ერთ-ერთი რომელიმე გავლენიანი კონგრესმენი.

გამოძიების ფედერალური ბიუროს მონაცემებით, „ალ-ყაიდა“ ამზადებს თაედასხმას ამერიკელ კანონმდებლებზე ვაშინგტონში, ან ქვეყანაში მათი მოგზაურობის დროს. შესაძლო საფრთხის შესახებ კონგრესმენები გააფრთხილეს სამი დღით აღრე მანამ, სანამ შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების სამინისტროს მეთაურმა ტომ რიჯმა განაცხადა, რომ მზადდება ტერორისტული აქტები ევროპაში – მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინააღმდეგ, აგრეთვე ნიუ-იორკში, სადაც ტერორისტების სავარაუდო სამიზნე საფონდო ბირჟა უნდა იყოს.

* * *

იტალიელმა ანალიტიკოსებმა დაასახელეს იმ სავარაუდო ტერორისტული აქტების განხორციელების ვადა, რომლებითაც იტალიას უკვე კარგა ხანია ემუქრებიან „ალ-ყაიდასთან“ მჭიდროდ დაკავშირებული „აბუ ჰაფს ალ-მასრის ბრიგადის“ დაჯგუფების მოთარეშეები.

ექსპერტების აზრით, ყველაზე სახიფათო პერიოდებია 14-19 აგვისტო და 5-15 სექტემბერი. კერძოდ, მომავალ უქმე დღეებში იწურება ულტიმატუმის ვადა, რომლითაც მოთარეშეები მოითხოვენ, რომ იტალიამ გამოიყვანოს თავისი ჯარები ერაყიდან. 5-15 სექტემბერი კი პერიოდია, როცა დანიშნულია რომის პაპის იოანე პავლე მეორის ვიზიტი ლორეტოში და იტალიის პრემიერ-მინისტრის სილვიო ბერლუსკონის ვიზიტი ბარიში.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა

ზაზა ბეჟანიძემ.

მოკლედ

იაპონელმა მეცნიერებმა პრაქტიკაში პირველად გამოიყენეს თევზის მოშენების ახალი ტექნოლოგია, რომლის წყალობითაც ახლა ორაგულს შეუძლია გამოზეკოს კლმახის ლიფსიტები. ამ მეთოდმა შეიძლება მოახდინოს ნამდვილი რევოლუცია მეთევზეობის სფეროში



და თვით გადაშენებული სახეობის თევზებიც კი აღადგინოს.

* * *

დაადგინეს ორი ტერორისტის ვინაობა, რომლებმაც განახორციელეს აფეთქებები ტაშკენტში.

თუმცა, ამ პირთა გვარებს, გამოძიების ინტერესებიდან გამომ-

დინარე, ჯერჯერობით არ ახმაურებენ. როგორც ცნობილია, 30 ივლისს ტაშკენტში ტერორისტმა-კამიკაძეებმა განახორციელეს აფეთქებები უზბეკეთის გენერალური პროკურატურის, შეერთებული შტატებისა და ისრაელის საელჩოების შენობათა მახლობლად. მაშინ დაიღუპა 7 კაცი, რომელთა შორის სამი ტერორისტი იყო, და ამდენივე დაიჭრა.

* * *

მამველებმა ჰან-ტენგრის პიკზე იპოვეს კიდევ ორი ალპინისტრის ცხედარი. ერთი მათგანი ჩეხეთის მოქალაქეა.

დაღუპული ალპინისტების გვამების გადმოსვენებას მაშველები ჯერ-ჯერობით ვერ ახერხებენ, რადგან ისინი მოყოლილი არიან ყინულის დიდი მასის ქვეშ. მაშველთა თქმით, დაიღუპა 11 სპორტსმენი, რომელთა შორის სამი რუსია.

* * *

ყარაჩაის სემინარიაში მომხდარი აფეთქების მსხვერპლთა რიცხვი რვამდე გაიზარდა.

ჯერჯერობით არავის უკისრია პასუხისმგებლობა კვირა საღამოს მომხდარი ამ შემზარავი აქტის გამო. შესაძლოა, მსხვერპლთა რიცხვი კიდევ გაიზარდოს, რადგან მრავალი დაშავებულის მდგომარეობა კრიტიკულია.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 184. სამშაბათი. 10 აგვისტო. 2004 წელი.

ჩვენი მემატიანე

გაცრეცილი ფურცლებიდან დანახული წარსული

გაზეთი – „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წელი, 9 და 10 აგვისტოს მე-13 და მე-14 ნომრებიდან ამოკრეფილი საყურადღებო კორესპონდენციები.
(გაზეთის ნომრები ექვსგვერდიანია).

არაოფიციალური განყოფილება
(გაზეთის მოწინავე)

„დღეს, ბრალიანი და უბრალო, ვითომ, ინტერნაციონალიზმისა და დემოკრატიზმის სახარებას უკითხავს საქართველოს რესპუბლიკასა და მის მთავრობას. გამოდის თითქოს ყველა იცავს დემოკრატიას, ხოლო არღვევს და ეწინააღმდეგება ჩვენი მთავრობა...

კონგრრეეოლუციონერები კი ქვეყნის თვალის ახახვევად „ინტერნაციონალურ-დემოკრატიულ ნიღაბს იფარავენ და თავის მიზნების განსამართლებლად ამით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ილაშქრებენ და გაწვრთნილი ბოროგმოქმედიით თავის დანაშაულს სხვებს აბრალებენ, თავის რეაქციულ და ანტიდემოკრატიულ სულთსწრაფვას სხვას ახვევენ თავზე და ამნაირად ცდილობენ გაიტანონ ღელო რესპუბლიკისა და თავისუფლების დარღვევის საქმეში, რომლებიც ძირს უთხრიან სახელმწიფოს და არც ფიქრობენ მისი უფლებამოსილება ცნონ ან საქართველოს მოქალაქეობა მიიღონ: – ხოლო რაკი საქართველომ თავი სახელმწიფოდ გამოაცხადა, აშკარაა ის თავის ტერიტორიაზე სხვა უცხო სახელმწიფოებრიობას და მის ელემენტებს ვეღარ აიგანს, სხვა მთავრობას და მათი აგენტებს მგრულ მოქმედებას ვეღარ მოითმენს. ეს ელემენტარული წესია სახელმწიფოებრივი არქიტექტურის ჭეშმარიტებისა“.

ეროვნული საბჭოს სხდომაზე

ირაკლი წერეთელი: „შინაგან საქმეთა მინისტრმა დაგვიხატა ის მდგომარეობა, რომელშიც ჩვენ დღეს ვიმყოფებით.

ჩვენ ვიცავთ რევოლუციას... ჩვენი რევოლუციისა და დემოკრატიული მთავრობის მგრები სარგებლობენ ხალხის მოუმზადებელ-გაუთვითცნობიერებელი, შეუგნებელი ნაწილით და აჯანყებას ახდენენ ჩვენი მთავრობისა და რესპუბლიკის დასასამარებლად. ასეთ დროს საჭიროა განსაკუთრებული რეჟიმი და განსაკუთრებული ზომები, თუ ჩვენ გვინდა თავიდან ავიცილოთ ყოველივე აჯანყება, ყოველი კონგრრეეოლუციური გამოსვლა ხალხის მგრების მიერ გაღახრილ გლეხობისაგან“.

ახალი ამბები:

1. „სახალხო განათლების მინისტრმა ლეპეშები მიიღო გურიის რაიონის მასწავლებლებისაგან. ასანი მოახსენებენ მინისტრს თავის განჯაა-გაჭირვებას ჯამაგირების მიუღებლობის გამო. ითხოვენ სასწრაფო დახმარებას, რათა მიიღონ თებერელის, მარტის, იენისისა და იელისის ჯამაგირები, ანალოგიური ლეპეშებია მიღებული ქ. ონურგეთის მასწავლებლებისაგან. განათლების მინისტრმა შეამდგომლობა აღძრა ფინანსთა მინისტრის წინაშე, რომ დაკმაყოფილონ მასწავლებელთა მოთხოვნები“.

2. „მილიციის უფროსის დადგენილებით, ეზოებისა და სავაჭრო დაწესებულების უსუფთაოდ შენახვისათვის მოქალაქენი დაჯარიმებულნი იქნებიან 500 მანეთით?!“

3. „როგორც ბაკურიანიდან იუწყებიან ა.წ. 29 ივლისს თათრის ყაჩაღებს საბღვარი გადმოულახავთ და უკრაინელების ცხვრის ფარეხიდან 470 სული მეწველი ცხვარი წაუსხამთ, თან



გყვედ წაუყვანიათ 3 ქართველი მწყემსი“.

4. „თბილისის ქართველ ვაჭარმრეწველთა კავშირმა იკისრა დაარსოს საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა“.

5. „ამხანაგობა – „შაქრის“ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ივ. ვარაბაშვილი, წევრებად: ალ. ჯაბადარი, რაულ დათეშძე და ნიკ. გაბაშვილი. ახლო მომავალში, კომიტეტს აბრადა აქვს შაქრის ჭარხლის მოსაყვანად გამოსაღეგი ადგილების აღება ბორჩალოში და საქარხნო მოწყობილობის ყიდვა უკრაინაში... ამავე ორგანიზაციის მიზანია დაარსოს ორი საქციო საწოგადოება: 1. თუთუნის ქარხანა. 2. ყოველგვარი საქონლის წარმოებისა“.

6. „სასურსათო სამინისტრომ კერძო პირებთა ხელშეკრულება დასდო, კავკასიიდან 50 ათასი ფუთი ხორბლის შემოსატანად“.

7. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურად ატყობინებს, რომ გერმანიაში ტყვედ მყოფი 50 ათიცერი და 200 ჯარის კაცი მთავრობამ საქართველოში გამოგზავნა“.

8. „კონიაშვილისა და ჯულელის რაზმები სამოვიდნენ, ახალგორის ოპერაციები ბრწყინვალედ დამთავრდა“.

9. „ვაჭრობა – მრეწველობის სამინისტრომ საჭიროდ სცნო ფოთის ნავსაღგურის გაფართოება-გაღრმავება. ფოთის ნავსაღგურს ამჟამად 17 ფუტის სიღრმე აქვს. ისე უნდა გაღრმავდეს ნავსაღგური, რომ საოკეანო გემებს შეეძლოთ ცურვა. ამჟამად საქართველოს რესპუბლიკას ჰყავს ხომალდები: „მიხეილი“, „ლბრთოლსკი“ და „ვიოლეტი“.

10. ფოსტა ტელეგრაფის ნაციონალიზაცია:

„მთაერობისაგან გამოცხადდა, რომ საქართველოს რესპუბლიკაში ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებს ევალებათ წერილები, დეპეშები და ყოველგვარი კორესპონდენციები მიიღონ და გზავნონ ქართულ ენაზე დაწერილი. ხოლო თბილისში, სოხუმსა, ზაქათალასა და ბორჩალოს მაზრებში ნება დაერთოთ მიიღონ აგრეთვე რუსულ ენაზე“.

11. „ბაზარში სიმინდის ფასმა 45 ლარამდე დაიწია. მოელიან კელავ ფასის დაწევას“.

12. „საჩხერის რაიონიდან ჩამოვიღნენ 300-მდე ახალგაზრდა და წავიდნენ ბესტაფონში წესრიგის დასამყარებლად“.

13. „საექიმო-სასანიგარო საქმის უფროსმა მ. ბანდუკელმა შ/ს მინისტრს მოხსენება წარუდგინა, სადაც ითხოვენ მთაერობასთან შუამდგომლობას, ეპიდემიასთან საბრძოლველად საავადმყოფოს გახსნისათვის გამოყონ 1 მილიონი მანეთი“.

14. ქუთაისი, 7 აგვისტო. „შავი ქვის მრეწველთა საბჭომ დაადგინა 15 აგვისტოს მოიწვიონ საგანგებო კრება ქვის მრეწველთა საბჭოს ქუთაისიდან ჭიათურაში გადატანის შესახებ“.

15. ხონი: „ქალაქის თვითმმართველობამ დაადგინა მიიღოს ყოველგვარი ზომები შამისონის გადასასხელზე რკინისგზის გაყვანისათვის“.

16. „კვირას, 11 აგვისტოს ქართულ კლუბში შესდგა კრება ქართველ მუსიკალური საზოგადოების გამგეობის წევრთა ასარჩევად და ქუთაისში მუსიკალური განყოფილების გასახსნელად“.

17. „ხელოვანთა სექციამ პროფესორ ივ. ჯავახიშვილის მოხსენებების თანახმად დაადგინა სახელმწიფო გერბად აღიარებულ იქნეს თეორი გიორგი შვიდი მნათობით“.

რუბრიკას უძღვება
ცისანა სიხარულიძე.

დღეგრძელობა

„დავბერდი, მშვილდი ძირს დავდე...“

დაბერება ბუნებაში ადამიანის ცხოვრების ორგვარი პროცესია. როცა იგი ნაადრევად ბერდება და როცა სიცოცხლის ხანგრძლივობის ათვლა ზოგჯერ საუკუნის მილმაც კი იწყება. მსოფლიო მეცნიერები ცდილობენ ამოიცნონ ეს საიდუმლო. ძირითად, მთავარ პირობად მათ ცხოვრების რეჟიმის სწორი დაცვა მიაჩნიათ. გერონტოლოგები დღემდე სწავლობენ ქვეყნებს სადაც დღეგრძელთა რიცხვი საკმაოდ დიდია. მათ სურთ ამოიცნონ ბუნების ეს უდიდესი ჯილდო, მაგრამ ბუნების ამ საიდუმლოს ისინი ბოლომდე მაინც ვერ ჩაწვდნენ.

ჩვენი ქვეყანა ოდითგან გამოირჩეოდა დღეგრძელთა სიმრავლით. უფროს-უმცროსობის წესი, კვების რაციონის მრავალფეროვნება თუ ბუნების უდიდესი სიყვარული და სიახლოვე, ალბათ, ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორიც იყო... ქვეყანაში ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობისა.

დღეს, მოსახლეობის 2002 წლის აღწერით, ჩვენს ქვეყანაში 9.417 დღეგრძელი ცხოვრობს. მათ შორის 650-მე მეტმა 100 წლის ზღვარსაც კი გადააჭარბა; მაგალითად: ქარელის რაიონის სოფ. კეხისკარში ცხოვრობს 121 წლის უსუფ-ოღლი გულხანი უსუფის ასული, ხოლო საგარეჯოში სოფ. იორმუღანლოში მალაქ რაფი კიზი. მეავანაძე ხეისე ალის ასული ქობულეთის სოფ. ხუცუბნის მკვიდრი და სოფ. ფურგიოში (შუახევის რ.) მცხოვრები დიასამიძე შემსო იუსუფის ასული – 119 წელს ითვლიან, 117 წლისანი არიან თურქაძე ეფროსია მიხეილის ასული, რომელიც თერჯოლაში სოფ. თუზის ვარდაგორაში ცხოვრობს, ხოლო ყაზბეგში სოფ. ფელეთში ამავე წლებს ითვლის ელოშვილი ტატიანა ბორისის ასული და ა.შ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ დედოფლისწყაროს რაიონის, სოფელ ბეშო ქედში ცხოვრობს პლანეტის ერთ-ერთი უხუცესი ადამიანი, რომელიც 114 წლისაა. ეს არის ქალბატონი ოლღა დავითის ასული ღუღუშაური, მაგრამ ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, საქართველოში მცხოვრებ-პენსიონერთა და ღეგრძელთა სოციალურ-ეკონომიკური თუ სამედიცინო დახმარების დონე სამწუხაროდ, ღეს არადამაკმაყოფილებელია. გამოკვლეულ პირთა თითქმის არც ერთი ოჯახის წევრს არა აქვს საჭირო მინიმუმის შემოსავალი. მათთვის ხელმიუწვდომელია მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარება, საჭირო მედიკამენტის შეძენა, სტაციონალური მკურნალობა და ა.შ.

აღნიშნულის გამო საქართველოში მცხოვრებ უხუცეს ღეგრძელთა შორის გასული საუკუნის მეორე ნახევართან შედარებით შეიმჩნევა დაუძლურებულთა და წლობით ლოგინზე მიჯაჭვულთა ხვედრითი წილის ზრდა, ასევე სისხლის მიმოქცევის ორგანოების პათოლოგია, სუნთქვითი და ნერვული სისტემის დაავადებები, ფსიქიკის მოშლა, საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები და ა.შ.

უხუცეს ღეგრძელთა სოციალურ-ეკონომიკურმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ გამოკვლეულთა 78,3 პროცენტს პენსია 14 ლარი აქვთ, 8,7 პროცენტს – 18 ლარი, 5,7 პროცენტს – 35 ლარი, ხოლო 7,3 პროცენტს – 45 ლარი. საშუალო შემოსავალი ოჯახის ერთ წევრზე თვეში მხოლოდ 20 ლარზე ნაკლებით განისაზღვრა. ისიც გაირკვა, რომ უხუცეს ღეგრძელთა ოჯახის არც ერთ წევრს არა აქვს სასიცოცხლო მინიმუმის შემოსავალი, რაც ღეგრძელთა ყოფა-ცხოვრებაზე უარყოფითად მოქმეღებს. მათი ცხოვრების ჯანსაღი წესის სრულყოფა კი აუცილებელია.

ღეს ღეგრძელები ქვეყნის ხელმძღვანელებისა და საზოგადოებისაგან როგორც მორალურ, ასევე სოციალ-ეკონომიკურ მხარდაჭერას საჭიროებენ, ამ დროს კი მისაღები და დასამტკიცებელია დაღგენილება ღეგრძელთა ასი და მეტი ასაკის პენსიონერთა პენსიის 45 ლარამდე გაზრდის თაობაზე, ყველა სახის სამედიცინო დახმარების უფასოდ მომსახურებაზე და ა.შ.

საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი სთხოვს საქართველოს ბიზნესმენებს, ქვეყანაში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, აქტიურად ითანამშრომლონ და მეტი ყურადღება დაუთმონ ღეგრძელებს, რომ ისინი ცხოვრებისაგან გარიყულნი არ აღმოჩნდნენ, არ იფიქრონ, „ძნელი ყოფილა სიბერეო“.

თეიმურაზ თოფურია,
საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის თავმჯდომარე.

მონადირეთა საყურადღებოდ!

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო განცხადებს

საქართველოს კანონის „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე სამოყვარულო და სპორტული ნადირობის უფლება ძალეშვა მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის მფლობელებს.

გადამფრენ ფრინველებზე 2004-2005 წლების სანადირო სეზონისათვის განსაზღვრული ერთჯერადი სახელობითი ლიცენზიების მიღება შესაძლებელია:

გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურში – მისამართი: ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. N87, მე-2 სართული (შემოსასვლელი ეზოდან).

საქართველოს სხვა ქალაქებსა და რეგიონებში – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების შესაბამის ტერიტორიულ ორგანოებში.

ლიცენზიის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს სანადირო იარაღის რეგისტრაციის მოწმობა და საცხოვრებელი ადგილის მახელვით, საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობა 5 ლარის ოღენობით ფიქსირებული გადასახადის გადახდის შესახებ.

გადამფრენ ფრინველებზე სანადირო სეზონი გაიხსნება 2004 წლის 21 აგვისტოს.

ლიცენზიის გაცემა იწარმოებს 2004 წლის 16 აგვისტოდან.

საქართველოს ტერიტორიაზე ნადირობა ნებადართულია შემდეგ ვადებში შემდეგ სახეობებზე:

1. 21 აგვისტოდან 15 თებერვალამდე – მწყერზე, მგრელზე, ქედანზე, ჯირითზე, ჩიბუხაზე (ბეკასი), ჭაობის ქათამზე;

2. 15 ოქტომბრიდან 15 დეკემბრამდე ტყის ქათამზე;

3. 1 ნოემბრიდან 1 მარტამდე – წყალმცურავ ფრინველებზე (რუხი ბატი, თეთრთავა ხვი, რუხი ხვი, ჭიკვარა, გარეული ხვი, ბოლოხადგისა ხვი, ხვინჯა, ფართოცხვირა, შალოგა).

ღმანისში, წალკაში, ნინოწმინდაში და ახალქალაქში 1-ელ პუნქტში მოყვანილ სახეობებზე ნაღირობა დაიშვება დაღგენილი ვადიდან ორი კვირით გვიან – 30 აგვისტოდან 15 თებერვალამდე.

მაღალმთიან რაიონებში – ახალქალაქი, ახალციხე, წალკა, ნინოწმინდა – წყალმცურავ ფრინველებზე (ბატი, ხვი, შალოგა) ნაღირობა ნებადართულია 15 ოქტომბრიდან 15 დეკემბრამდე.

სიკვდილი მაინც მოვა!

გარდუვალობის კანონი

ამიტომ ზოროასტრიელები თავიანთ მიცვალებულებს გოვებდნენ „ღუმილის კოშკებზე“ – მგაცებელი ფრინველების საჭიგნად, ან მკვდრებს ფრაალო კლდეებიდან ჰყრიდნენ მძორიჭამია ქოფაკებისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „საძაგელი“ სხეული არ უნდა შეხებოდა არც ერთ წმიდა სტიქიას: წყალს, მიწას, რაც მთავარია, – წმიდათაწმიდას – ცეცხლს. მაგრამ ცეცხლთაყვანისმცემლებიც აგროვებდნენ დაგლეჯილი სხეულის ძვლებს და მათ „ღუმილის კოშკის“ ფსკერზე ყრიდნენ. აქ ისინი აღმოჩნდნენ მითიდან მითში მომთაბარე იმ ჰიპოთეზის თანამიმდევარნი იმის შესახებ, რომ სიკვდილის შემდეგ გარდაცვლილის არსებობა დამოკიდებულია რაიმე მატერიალური სუბსტანციის, ადამიანის „უხრწნელი ნაწილის“ შენახვაზე. აქ კი ყველაზე მეტად, რასაკვირველია, ძვლები იგულისხმება.

ძველი მესოპოტამიელებისათვის იმაზე დიდი სამარცხვინო რამ არ იყო, ვიდრე წინაპრის ძვლების დაკარგვა. ცნობილია, რომ ასირიელთა მეფე აშურბანიპალმა დამარცხებული მტრის შვილების მამის ძვლების დაფშვნა უბრძანა. ეს კი ნიშნავდა მათი კავშირის გაწყვეტას წინაპართან და დინასტიის დასასრულს.

ოღითგანვე ადამიანები ესწრაფვოდნენ, არ დაეკარგათ კავშირი მიცვალებულებთან. რომში არსებობდა წინაპართა ოჯახური კულტი, ძველ ეგვიპტეში მიცვალებულებს „უგზავნიდნენ“ წერილებს: წინაპარი „იმ ქვეყნად“ მათი მოღგმის წარმომადგენლად რჩებოდა, რომელსაც შეეძლო ეთხოვა ღვთიური ძალებისათვის უხვი მოსავალი, შვილების სიმრავლე და ბევრი სხვა რამ ასეთი. საინტერესოა, რომ ქვის ხანის საფლავებში მრავალგზის აღმოუჩნიათ ქვის ნაღმები, რომელთა არსი იყო: შეეხსენებინათ გარდაცვლილისათვის, რომ მას „ცოცხალი სახე“ აქვს და კვლავაც უნდა დავხმაროს თანამემამულეებს ამქვეყნიურ ცხოვრებაში.

კულტის ჩანასახები

როგორც ცნობილია, ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელიც შეგნებულად ინახავს საკუთრივ ასეთ რამეებს. ცხოველები ამას არ აკეთებენ, რადგან არ შეუძლიათ შეიცნონ არც საკუთარი თავი და არც დროის წუთიერება, ამიტომ არ ძალუძთ გაიაზრონ სიკვდილის შეტევის გარდაუვალობა. მათგან განსხვავებით ადამიანი ნიადაგ აწყდება მას და სადღაც სულის სიღრმეში ღრმად აცნობიერებს, რომ თვითონაც მოკვდავია.

ჯერ კიდევ უძველეს დროში ადამიანები იყენებდნენ დაკრძალვის უამრავ ხერხს. ოღესღაც დაკრძალვის რიტუალი, როგორც ჩანს, ინსტინქტის ღონეზე არსებობდა – ადამიანები ცდილობდნენ უფრო საიმედოდ გამოეყოთ მიცვალებული ცოცხალთა სამყაროსაგან. შესაძლოა იმიტომ, რომ გვამის დაუმარხავად დატოვება ხდებოდა ათასგვარი დაავადების წყარო, ან შესაძლოა იმიტომ, რომ ცხედარი მხეცებს არ დაეგლიჯათ, ანდა იმიტომაც, რომ სიკვდილის ეშინოდათ და სწამდათ, გარდაცვლილ უკან დაბრუნებისა და ცოცხალთათვის ზიანის მიყენების უნარი შესწევთო.

უძველეს ადამიანს, უკვე აბსტრაქტული აზროვნების უნარი რომ ჰქონდა, შეუძლებელია კითხვები არ აღძროდა გარე სამყაროსა და მასში თავისი ადგილის შესახებ. რომელიმე თანამემამულის სიკვდილი, ამ მოვლენის აუხსნელობა, უეჭველია, ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული საბაბი იყო განსჯისათვის. არქაულ შემეცნებაში ადამიანის უსაფრთხო არსებობის შესაძლებლობა, ადამიანისა, რომელსაც ნიადაგ მეტად ახლო კონტაქტი ჰქონდა სიკვდილთან, გაიაზრებოდა მხოლოდ იმ რიტუალების უთუო დაცვის მეშვეობით, რომლებიც ძველი ადამიანების ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილის რეგლამენტაციას ახდენდნენ. ამიტომ დაკრძალვის წესი წარმოადგენდა არა უბრალოდ ჰიგიენურ პროცედურას, რომელსაც თან ახლდა არა მარტო მთელი რიგი ფორმალური მოქმედებანი, არამედ იგი ღრმა საკრალური არსით ივსებოდა.

ცნობებს ადამიანის პირველი უტყუარი დაკრძალვის შესახებ ვხვდებით ნეანდერტალელებთან და ისინი აღრეული პალეოლითის ხანას განეკუთვნებიან. ამ პერიოდში მიცვალებულებს მარხავდნენ მხარ-თეძოზე, მძინარე ადამიანის პოზაში, თავით აღმოსავლეთისაკენ ან დასავლეთისაკენ. ზოგჯერ მიცვალებულს საფლავში თან ატანდნენ კაჟის იარაღს, ან საფლავში ყრიდნენ ყვავილებს, რასაც მოწმობს საფლავებში ნაპოვნი უამრავი მტვრის ნამეცი. 1938 წელს აკადემიკოსმა ა.პ. ოკლადნაკოვმა აღმოაჩინა ნეანდერტალელი ბიჭის სამარხი, რომლის ირგვლივ თხის რქები ეყარა. როგორც ჩანს, ნეანდერტალელებს გაუჩნდათ გარდაცვალელთა კულტის ჩანასახები, იმის შეგნება, რომ მიცვალებული საჭიროებს გარკვეულ ზრუნვას, – პირველი იდეები სიკვდილის შემდეგ ცხოვრების შესახებ.



კოლიმბარიუმი, როგორც დაკრძალვის ფორმა, ჯერ კიდევ ძველ რომში არსებობდა.

შეცნობა შიშისა

რამდენიმე ათასწლეულის გასვლის შემდეგ, გვიანი პალეოლითის ხანაში, ნეანდერტალელები კრომანიონებმა შეცვალეს. ეს იყო ის დრო, როდესაც მყინვარებმა უკან დაიხიეს, კლიმატი შედარებით დარბილდა. მცირერიცხოვანი პირველყოფილი ტომები უფრო ხალხმრავალ გვაროვნულ თემებში გადაიზარდნენ.

კრომანიელთა პატარა საფლავები მოწმობს იმაზე გაგებას, რომ გარდაცვლილი ადამიანი მიეკუთვნება გარდაცვლილთა სამყაროს და შესაძლოა მიანი მიაყენოს ცოცხალთა სამყაროს. ხშირად მიცვალებულებს მარხავდნენ იქ, სადაც ისინი აქამდე ბინადრობდნენ, ამასთან, ყველა ცოცხალი საცხოვრებელ ადგილს ტოვებდა. ზოგჯერ გარდაცვლილის სხეულს კერიაზე ღებდნენ, მომართავდნენ მის კრემაციას, მაგრამ მეტ წილ შემთხვევაში გვამებს ორმოში მარხავდნენ, ამასთან, მათ თავებზე, გულ-მკერდსა და ფეხებზე ღოღებს აღებდნენ, ზოგჯერ კი ქვის ფიღებს აწყობდნენ, რათა მიცვალებული მაღლა არ ამოსულიყო. გარდაცვლილის შესაძლო უკან დაბრუნების ამავე შიშით, როგორც არქეოლოგები განმარტავენ, უფრო ხშირად მიცვალებულს ხელ-ფეხს უკრავდნენ და სხეულზე წითელ ჯანგმიწას უსვამდნენ, რაც სისხლთან და ცეცხლთან ასოცირდებოდა. ამ ძველი წარმოდგენების გამოძახილს აქამდე ვხვდებით – ეს არის მათი სიმბოლოები: ლურსმნები, რომლებითაც კუბოს სახურავს აჭედებდნენ, რითაც მიცვალებულს „აფრთხილებდნენ“, რომ საფლავი არ დატოვებინა; ნაძვის ტოტები, რომლებსაც „უკანასკნელ გზაზე“ გაცილებისას ცხედარს ფეხებზე ადებდნენ, და თუ მიცვალებული უკან დაბრუნებას შეეცდებოდა, ისინი ქუსლებზე უჩხვლეტდნენ, და უკანასკნელი – სხეულის წასვენება ფეხებით წინ, რათა მიცვალებულს უკან დასაბრუნებელი გზა ვერ ეპოვა.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 183.

ფილიპინების ტერიტორიაზე ცხოვრობს ინიბალის პატარა ტომი, რომელიც გარღაცვლილთა მუმიფიცირებას ეწეოდა. ვარაუდობენ, რომ გოგიერთი მუმიის ასაკი დაახლოებით 500 წელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მოცარტის ეფექტი“

ამერიკელმა ნევროლოგმა ფრანსის როშემ ადამიანის ფიზიოლოგიაზე მოცარტის მუსიკის არაჩვეულებრივი ზეგავლენის ახალი მტკიცებულებები გამოაქვეყნა.

მან ჯერ კიდევ 1993 წელს დაადგინა, რომ „სონატები“ დო მაჟორი ორი ფორტეპიანოსთვის“ სტუდენტთა გონებრივ შესაძლებლობებს ასტიმულირებდა – ისინი უკეთესად ახსრულებდნენ ტექსტს. ამჯერად როშე მოცარგის მუსიკას ასმენინებდა ვირთაგვებს, რომლებსაც მახსოვრობისა და გამჭრიახობის გამოსაცდელი დავალებები უნდა შეესრულებინათ. მოცარტი ვირთხებსაც ძალიან დაეხმარა ტესტირების დავალებების შესრულებაში. ამ ეფექტის ახსნა ჯერ არ არსებობს, მაგრამ მეცნიერები აღნიშნავენ, რომ სონატის რეგულარული მოსმენა ალცჰეიმერის დაავადებით შეპყრობილებსაც ძალიან ეხმარება.

სოფი ლორენს სურს, გოგონა იშვილოს

იტალიური კინემატოგრაფის ვარსკვლავს – 70 წლის სოფი ლორენს და მის 90 წლის ქმარს კარლო პონგის უკვე ჰყავთ ორი შვილი – 34 წლის კარლო რეჟისორად, 30 წლის ედოარდო კი – დირიჟორი.

ვარსკვლავების ცხოვრებაში ხშირად ხდება, როცა ისინი გადაწყვეტენ ბავშვის შვილად აყვანას. თანაც, აღსანიშნავია, რომ ასეთი ალტრუიზმის შედეგად ცნობილი მსახიობები ხშირად თვითონ ბარალდებიან – შვილობილის გამო ენერგიას ოჯახები.

1993 წელს მიშელ პფაიფერ გაეყარა ქმარს, როცა იშვილა შულატი გოგონა – კლაუდია როუზი.



1999 წელს ნიკოლ კიდმანმა და ტომ კრუზმა იშვილეს გოგონა – იზაბელა ჯეინი, 1996 წელს კი – აფროამერიკელი კონარ ენტონი. ამ წყვილის გაყრის შემდეგ ბავშვები ორ-ორი გვარს ატარებენ.

2000 წელს შერონ სტოუნმა და მისმა მეუღლემ ფილ ბრონშტეინმა იშვილეს ტეხასელი ბიჭუნა – რონან ჯოზეფი. ეს წყვილიც მალე გაშორდა ერთმანეთს.

2002 წელს ანჟელინა ჯოლიმ გადაწყვიტა, დედობა გაეწია კამბოჯელი ბიჭუნასათვის, თუმცა, ამას არ დაეთანხმა მისი ქმარი ბილი ბობ თორნტონი. საბოლოოდ, ეს ოჯახიც დაინგრა.

თურქმენბაშის შემოქმედებამ დიანა ღურწკაია აღაფრთოვანა

„დარწმუნებული ვარ, რომ „რუხნამის“ კითხვისას არა მარტო ჩვენი თანამედროვეები, არამედ მალლერი შთამომავლობაც აღივსება შურით იმის გამო, რომ ჩვენი ცხოვრების მონაკვეთი დაემთხვა ისეთი დიდი ხელმძღვანელის, მოაზროვნისა და მეცნიერის მოღვაწეობის პერიოდს – როგორიც არის საჭარმურად თურქმენბაში“. ეს სიტყვები ეკუთვნის მომღერალ დიანა ღურწკაიას.

პოპ-ვარსკვლავმა გამოთქვა სურვილი, მიიღოს მონაწილეობა ნიაზოვის წიგნის – „რუხნამის“ შორე ტომის გამოცემისადმი მიძღვნილ შეიმში. თავისი ასეთი გადაწყვეტილების შესახებ ღურწკაიამ აცნობა თურქმენბაშის მისთვის გაგზავნილ წერილში, რომელიც თურქმენეთის მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებამ გამოაქვეყნა. „გაოცებული ვარ იმით, რომ ნიაზოვი არა მარტო ბრწყინვალედ ხელმძღვანელობს სახელმწიფოს, არამედ დროსაც პოულობს სამეცნიერო მოღვაწეობისათვის“ – წერს მომღერალი.

ᲮᲣᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ

ვინა თქვა, დაჭრილიაო, ქართული მეცნიერება ფრთებსა შლის...

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა წლეულს უკვე ხუთჯერ დაანიშნა სხვადასხვა დარგის მკვლევარებს გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა სახელობის პრემიები – საპატიო სააკადემიო ჯილდოები.

სერგო ღურმიშიძის სახელობის პრემია გადაეცათ აკადემიის წევრ-კორესპონდენტს მარლენ გორდეშიანსა და აკადემიკოს გიორგი კვესიტაძეს. ჯილდო მათ დაიმსახურეს თბილისში 2000 წელს გამოცემული მონოგრაფიისათვის „ეკოლოგიის ქიმიური საფუძვლები“. საგულისხმოა, რომ ორივე ღაურეატი განსვენებული ბატონი სერგოს აღრდილია და დღესაც დიდი სიყვარულით იხსენებენ მასწავლებელს.

სპეციალისტთა აზრით, ამ 250-გვერდიან ნაშრომს მასშტაბურობითა და წარმოდგენილი ინფორმაციის სიახლითა თუ მისი გაანალიზების სიღრმით, ანალოგი არ მოეძებნება. ეს არის ახალი და სრულიად დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინის შექმნის წარმატებული ცდა. თანამედროვე ეკოლოგიის პრობლემები გაშუქებულია ქიმიის თვალსაზრისითაც. მრავალი ეკოლოგიური საკითხი შესწავლილია გაცილებით ადრე, მოლეკულურ დონეზე. ასევე არის ნაჩვენები, თუ რა ზიანი მოაქვს მოსახლეობისათვის გარემოს დაბინძურებას და რომ გარემომცველ ეკოლოგიურ სივრცეს ადამიანის სამეურნეო საქმიანობაც აჭუჭყიანებს.

პროფესორ რევაზ ბარამიძის წიგნი „გიორგი მერჩულე – ქართული პრობის დიდოსტატი და მშვენება“ (გამომცემლობა „დიდუბა“, 2000 წ.), რომელიც კორნელი კეკელიძის სახელობის პრემია მიენიჭა, სპეციალისტებმა ახალ ინფორმაციათა ნაბიჯად მიიჩნიეს როგორც დიდი ქართველის, ჯრიგოლ ხანთელის ნაღვაწის, ისე მისი მემაგიტების, გიორგი მერჩულეს შემოქმედების სრულად ასპექტით შესწავლის გზაზე. განგებო ყურადღება ეთმობა ერთიანი ქართველოს იდეას, რომლის საფუძველი გახლდათ მხურვალე მამულიშვილის მიერ მოწოდებული გრანდიოზული ფორმულა – „ვიყოთ „ერთულ, ერთმრახვა, ერთნება“. ნაშრომს ხანძთელის ღვაწლთან ერთად, დაჯერებლად არის წარმოჩენილი მერჩულეს მხატვრული ოსტატობა, შესწავლილია მის თხზულებაში წამოჭრილი რობლემური საკითხები: მონაზვნუი ცხოვრება, „ორისაევ ცხოვრების ნიშნულება“, პედაგოგიურ-ალმზრდელობითი პრინციპები, ეროვნული და ხელმწიფებრივი ცნობიერების მთლიანობის არსი. გამოკვლეულია არაერთი ისტორიული ფაქტი თუ მხატვრული დეტალი, მონიშნულია ასამდე პიროვნების შემცველი პერსონაჟთა ნუსხაც კი.

ბაგონი რევაზი აკადემიკოს კორნელი კეკელიძის მოწაფე და მისი სამეცნიერო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელია.

ჯერ კიდევ 1977 წელს, ახალგაზრდა მათემატიკოსმა გიორგი ხიმშიაშვილმა აღმოაჩინა, ეგრეთ წოდებული, სიგნატურული ფორმულები, რომლებმაც მაშინვე მიიპყრო ფართო ყურადღება და ინტერესიური გამოყენების საგანი გახდა. „მოსარგებლეთა“ შორის აღმოჩნდნენ მსოფლიო ავტორიტეტის მათემატიკოსები დ. აიბენბერგი, ვ. არნოლდი, გ. შაფრანეცი, ჯ. ბრიუსი და სხვები.

სპეციალისტებმა ხიმშიაშვილის მიერ მიღებული ფორმულები, ისტორიული რაკურსით, მე-19 საუკუნის გამოჩენილ მათემატიკოსთა სილვესტრის, ერმიტის, შტურმის კლასიკური მეთოდების შორს მიმავალ განზოგადებად აღიქვეს. 1977 წლის აღმოჩენას მოჰყვა ქართველი ავტორის 25-წლიანი შემოქმედებითი აქტივობა, რაც 2001 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში აისახა – **„სიგნატურული ფორმულები ტოპოლოგიური ინვარიანტებისათვის“**. აქ შესწავლილი საკითხები თანამედროვე მათემატიკის რამდენიმე დარგს შეიძლება მივაკუთვნოთ: კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორია, ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორია, ალგებრული გეომეტრია, დიფერენციალური გეომეტრია, ალბათობის თეორია, გლობალური ანალიზი... სწორედ ამ ნაშრომისათვის დაიმსახურა **ანდრია რაზმაძის სახელობის 2004 წლის პრემია** ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა **გიორგი ხიმშიაშვილმა.**

სამმა მკვლევარმა გაინაწილა **პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემიის** ლაურეატობის პატივი: სამეცნიერო დარგში არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, პროფესორმა **თამაზ ლეჟავამ,** წამყვანმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატმა **ნათელა ანანიაშვილმა** და მეცნიერმა თანამშრომელმა **მანანა კიკაბიძემ.** ეს პატივი კი ხედათ ნაშრომთა ციკლისათვის **„ლითონთა ელექტროგამოლექვის ინტენსიფიკაციის მეცნიერული საფუძვლები“,** რომელშიც შევიდა 2000-2003 წლებში დასკვნამული ოთხი ნაშრომი და 2001 წელს მოსკოვში შემდგარ საერთაშორისო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების თეზისები.

ციკლი ეძღვნება გალვანური პროცესების ინტენსიფიკაციას. ნებისმიერი ქიმიური თუ ელექტროქიმიური პროცესის ინტენსიფიკაცია თავისთავად არის აქტუალური პრობლემა, მაგრამ გალვანურ პროცესებში განუზომლად უფრო ფასეულია, რამდენადაც ეკოლოგიური პრობლემის გადაჭრასაც უკავშირდება.

ამ გამოკვლევებში ლითონთა ელექტროგამოლექვის პროცესების ინტენსიფიკაციის ორი, პრინციპულად განსხვავებული ახალი მიდგომაა ჩამოყალიბებული. მათი საშუალებით იზრდება, განზავებული ხსნარებიდან დანაფარის გაუარესებისა და სიჩქარის შემცირების გარეშე, აბაზანების წარმადობა.

ციკლის ნაშრომებს პიონერულს უწოდებენ და ფიქრობენ, რომ მათი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება საკმაოდ მაღალია.

მონოგრაფია **„ქრომის მიღების ქლორიდული ტექნოლოგია“** ეხება ლითონური ქრომის, მისი შენადნობების, ნაერთებისა და კომპოზიციური მასალების მიღების მეცნიერული საფუძვლების შექმნას ქლორიდული მეთოდით, ტექნოლოგიების დამუშავებასა და სამრეწველო ათვისებას, რაც ახალი მიმართულება ყოფილა ქრომის მეტალურგიაში. წიგნში აღწერილ ტექნოლოგიურ პროცესებს ანალოგი არ მოეპოვება მსოფლიო სპეციალურ ლიტერატურასა და მსოფლიო პრაქტიკაში!

ლითონური ქრომისადმი გამორჩეულ ინტერესს ის გარემოება განაპირობებს, რომ ერთ-ერთ ძირითად კომპონენტად წარმოდგება მაღალი სიმტკიცის მქონე კონსტრუქციული შენადნობების, მჟავემედეგი უჟანგავი და მხურვალემედეგი ფოლადების საწარმოებლად.

ნაშრომის ავტორის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის **იური ქართველიშვილის** დამუშავებული ტექნოლოგიური პროცესები აპრობირებულია საცდელ-სამრეწველო პირობებში, რუსეთისა და ყაზახეთის მსხვილ მეტალურგიულ ქარხნებში. მაღალ მეცნიერულ დონეზე დაწერილი მონოგრაფია, რა თქმა უნდა, დიდად სასარგებლოა სპეციალისტთა ფართო წრისათვის. მას დამსახურებულად მიენიჭა **გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია.**

ბატონი იური წლეულს იუბილარია და ასეთი შესანიშნავი „ავტოსახუქრით“ შეხვდა 70 წლისთავს...

თამაზ ეგანოვიძე.

ᲙᲐᲓᲠᲐᲙᲘ



ასეთი ნადავლით ბრუნდებიან საქართველოს წარმომადგენლები კაბადოკიიდან, სადაც 10-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობა გაიმართა. მართლაც, ჩინებული შედეგია!

3 „ოქრო“, 2 „ვერცხლი“ და 3 „ბრინჯაო“

ათწლიანებში 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულით ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა მერი არაბიძემ. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა ნათია ჯალაბაძე, რომელსაც ვერცხლის მედალი ხვდა. ამავე ასაკში 7 ქულა მოაგროვა ნოდარ ლორთქიფანიძემაც, მაგრამ ეს მარაგი მას მეძღვებისთვის არ ეყო და მეექვსე ადგილით დაკმაყოფილდა.

საპრიზო ადგილებს მიღმა აღმოჩნდნენ ჩვენი 12 წლის მოჭადრაკეები. შარშანდელმა ჩემპიონმა ნაზი პაიკიძემ 6,5 ქულით მხოლოდ IV ადგილი დაიკავა, ლევან ბრეგაძემ, მართალია, ნახევარი ქულით მეტი მოაგროვა, მაგრამ მე-5 ადგილს ვერ ასცდა.

სამაგიეროდ, ტრიუმფით დაამთავრეს ტურნირი თოთხმეტწლიანმა ვაჟებმა. გიორგი მარგველაშვილმა პირველი ტურიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა და ბოლომდე არ დაუთმია იგი – 8 ქულით ჩემპიონი გახდა. გამარჯვებულს თითო ქულით ჩამორჩნენ ლუკა პაიჭაძე და დავით ბენიძე, რომლებმაც, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს. ამავე ასაკში ბრინჯაოს მედლით დაიმშვენა მკერდი მაღონა ბოკუჩავამ, რომელმაც 6,5 ქულა მოაგროვა.

თექვსმეტწლიანებში მაკა ფურცელაძემ იყოჩაღა. ბოლო ტურში მან მირანდა მიქაძეს სძლია და 7 ქულით მესამე ადგილი დაიკავა. ამდენივე ქულა მოაგროვა დავით ჯოჯუამაც, მაგრამ საპრიზო ადგილისთვის არ ეყო.

თერამეტწლიანებში შესანიშნავად ითამაშა სალომე მელიამ, რომელმაც მე-9 ტურში ნინო ბაციაშვილი დაამარცხა და 7,5 ქულით ჩემპიონობა მოიპოვა. 6 ქულით ნინო IV ადგილზე გავიდა. ლევან ფანცულაიას 6,5 ქულით მე-5 ადგილი ხვდა.

ლეძსო ცინცაძე.

ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗ

ანცხადებები

სს „სასტუმრო ივერია“ თანახმად მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს გადაწყვეტილებისა მიმდინარე წლის 11 აგვისტოს 12 საათზე იწვევს რიგგარეშე აქციონერთა საერთო კრებას შემდეგი დღის წესრიგით:

1. სს „სასტუმრო ივერიის“ საწესდებო კაპიტალის გაზრდა არასაჯარო ემისიის გზით;
2. საზოგადოების წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება;
3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა.

მისამართი: ქ. თბილისი, რესპუბლიკის მოედანი, სასტუმრო „ივერია“.

სასტუმროს დირექცია.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი სამინისტროში საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად ინდმეწარმე მაია გოგოლაძეს მიერ წარმოდგენილია I კატეგორიის საქმიანობაზე:

ქ. ქუთაისში შვიწენარის ქუჩის I შესახვევში „ნავთობპროდუქტების საცავის გარემოზე გემოქმედების შეფასების ანგარიში“.

საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია ა. წ. 23 სექტემბრამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პრესცენტრში: თბილისი, კოსტავას . 68ა, VI სართული და გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურში: თბილისი, ფალიაშვილის №87, ტელ. 25-02-19.

საჯარო განხილვა შედგება 2004 წლის 23 სექტემბერს 12 საათზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში.

გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახური.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია აცხადებს ღია ტენდერს საკანცელარიო საქონლის (ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ზემოთ აღნიშნული საქონლის უმაღლეს შესაძლებლობებს) შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **10 აგვისტოდან 25 აგვისტომდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7, შემდეგ ტელეფონებზე: 93-13-97, 99-89-77.**

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:

იურიდიული პირისთვის:

1. ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაცის საქმე;
2. ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
3. ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

ფიზიკური პირისთვის:

1. ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
2. ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;
3. ცნობები სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაიელის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზევით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, **500 ლარის** ოდენობის საგენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ არა უგვიანეს **2004 წლის 1 სექტემბრის 15 საათისა** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ალტერნატიული წინადადებები;

ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან ქეთევან ბოლქვაძე, მისამართზე ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7, ტელეფონი 93-13-97, 99-89-77.

ბაადურ ლორთქიფანიძე.
საგენდერო კომისიის თავმჯდომარე

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

შინ და გარეთ

უკვე გაუწყეთ საქართველოს ფეხბურთელთა XVI ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურის ოთხი შედეგი. კვირას მცხეთაში „არმაზის“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ და თასის მფლობელი თბილისის „დინამო“.

პრაღის „სლავიასთან“ უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო მატჩის წინ ეს პაექრობა დინამოელებისთვის საკუთარი შესაძლებლობების კიდევ ერთი შემოწმება იყო. მართალია, სტუმრებს ოთხი წამყვანი ფეხბურთელი აკლდათ, მაგრამ ჩემპიონებს უშეღავათო ბრძოლა გაუმართეს. მე-20 და 22-ე წუთებზე კაშიამ და მელქაძემ „დინამო“ დააწინაურეს. მარცხის საფრთხე რომ იგრძნეს, მასპინძლები გააქტიურდნენ. 35-ე და 48-ე წუთებზე გოჩაშვილმა დუბით წონასწორობაც აღადგინა. 82-ე წუთზე კაკალაძის მიერ გატანილმა გოლმა თასის ფლობელებს გამარჯვება მოუტანა.

ორი ტურის შემდეგ 6-6 ქულით „დინამო“, ქუთაისის „ტორპედო“ და „თბილისი“ ლიდერობენ.

12 აგვისტოს „დინამო“ და „თბილისი“ უეფას თასის გათამაშების საკვალიფიკაციო მატჩებს გამართავენ.

გასულ უქმეებზე საფეხბურთო ბაგალიებში ევროპელი გრანდებიც ჩაებნენ. პირველი ტურის შეხვედრები გაიმართა გერმანიასა და საფრანგეთში. გაუწყებთ შედეგებს.

გერმანია. „ვერდერი“ – „შალკე“ 1:0, „ჰამბურგი“ – „ბაიერნი“ 0:2, „კაიზერსლაუტერნი“ – „ნიურნბურგი“ 1:3, „ფრაიბურგი“ – „ჰანზა“ 0:0, „ბოხუმი“ 2:2, „დორტმუნდი“ – „ეოლფსბურგი“ 1:2, „ლევერკუზენი“ – „ჰანოვერი“ 2:1, „შტუტგარტი“ – „მაინცი“ 4:2, „არმინია“ – „ბორუსია“ 0:0.

საფრანგეთი. „ნიცა“ – „ლიონი“ 0:1, „სენტ ეტიენი“ – „მონაკო“ 0:1, „ბასტია“ – „სტრასბურგი“ 2:1, „ლილი“ – „ოსერი“ 2:0, „მარსელი“ – „ბორდო“ 1:0, „მეცი“ – „ნანტი“ 1:0, „ტულუზა“ – „ლანსი“ 0:0, „რენი“ – „პსჟ 2:1, „სოშო“ – „აიაჩო“ 1:0.

რუსეთი. მე-18 ტურის გადადებული მატჩები. „ლოკომოტივი“ – „სპარტაკი“ 0:0, „შინიკი“ – „მეტალურგი“ 1:1.

„ზენიტი“ – 36, „ტორპედო“ და „ლოკომოტივი“ – 35-35 ქულა.

პოლონეთი. II ტური. „ამიკა“ – „ლეგია“ 1:1, „გურნიკი“ – „პოგონი“ 4:0, „ვროცლავია“ – „კატოვიცე“ 3:2, „ოდრა“ – „შაგლებე“ 1:2, „ლეხია“ – „კრაკოვია“ 3:1, „ვისლა“ – „პოლონია“ 4:0, „ლეხი“ – „პლოცკი“ 4:2.

ორი ტურის შემდეგ 6-6 ქულით „ვისლა“ და „ლეხი“ ლიდერობენ.

თურქეთი. I ტური. „რიზე“ – „ფენერბახჩე“ 2:2, „გენჩლერი“ – „საქარია“ 1:0, „დენიზლი“ – „გაზიანთეფი“ 2:1, „ქაისერი“ – „ტრაბზონი“ 0:3, „მალათია“ – „ბაშიქთაში“ 1:1, „სებათი“ – „ანკარასპორი“ 1:3, „ისთანბული“ – „დიარბაქირი“ 1:1, „გალათასარაი“ – „ქონია“ 3:1, „სამსუნი“ – „ანკარაგიუჯუ“ 1:1.

შოტლანდია. I ტური. „აბერდინი“ – „რეინჯერსი“ 0:0, „დანდი“ – „ჰარტსი“ 0:1, „დანფერმლაინი“ – „დანდი იუნაიტედი“ 1:1, „პიბეზნიანი“ – „კილმარნოკი“ 0:1, „ლივინგსტონი“ – „ინვერნესი“ 3:0, „სელტიკი“ – „მოზერველი“ 2:0.

ინგლისის სუპერთასი. „არსენალი“ – „მანჩესტერ იუნაიტედი“ 3:1.

ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ

მასპინძლებზე ჯავრი იყარეს

სტამბოლში დამთავრდა ახალგაზრდა წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი რვა გუნდის მონაწილეობით. უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს ნაკრებმა ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და ნახევარფინალში გავიდა. აქ მისი მეტოქე იყო საფრანგეთის გუნდი. რომ არა თურქი მსაჯების არაობიექტურობა, ჩვენებს, შესაძლოა, ფინალშიც გაეღწიათ. ფრანგებმა მატჩი მოიგეს 13:11. გადამწყვეტი შეხვედრა კი დათმეს სერბებთან, რომლებთანაც ჩვენმა ბიჭებმა თურქი მსაჯების ხელშეწყობით ფრედ (7:7) დაამთავრეს ტურნირის პირველი ორთაბრძოლა.

ბრინჯაოს მედლებისთვის საქართველოს წყალბურთელებმა (სანდრო ნამორაძე, ბექა ქენქაძე, გურამ კოტარია, გიორგი ხვედელიანი, ნოდარ რაფავა, ილია ბუტიკაშვილი, მიშა ბაღათურია, გიორგი ბიბილეიშვილი, ზურაბ რურუა, გიორგი ცირეკიძე, ტატო ნიკოლეიშვილი, გივი კილურაძე, სანდრო რუსიშვილი, გიორგი სტურუა, თორნიკე თოდაძე, მწვრთნელები – სოსო მაისურაძე, ირაკლი გოშაძე) მასპინძლები დიდი ანგარიშით – 17:7 დაამარცხეს.

ჩვენი გუნდისთვის ეს შეჯიბრება ძალთა ერთგვარი შემოწმება იყო ევროპის პირველობის წინ, რომელსაც სექტემბერში მალტა უმასპინძლებს.

გიორგი გაგუა.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

„ბებერი ხარისაო“...

შეიძლება, 34 წელი სპორტის სხვა სახეობისათვის მაინც და მაინც დიდი ასაკი არ იყოს, მაგრამ ისეთი აქტიური თამაშისათვის, როგორიც ჩოგბურთია, ის უკვე ხანდაზმულობას ნიშნავს.

სწორედ ამ ასაკისაა ჩოგბურთის ამერიკელი ვარსკვლავი ანდრე აგასი, რომელიც, უკვე თვრამეტი წელია, თავისი სწორუპოვარი თამაშით აოცებს და ახარებს გულშემატკივრებს. ასე მოხდა ახლაც, „მასტერსის“ სერიის ტურნირზე ცინცინატში, რომლის საპრიზო ფონდი 2,5 მილიონი დოლარი იყო. შეიძლება ითქვას, აგასიმ ახალგაზრდული შემართებით ითამაშა და თავისზე გაცილებით ახალგაზრდები დაჯაბნა.

მეოთხედფინალში მისი მეტოქე რეიგინგით მეოთხე ჩოგბურთელი, ესპანელი მოია იყო. პირველი სეტი ძალზე ძნელი გამოდგა – 7:6 (14:12). მეორეში კი აგასიმ იოლად გაიმარჯვა – 6:3.

ნამდვილად ფინალურ მატჩს უტოლდებოდა ნახევარფინალური შეხვედრა თანამემამულე რუდიკთან. თუ რამდენად დაძაბულად მიმდინარეობდა ის, ანგარიშიც ცხადჰყოფს – 7:5, 6:7 (2:7), 7:6 (7:2). ისიც უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა ამერიკელი ხშირად გაშით მიესალმებოდა უფროსი კოლეგის აუღებელ ჩაწოდებებს, თუმცა, არც აგასი რჩებოდა ვალში.



ფინალში ვეგეტარანი აგასის მოწინააღმდეგე გახლდათ ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი, რომელმაც ნახევარფინალში ესპანელი რობრედო შეღარებით იოლად დაამარცხა – 6:3, 6:2. მართალია, პირველ ორ სეტში ანგარიში თანაბარი იყო – 6:3, 3:6, მაგრამ მესამე, გადამწყვეტ სეტში ამერიკელმა „ბებერმა“ აღმავლობით ითამაშა და იოლადაც გაიმარჯვა – 6:2, რაც მისი მე-17 გამარჯვება აღმოჩნდა „მასტერსის“ სერიაში და მესამე – ცინცინატში. ამ მოგებით აგასიმ 59-ე გამარჯვება მიითვალა.

მუშტი-კრივი საქმეს ვერ წაადგება

ჩინელმა გულშემატკივრებმა ენებები ვერ დაიოკეს და აზიის თასის ფინალში თავიანთი ნაკრების დამარცხება იაპონიის გუნდთან – 1:3 – ხულიგნური გამოსტომებით დაგვირგვინეს. მათ მუშტი-კრივი გაუმართეს და ღონძლვა-გინება არ დააკლეს ამომავალი მზის ქვეყნიდან ჩამოსულ გულშემატკივრებს, ქვები დაუშინეს იაპონიის ნაკრების ავტობუსს, დაწვეს იაპონიის დროშები, თავს დაესხნენ ერთ-ერთ დიპლომატსაც. იაპონიის ნაკრები აეროპორტამდე პოლიციელთა გაბღერებული ესკორტით მივიდა, ვინაიდან მათ სასტუმრო ალყაში მოაქციეს გაავებულმა ჩინელმა ფანატებმა.

თითქოს გულმა უგრძნოთო, ტოკიომ დიპლომატიური არხებით წინასწარ მოითხოვა იაპონელი გულშემატკივრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. იქაური პრესა იმასაც წერდა, რომ ეს პირველობა „ანტიიაპონური შეუწყნარებლობისაა“ და მოჰყავდა იაპონური სიმბოლიკის, მათ შორის, ჰიმნის, აშკარა უპატივცემულობის ფაქტები.

იაპონიის ფეხბურთის ფედერაცია აპირებს აზიის ფეხბურთის კონფედერაციაში ჩივილს.

მესამე ადგილისათვის მატჩში ირანის ნაკრებმა დაამარცხა ბაჰრეინის გუნდი 4:2.

„ჩიტის რძეც“ იშოვება, მაგრამ...

ღმაო, ტრადიციულად თითქმის ყველაფრითაა უზრუნველყოფილი ოლიმპიური სოფელი ათენში. როგორც ამბობენ, „ჩიტის რძესაც“ კი იშოვით, თანაც კარგი დასვენება და გართობაც შეიძლება, ოლიმპიელთა სამსახურშია უამრავი ბარი, დისკოთეკა, გიგანტური ტელეეკრანები...

ალბათ, ერთადერთი, რასაც ოლიმპიურ სოფელში ვერ იშოვით, ალკოჰოლია. „მშრალი კანონი“ ოლიმპიური ტრადიციაა, რასაც ვერავინ დაარღვევს, თვით ჩემპიონებმაც რომ მოინდომონ. სოფელში სასტიკად აკრძალულია რაიმე საჭმელისა და ალკოჰოლური სასმელის შეტანა, ასევე იქიდან სურსათის გატანა, რასაც მკაცრად აკონტროლებენ. ასევე აკრძალულია საჭმელ-სასმელის გატანა სასადილოებიდან და კაფე-ბარებიდან. ოლიმპიური სოფლის ატრიბუტებში კი მხოლოდ სპონსორი ფირმების გამაგრილებელი სასმელები იყიდება.

შავ დღეშია ჩავარდნილი ავსტრალიის მსროლელთა ნაკრების წევრი სიუზი ბალოგი, როგორც მან აღიარა, ყოველ შეჯიბრებაზე თან დაიქვს ვისკის ბოთლი – „უცნობ ადგილას რომ ჩავდივარ, ჩვეულებისამებრ არ მეძინება ხოლმე, ორი-სამი ჭიქა მყოფნის უძილობის დასაძლევად“. მას და მისთანებს ათენში, ალბათ, ძალზე გაუჭირდებათ.

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ ᲢᲐᲚᲦᲐᲖᲔ

ათენის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე სხვადასხვა ქვეყნის გუნდები ძალების შესამოწმებლად საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობენ. მაღრდმა კალათბურთელ ვაჟთა შეჯიბრებას უმასპინძლა. არგენტინელებმა ლიტველებს აჯობეს – 89:82, ესპანელებმა ბერძნებს სძლიეს – 80:70. მასპინძლებმა ფინალშიც იყოჩაღეს და არგენტინელები დაამარცხეს – 98:90. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ბერძნებმა ლიტველებს დააყრევინეს ფარ-ხმალი – 88:75.

* * *

წყალბურთელთა ოთხმა უძლიერესმა ნაკრებმა ბელგრადში მოიყარა თავი. სერბეთ-ჩერნოგორიისა და რუსეთის ეროვნული გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ – 10:10. პენალტებით გაიმარჯვეს მასპინძლებმა – 4:3. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ხორვატეთის წყალბურთელებმაც უძლიერესი პენალტებით (ძირითადი დრო – 6:6) გამოავლინეს: ოკეანისგაღმელები უფრო ზუსტი აღმოჩნდნენ – 5:4.

ფინალში სერბებმა ამერიკელებს სძლიეს 5:4. მესამე ადგილზე რუსები გავიდნენ.

* * *

1500 მეტრზე რბენაში თურქი ევროპის ჩემპიონი სურეია აიხანი მუხლის ტრავმის გამო ათენში არ აისპარებებს. თურქეთის პრესის ცნობით კი, მძლეოსანმა ტესტი შეცვალა და ოლიმპიადაზე წაუსვლელობის მიზეზიც ეს არისო, თუმცა, ყოველივე ამას უარყოფს აიხანის მწვრთნელი და მეუღლე იუჯელ კოპი. საქმეს თურქეთის ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრო იძიებს.

* * *

სპბერძნეთის ძიუდოისტ ქალთა ნაკრების წევრი, 20 წლის ელენა იოანუ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იმყოფება მას შემდეგ, რაც მეგობარი ვაჟის სახლის მესამე სართულიდან გადმოვარდა. დაცემისას იოანუმ რამდენიმე ადგილას მოტეხილობა და ტვინის შერყევა მიიღო. სპორტსმენ ქალს უკვე გაუკეთეს ოპერაცია და ახლა რეანიმაციაში იმყოფება.

პოლიციამ დაკითხა ძიუდოისტის მეგობარი ვაჟი, თუმცა, მისთვის ჯერჯერობით ბრალი არ წაუყენებიათ.

* * *

ცნობილი გახდა ათენის ოლიმპიური თამაშების საჭეიმო დახურვის ცერემონიალის წვრილმანები. ანონიმი წყაროს ცნობით, ოლიმპიადის დახურვისას მაყურებლები ნახავენ და მოისმენენ ტრადიციულ ბერძნულ ცეკვებსა და სიმღერებს, სიმბოლურ ქორწილს და სხვა.

დღეს ათენის სტადიონზე თამაშების საჭეიმო გახსნის ცერემონიალის რეპეტიცია გაიმართება. ვარაუდობენ, რომ 75-ათასიანი სტადიონი ბოლომდე გაივსება.

ცათამბჯენების დამპყრობი

კიდევ ერთი უმაღლესი შენობა დალაშქრა ალპინისტმა ალენ რობერმა, რომელიც ცნობილია, როგორც ფრანგი „კაცი-ობობა“. ამ დღეებში ყოველგვარი დამცავი საშუალებების გარეშე აცოცდა ჯაკარტაში „ინდოსატის“ შენობაზე, რომლის სიმაღლე 100 მეტრზე მეტია.

რობერს თითეს მსოფლიოში უკვე დაპყრობილი აქვს 70-ზე მეტი ცათამბჯენი. იმ ლეგენდარულ შენობათა სიაში, რომლებსაც ის „თავზე მოექცა“, არის სიდნეის ოპერა, ეიფელის კოშკი, ემპაირ სტეიტ ბილდინგი ნიუ-იორკში და მრავალი სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბომი

ქუქლას რაიმე აქვს სახსოვარი

ბაგეთ „რესპუბლიკის“ თანამშრომელთა ერთი ჯგუფი. გადაღებულია 1994 წელს.

მოგვაწოდა გენადი სანაიამ.

ცოტაც გავიღიმოთ...

– რატომ არის თქვენთან, ივანოვოში, ასეთი სიბინძურე?

– ივანოვო რევოლუციის აკვანია. თქვენ რა, აკვანში სისუფთავის განხრით საკუთარ თავს აკონტროლებდით?

* * *

– რას უზიხარ, მომეხმარე მაინც, ასწიე ეს შენი საჯდომი, – უყვირის მიხო მაროს.

– ექიმებმა მძიმე რამეების აწევა ამიკრძალეს...

* * *

რაღაც ხუთას რუბლზე მეუბნებით უარს, მე კი გაცილებით ძვირი ვღირვარ, – ეკაპასება კორდებალეტის მსახიობი ქალი თეატრის დირექტორს.

– კი, მაგრამ, არა სცენაზე...

* * *

გუშინ ჩვენს რაიონში კარგად ცნობილი თემური და მისი რაზმი ორ უძლურ კომერსანტს დიდი თანხის გაყოფაში მიეხმარა.

* * *

კარგია იქ, სადაც ჩვენ არა ვართ. არ გჯერათ? – მაშინ თქვენთან მოვდივართ (ნეტავი რომელ ერზეა ნათქვამი? – რედ.)!

* * *

ჩემო კეთილო, ალერსიანო თანაშემწენო გზებზე – ავტოინსპექტორებო. თქვე უბრალოებო, პირღიმილიანებო, როგორ მიხარია თქვენი დანახვა (საგადასახადო ინსპექციიდან გამოსული კაცის ფიქრები)!

* * *

დიდხანს ირბინა გამყიდველმა მეზობელ სექციებში ხურდის საძებნელად. როგორც იქნა, იშოვა და დაღლილმა, მაგრამ ბედნიერმა ამაყად გაუწოდა მყიდველს ხუთთეთრიანი.

მყიდველი საგადასახადო ინსპექციის მუშაკი იყო და გამყიდველი მას დიდი ხანია, სახით ცნობდა.

* * *

– პატარავ, მოდი ჩემთან, – ეძახის კირკოროვი ორბაკაიტეს.

– მე კი არა, თავად ხარ პატარა, დღემდე დედიკოსთან წევხარ!

* * *

–ესე იგი, ადამიანს ყველაფერი შეუძლია, არა? – იქედნურად ეკითხება მიხო მასწავლებელს.

– დიახ, შეუძლია...

– აბა, აჰა, შენ კბილის პასტა, თითი დააჭირე. გამოვიდა? – ახლა უკან შეაბრუნე!

ახალი სეზონის წინ

რაზე დააფიქრებს თეატრი მაყურებელს?

ახლა ის დროა, როცა თეატრებში სეზონი დახურულია და, ბუნებრივია, დასებიც უმეტესად ისვენებენ. მაგრამ გამონაკლისებიც არის და მოგეერთი თეატრი მომავალი სეზონის თადარიგს იჭერს. გარკვეული მიზეზების გამო რუსთაველის სახელმწიფო დრამატულ თეატრს გასულ სეზონში რამდენიმეთვიანი იძულებითი პაუზა ჰქონდა. მართალია, სპექტაკლებს არ უშვებდნენ მაყურებელს, მაგრამ რეპერტუარის გამდიდრებასა და გადახალისებაზე ფიქრობდნენ. ამაზე მრუნავა მას შემდეგ უფრო აქტიურად დაიწყეს, როცა თეატრის სამხატვრო კონსულტანტად სახელგანთქმული რეჟისორი რობერტ სტურუა დაინიშნა. მასთან შეთანხმებით შეირჩა პიესები და ცხადია, რეჟისორებიც, რომლებიც ახალ რეპერტუარზე იმუშავებდნენ.

თეატრმა თითქმის ერთდროულად სამი ახალი პიესის მომზადებაზე დაიწყო მუშაობა. ახლა ის მომენტია, როცა რუსთაველის თეატრის სცენაზე ინტენსიური შემოქმედებითი პროცესები მიმდინარეობს. მსახიობები დილიდან საღამომდე სცენაზე არიან. სამიდან ორი სპექტაკლი თითქმის მზად არის. ამჟამად იხვეწება ცალკეული დეტალები და ეპიზოდები. დამდგმელ რეჟისორებთან ერთად ამ პროცესში აქტიურად ჩაერთო რობერტ სტურუა, რომელმაც თურქეთსა და რუსეთის სცენებიდან, სადაც მიწვეული იმუშავა ახალ დადგმებზე, აქ გადმოინაცვლა.

ახალ დადგმებზე მუშაობენ რეჟისორები გიორგი შალუგაშვილი, ლევან სვანაძე და გოგა თავაძე.

გიორგი შალუგაშვილმა არჩევანი XX საუკუნის ცნობილი იტალიელი დრამატურგისა და რეჟისორის ედუარდო დე ფილიპოს პიესაზე შეაჩერა, რომლის ჰუმანური და დემოკრატიული შემოქმედება უბრალო ადამიანის ბედს ასახავს და ყოველთვის მოუწოდებს ბოროტების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისაკენ. ამჯერად რუსთავის სცენაზე მისი პიესის „აჩრდილის“ გმირები ამეტყველდებიან. ეს პიესა ერთხელ უკვე მოერგო ქართულ სცენას. 80-იან წლებში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში იგი რეჟისორმა რემო ჩხაიძემ გააცოცხლა რობერტ სტურუას კონსულტაციით.

„აჩრდილი“ მაყურებელს დააფიქრებს მარადიულ ღირებულებებზე: სიყვარულსა და სიძულვილზე, ერთგულებასა და ორპირობაზე, სიცრუესა და სიმართლეზე. პიესა მძაფრად ასახავს სუსტი პიროვნების პრობლემას. პიროვნებისა, რომელიც ომისშემდგომ წლებში სოციალურ წნეხში ექცევა. პიესას გარკვეულწილად ქარ-

რობერტ სტურუა და გიორგი შალუგაშვილი რეპეტიციაზე.

თულ სინამდვილესთანაც აქვს შეხება. როგორც თავად რეჟისორი ამბობს, მას მუშაობის პროცესში შემოქმედებითად სრული თავისუფლება ჰქონდა.

– ბაგონმა რობერტმა ბევრი კომედიური შტრიხი შემატა სპექტაკლს, მოგეერთ დეტალზე უფრო მეტად გამახვილდა ყურადღება. უდიდესი ბედნიერებაა მასთან ერთად მუშაობა, საინტერესო ხელვის ადამიანია, მიხარია, რომ თუ პედაგოგი ხარ, დაინტერესებულიც უნდა იყო, რომ შენი სტუდენტები შემოქმედებითად გაიმარდონ და პროფესიულ სცენაზე მოიმაგრონ ფეხი.

„აჩრდილში“ მონაწილეობენ მსახიობები: – კახა გოგიძე, პაატა გულიაშვილი (თეატრის სახელმწიფო თეატრის მსახიობი, რომელიც ამ დადგმაში ხელშეკრულებით მუშაობს), თამუნა ნიკოლაძე, რამონა მიქელაძე, მაია ხორნაული, დათო ხახიძე, იური ვასაძე, ბესიკ ბანგური...

რეჟისორი ლევან სვანაძე რუსთავის სცენაზე გიორგი შალუგაშვილთან და გოგა თავაძესთან შედარებით შინაურია, რეპერტუარიდან რამდენიმე სპექტაკლზე უკვე ნამუშევარია და დასის პოტენციურ შესაძლებლობებს უფრო კარგად იცნობ. „თამაში რემარკების გარეშე“ – ასე ჰქვია მანანა დოიაშვილის პიესას, რომელიც დ საღგმელად აირჩია რეჟისორმა. პიე „ახალი ქართველების“ ცხოვრებას ას ხაულ. სამთვიანი მუშაობა თითქმის დ რულდა, რობერტ სტურუას შენიშვნებ გათვალისწინებულია.

– უაღრესად კორექტული და კეთილ ამავე დროს ფანტასტიური და უნიჭიერ სი ადამიანია, რომლის პატივისცემით ავირჩიე ეს პროფესია, – ამბობს დიდ რ ჯისორზე ლევან სვანაძე. წარმოდგენა თეატრის ძირითადი დასის წევრები მ ნაწილეობენ: ბადრი კაკაბაძე, ლეილა შ თაძე, ელისო გულიაშვილი, პაატა გულ აშვილი, სპარგაკ კიკნაძე...

მოკლე ხანში რეჟისორი გოგა თაყ თავის ჩანაფიქრს მიუბრუნდება და სც ნას ახლა ლაშა ბუღაძის პიესის გმირებ დაიკავებენ. გოგა თავაძემ, რობერტ სტ რუას მოწაფემ, დასადგმელად აირჩია ლ შა ბუღაძის პიესა „თეატრი“. ამ დრამ ტურგთან რეჟისორს უკვე ჰქონდა შეხ ბა. სამეფო უბნის თეატრში გასულ სეზონ ში გოგა თავაძემ დადგა მისი „ნუგბარ და მეფისგოფელი“, რომელმაც წარმატ ბით დაიმკვიდრა ადგილი რეპერტუარში „თეატრის“ მთავარი მოქმედი გმირი შ ასაკის რეჟისორია, რომლის თეატრსა ოჯახში ცხოვრებასაც ასახავს ნაწარმო ები. – ჩემი აზრით, ლაშა ბუღაძე საინტ რესო, თანამედროვე დრამატურგია, ახ ლი, უჩვეულო ელფერის სიუჟეტებითა უცნაურად საინტერესო გმირებით, – ამ ბობს გოგა თავაძე.

სპექტაკლში როლებს შეასრულებენ მსახიობები: გალინა კიკნაძე, კახა გოგი ძე, დათო ხახიძე, ხათუნა ბოკუჩავა, ლ რისა ხაჭაპურიძე, ნინო მესხი, ზურაბ ჯან ჭარაძე. სპექტაკლზე მუშაობს მხატვარ აივენგო ჭელიძე, მუსიკალურად აფორ მებს ია საკანდელიძე.

სწორედ ლაშა ბუღაძის ამ პიესით ფინ რობს თეატრის ხელმძღვანელობა დასა ლოებით 25 სექტემბრისთვის ახალი თე ატრალური სეზონის გახსნას. საერთოდ სამიენ სპექტაკლს მედიმედ სექტემბერ-ო ტომბერში ახილავს მაყურებელი და პ იქნება თეატრის საჩუქარი რუსთაველ ქობის მეიმისათვის.

რუსუდან მუხიგულაშვილი.

თითქმის ნატურიდან

ჟირინოვსკიმ პისტოლეტი დააძრო!

აშხაგეთი მარტო ლგოლვილებს კი არა, ხმირად მეც მესიზმრება. კვირა ისე არ გაივლის, გაგრისა და ბიჭვინთის უმშვენიერეს პლაჟებზე არ ვკოტრიალობდე, ლურჯად მოლიელივე ზღვის გალეზებზე არ ვნებივრობდე. გამომელვიძება და, ეჰ...

ამ ორი დღის წინათაც ოცნებამ სოხუმში გადამაფრინა. ზღვის სანაპიროზე ძველებურად ხალხი ხვინჭა-ხვინჭა ეყარა. ვიფიქრე, აფხაზეთი დაგებრუნებია-მეთქი, და აგვისტოს მზეს მადიანად მიეფუფცხე.

უეცრად სანაპიროს ტურისტებით სავსე გემი მოადგა, ცნობისმოყვარეობამ ხმეებთან ერთად მეც მძლია და თვალები ვეჭიდე. ეხედავ, მაგრამ არ ვიჯერებ – გემიდან შორტებსა და ბოგასებში გამოწყობილი ქართველების დიდი რუსი მეგობარი, ჟინყლიკა ჟირინოვსკი არ ჩამოდის?

– მესროლეთ, აბა, მხდალო ქართველებო, რაგომ არ მესერით? – ტყვიამფრქვეველით აფრქვევს სიტყვებს ვალოდია, – აკი გეემუქრებოდით, სოხუმში შემავალ ყველა გემს დავეცხრილავთო?

– მერედა, ვინ გაბედა ჩვენი დამუქრება?– განცვიფრებულია პარტიული ბოსის გეერდით მომავალი ქერა ქალბატონი.

– ვინა და ვაუბატონმა საკაშვილმა. მაგან არ იცის, რომ ჟირინოვსკი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს ჩვენს მოქალაქეებზე ქართველების აგრესიას. სროლას სროლითვე ეუპასუხებით!

დაეინახე, ქერა ქალბაგონს მიშისგან ფერი როგორ დაეკარგა. მან უკან გაბრუნება გადაწყვიტა.

– არ წახვიდე, – ხელი გამოსდო ქერას ჩაფსკვნილმა გერმანელმა ტურისტმა, – ქართველების აგრესიაზე მე რაღაც არაფერი მსმენია.

– „არაფერი მსმენია, არაფერი მსმენია“, – გაშოყავარა ჟირინოვსკიმ, – არც ისა გსმენია, ქართველებმა გერმანია რომ დაიპყრეს?

– როდის? – თვალები გაუფართოდა ჩაფსკვნილს.

– როდის და ორმოცდახუთში, შენ გეონია მაშინ გერმანიაც რუსებმა, ამერიკელებმა და ინგლისელებმა დაიპყრეს?

– კი არ დაიპყრეს, ფაშისტური რეჟიმი დაამხეს, – გაუსწორა გერმანელმა.

– რა ფაშიზმი, რის ფაშიზმი, – წამოენთო ჟირინოვსკი, – ფაშიზმი სებაბი იყო, საფუძველი კი – მაშინდელი ქართველი ბელადის აგრესია. ის მსოფლიო ისტორიაში შევა როგორც ყველაზე დიდი აგრესორი.

– სგალინი იმპერატორი რომ იყო, ვიცოდი, მაგრამ აგრესორიც თუ იყო...

– დიახ, ერთდროულად იმპერატორიც იყო და აგრესორიც, – არ დაამთავრებინა აზრი მოკამათეს, – ვიდრე გერმანიას და სხვა ევროპულ ქვეყნებს დაიპყრობდა, მან ჯერ რუსეთი დაიპყრო, შექმნა უძლეველი იმპერია, რომელსაც დღემდე ვანგრევთ და ვერ დაგვინგრევია.

– როგორც მახსოვს, მან ინდუსგრიაც განავითარა...

– კი, კი... აგომური ინდუსგრია. რისთვის უნდოდა აგომური ბომბი, თუ ის აგრესორი არ იყო? სწორედ მისი გენი გამოჰყვა საქართველოს დღევანდელ პრეზიდენგს. მან ჯერ აჭარა დაიპყრო, ახლა კი ოსეთისა და აფხაზეთის დამონებას აპირებს. თუ არ შევიჩერეთ, შემდეგ ის რუსეთს და მთელ მსოფლიოს დაიპყრობს. მისი უსაქციელობის შემყურეს, კავკასიის დანახვაც შემზარდა!

– მაგრამ აფხაზეთში რომ ხგუნვახგუნვით ჩამოხვედით? – დაეჭვდა პოლონელი ტურისგი.

– აფხაზეთი კავკასიაში არ შედის.

– საქართველოში?

– არც საქართველოში, აქ რუსი მოქალაქეები ცხოვრობენ!

– ჩეჩნეთი?

– ის წმინდა სისხლის რუსეთია.

– აბა, კავკასია მარგო საქართველო? მაშინ აზერბაიჯანი და სომხეთი რომელ კონგინენგს მიეკუთვნოთ?

– სომხეთი? – ჩაფიქრდა პარგიული ბოსი, – სომხეთი ჯერჯერობით არც კავკასიაშია და არც ევროპაში. მალე მოსკოვი-ერევნის სარკინიგზო ხაზს აღვადგენთ და ყველაფერი გაირკვევა...

– მერე რკინიგზა კავკასიაზე არ გაიელის? – მოუჭრა პოლონელმა.

– მე გერმანიაში ყოველთვის პოლონეთზე გავლით დავდივარ, მაგრამ პოლონეთი გერმანია როდია, – არ დაიბნა ჟირინოვსკი.

ამ კამათ-კამათში, დამსვენებელთა შორის ლუკაშენიც გამოჩნდა.

– იურა, ძველო, შენ ჩამომასწარი? – ხელის აწევით მიესალმა ვალერდია.

– რაგომაც არა, მე ხომ აქ საკუთარი აღგილ-მამული მაქვს, თანაც საქართველოს საპაგიო მოქალაქე ვარ.

– საკაშვილმა ეგ არ იცის, უვიზოდ თუ ხარ, იცოდე, ტყვიას დაგახლის...

წუთიერად მთაგარკაცთა ყურაღღება სოხუმის თავზე მფრინავმა ლაინერმა მიიპყრო.

– ეს აბერკიდან მომავალი საკაშვილია, – თქვა ერთმა.

– კი, ნამდვილად ის არის, – დაუდასგურა მეორემ.

ჟირინოვსკიმ ბოგასიდან პისგოლეგი დააძრო და თვითმფრინავს გაუშახუნა.

ლაინერში აგეხილმა ხარხარის ხმამ პლაჟამდე ჩამოაღწია.

– მიშას სიცილსა ჰგავს... – იყნოსა რომელიღაც დამსვენებელმა.

– დამცინის კიდეც, არა, – კბილებიდან ცეცხლი გაყარა ჟინყლიკამ, – არა უშავს, მალე იორდანიაში გაფრინდება და მაშინ ჩამოვაგდებ!

ოთარ ხუციშვილი.

ხსოვნა

ლიანა ბოკუჩავა

ამა წლის 7 აგვისგოს გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიგეგის ბოგადი ქიმიის დეპარგამენგის პროფესორი, სამეცნიერო-სასწავლო საწარმოო ცენგრის „ცრადიციული ტექნოლოგიების“ უფროსი, საქართველოს საინჟინრო და ეკოლოგიის აკადემიების, საერთაშორისო ეკოლოგიის აკადემიის ნამდვილი წევრი **ლიანა ვლადიმერის ასული ბოკუჩავა.**

1958 წლიდან მუშაობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიგეგში. წლების მანძილზე ეწეოდა აქგიურ პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. არის 60-ზე მეგ სამეცნიერო ნაშრომის ავგორი, მათ შორის ერთი მონოგრაფიაა და სამი სახელმძღვანელო. მისი სამეცნიერო საქმიანობის მიმართულება იყო ანალიზური ქიმია, ხიდროგეოქიმია, გარემოს დაცვა, ფიგოფარმაკოპრაგების ტექნოლოგია. მისი თაოსნობით საქართველოში პირველად შეიქმნა ახალი სპეციალობის პარფიუმერულ-კოსმეგიკური ნაწარმის ტექნოლოგია. კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენგრის მიერ დაჯილდოებული იყო (1994-1995 წ.წ.) „წლის საერთაშორისო ქალის“ წოდებით და ოქროს მედლით.

პროფ. ლ. ბოკუჩავა არაერთხელ იყო მიწვეული მსოფლიოს რიგ უმაღლეს სასწავლო და სამეცნიერო ცენგრებში თავისი გამოცდილების გაზიარებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე წლის მანძილზე (1994 წლიდან) იყო სოროსის სგიპენდიის აგარი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიგეგი; ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის ფაკულგეგი; ბოგადი ქიმიის დეპარგამენგი.

შინაგან საქმეთა სამინისგროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის პირადი შემადგენლობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მართვის ორგანიზაციისა და კონგროლის სამმართველოს უფროსი ინსპექგორი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი

ზია ნაბროშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიგეგი, ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის ფაკულგეგი, ბოგადი ქიმიის დეპარგამენგი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა პროფესორი

ლიანა ვლადიმერის ასული ბოკუჩავა

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

თამამ ზამთარაძე ოჯახით მწუხარებას გამოთქვამს ქალბატონ

ლია ბოკუჩავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მაკა, ნიკა შავიშვილებს.

შვილები ტარიელი, ლამარა თაქთაქიშვილები, რძალი ცირა ცირეკიძე, სიძეები ირაკლი კალანდაძე, ალექსანდრე მძინარაშვილი, შვილიშვილები კახა, თამრიკო, ნინიკო, შვილთაშვილები ვაგო, ლევანი, ქეთი ღრმა მწუხარებით იუწყებიან დედის, ბებიის

ევგენია ლაბარგყავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11 VIII, 17 სთ. გამოსვენება 12 VIII 16 სთ. მისამართი: ქ. თბილისი, არაყიშვილის ქ. № 12.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიგეგის რექგორგაგი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სგუ-ს საგარეო ურთიერთობათა სამმართველოს უფროსის გარიელ თაქთაქიშვილის დედა

ევგენია ლაბარგყავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის აჭარის ავგონომიური რესპუბლიკის ფილიალის დირექცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ფონდის აფხაზეთის ფილიალის დირექგორი

თენგიზ ნაჭყებია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ს/ს აკად. ჩაჩავას სახელობის პერინაგალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსგიგუგის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ინსგიგუგის იურისგს, ქალბაგონ

ღოღო დათიკაშვილს გარდაეცვალა და

რაისა დათიკაშვილი

და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

ხსოვნა

თენგიზ ნაჭყებია

ბოლო დროს ისე შეეჩვიეთ გრაგედიებს, გეგონია, ვერაფერი ვერ შეძრავს ჩვენს სულს, მაგრამ როდესაც ადამიანის ამ ქვეყნიდან წასვლაზე გვამცნობენ, ვხედებით, რომ მაშინ ყველაზე დიდ გკივილს განვიცდით. სწორედ ასეთი გკივილიანი იყო სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ყველა თანამშრომლისთვის **თენგიზ ნაჭყებიას** გარდაცვალების ცნობა.

სრულიად ახალგაზრდა, 44 წლის ასაკში წავიდა ამ ქვეყნიდან ნიჭიერი, განათლებული და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი. დასანანია, რომ სანუკვარი ოცნება სიცოცხლეში ვერ აუხდა – გაგრაში დაბადებული კაცი აფხაზეთის დაბრუნებაზე ოცნებობდა და თავის დროზე საომარ მოქმედებებში აქგიურად მონაწილეობდა.

თენგიზ ნაჭყებია დაიბადა 1960 წელს. 1977 წელს, სოხუმის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიგექნიკურ ინსგიგუგში და მიიღო ელექგროკავშირგაბმულობის ინჟინრის სპეციალობა. 1983-85 წლებში მუშაობდა სოხუმის საგელეფონო-საგელეგრაფო სადგურში ინჟინრად, 1985-87 წლებში – სოხუმის კომკავშირის საქალაქო კომიგეგის საორგანიზაციო განყოფილების ინსგრუქგორად, 1989-92 წლებში იყო სოხუმის ფოსგამგის მთავარი ინჟინერი.

აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების დღიდან ლეიგენანგმა თენგიზ ნაჭყებიამ რიგითიდან ასეულის მეთაურამდე ყველა საფეხური განვლო. დიდსულოვანი და მიმგეგებელი ადამიანი სამშობლოსთვის ბრძოლაში ვაჟკაცის საუკეთესო თვისებებს ავლენდა. 1996-98 წლებში მუშაობდა აფხაზეთის ავგონომიური რესპუბლიკის მინისგრთა საბჭოში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. 1998 წლიდან იყო საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის აფხაზეთის ფილიალის დირექგორი. მან თანამშრომლების უდიდესი სიყვარული და პაგივისგემა დაიმსახურა, როგორც ხელმძღვანელმა, მეგობარმა და მზრუნველმა ადამიანმა.

ტკივილიანია მასთან განშორება ყველასთვის, ვინც ამ ღირსეულ ადამიანს ერთხელ მაინც შეხვედრია. მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი.

საქართველოს იუსგიციის უმაღლესი საბჭო

აცხადებს კონკურსს

მოსამართლეთა შემდეგი ვაკანგური თანამდებობების დასაკავებლად

1. თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე	5	საშგაგო ერთეული;
2. ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე	1	საშგაგო ერთეული;
3. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე	1	საშგაგო ერთეული;
4. ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე	1	საშგაგო ერთეული.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად, კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 30 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის სულ ცოგა 5 წლის გამოცდილება, ფლობს სახელმწიფო ენას.

მოსამართლეობის კანდიდაგმა კონკურსის მომზადების სამღივნოში რეგისგრაციისას უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება იუსგიციის საბჭოს სახელზე კონკრეგულ ვაკანგურ აღგილზე კონკურსში მონაწილეობის შესახებ;

ბ) ცნობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსების შესახებ (მიმართვის საფუძველზე);

გ) მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მოწმობა და მისი ასლი;

დ) სამედიცინო დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № 27);

ე) ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;

ვ) ცნობა სამედიცინო-ფსიქოლოგიური შემოწმების შესახებ (მიმართვის საფუძველზე);

ზ) ცნობა ნასამართლობის არქონის შესახებ;

თ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა და მისი ასლი;

ი) უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასგურებელი საბუთი (დიპლომი და მისი ასლი საგამოცდო წესით დაღგენილი ჩაბარებული საგნების დანართითურთ);

კ) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;

სასურველია წარმოდგენილ იქნას:

ცნობა სამეცნიერო ხარისხის, წვახალისების, სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ.

კონკურსში მონაწილეობისთვის საბუთები მიიღება 2004 წლის 9 აგვისგოდან 9 სექგემბრამდე შაბათ-კვირის გარდა, 11 საათიდან 17 საათამდე.

დამგებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს იუსგიციის უმაღლეს საბჭოში. მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი № 80, II სართული, ოთახი 7, გელეფონი: 95-83-42.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
გამომცემელი შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სგამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები.
მთავარი რედაქგორი **რუსლან რუსია.**
ნომრის მორიგე რედაქგორი **ოთარ ხუციშვილი.**

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსგავას ქ. №14. გელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - გელ: 93-28-13.
ელექგრონული ფოსგა: **sakresp@gol.ge**
ვებ გვერდი: **www.open.ge/sakartvelos-respublika**